სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 20 იანვარი 2001 №7 (1280) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

2 სხვა გზა, სხვა ხსნა

„დინამომ“ ფული უნდა იშოვოს

2 სკანდალი გრძელდება

„ალანია“ აშვეთიას არ ეშვება

6 გრობელაარის საქმე



„სანმა“ თხარა, თხარა და გათხარა

10 მაჯლაჯუნა გორენცად გადაიქცა

Supreleague

იუგოსლავიელი და სლოვენიელი დრობნიაკების დავა ხორვატმა მულაომეროვიჩმა გადაწყვიტა

იუჰანსონის კონტრშეტმეტი
საფეხბურთო უფამ მოიგო

ესეც ასე: მსოფლიო ფეხბურთს ორი პირველი პირი ჰყავს — იურიდიულად ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი, რეალურად კი ლენარტ იუჰანსონი, რომელიც სამი წლის წინ ბლატერთან არჩევნებში დამარცხდა და ახლა ჯავრი იყარა.

უეფას პრეზიდენტი ამ დღეს რა ხანია ელოდა, ბლატერის გარშემო ქსელს ხლართავდა და გადამწყვეტი დარტყმის საბაბს ეძებდა. 10 იანვარს ფიფამ უეფას გვერდის ავლით ევროკომისიას სატრანსფერო სისტემის რეფორმირების ახალი, უეფასთვის აბსოლუტურად მიუღებელი წინადადებები წარუდგინა. არსებული სატრანსფერო სისტემის მოშლა ის საკითხია, რომელიც უპირველესად ევროპულ ფეხბურთს აზარალებს, ამიტომაც, დაყოვნება შეუძლებელი იყო და იუჰანსონმა ბლატერს კონტრდარტყმა მიაყენა.

დარტყმა მართლაც ეფექტური იყო. დუელი ბლატერის ტერიტორიაზე, ციურიხში, ფიფას შტაბ-ბინაში შედგა. სეკუნდანტები იყვნენ: იუჰანსონისა — უეფას გენერალური მდივანი გერჰარდ აიგნერი, ბლატერისა — ფიფას გენერალური მდივანი მიშელ ზენ რუფინენი. ბრძოლამ 90 წუთი გასტანა და იუჰანსონის წმინდა გამარჯვებით დასრულდა.

წმინდა გამარჯვებაა, აბა, რა, როცა ზეპ ბლატერი პრესკონფერენციაზე იტყვის: „ევროკავშირისთვის 10 იანვარს გაგზავნილ წინადადებათა პაკეტს უკან გამოვითხოვთ. შევცდით, როცა უეფას არ დავეკითხეთ. ფერ პლეი ჩვენი მოგონილია და სამართლიანობის აღდგენისთვის საკუთარი შეცდომის აღიარება არ გვრცხვენია. პირობას ვიძლევით, რომ გაფრთხილებას ვიკმარებთ და საკუთარ თავს ყვითელ ბარათს არ ამოვულებთ.“

REUTERS ციურიხიდან

ლენარტ იუჰანსონმა (მარჯვნივ) ზეპ ბლატერს ბოდიში მოახდევინა

ღმერთმანი, როგორ არ ჰგავს ეს სიტყვები მსოფლიო ფეხბურთის მმართველის თავდაჯერებულ, გადაჭრით ნათქვამს და როგორ ჰგავს საბჭოელი პიონერის დადებულ ფიცს კომკავშირში მიღების წინ.

საინტერესოა, რა უთხრა იუჰანსონმა ბლატერს იმ 90 წუთში, ასე რომ წაახდინა ამხელა კაცი, რომელმაც, სხვათა შორის, ოთხშაბათს თეირანში ერთობ საინტერესო რამეები თქვა: ფეხბურთი ჩინეთში ჩაისახა, მერე ეგვიპტელებმა გადაიღეს, იქიდან ძველ რომში შეიარა, მერე საფრანგეთში და მხოლოდ ამის შემდეგ მოხვდა ინგლისშიო. თურმე, ჩვენ რომ გვეგონა, ინგლისია ფეხბურთის სამშობლოო, არც მთლად ასე ყოფილა საქმე.

თუმცა ისტორია იქით იყოს და, მაინც საით მიდის თანამედროვე ფეხბურთი? საკითხავი აი, ეს არის.

გიორგი დარჯანია

REUTERS მელბურნიდან

ანდრე აგასი თავს იცავს

შენთვის ჯოჯოხეთი, ჩემთვის საუნა

ავსტრალიის ღია პირველობის გუშინდელმა დღემ მოულოდნელობათა ნაცვლად სულისშემხუთავი პაპანაქება მოიტანა. ყინულიანი ტომსიკებით თავგაგრილებულმა მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგნებმა ანდრე აგასიმ და პიტ სამპრასმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს მეოთხედფინალის ნერწყვისმომგვრელი ჯახისკენ. თუ ხოტორა ლასვეგასელმა საქმის სწრაფად მოთავება და ჩრდილში თავის შეფარება მოახერხა, „პისტოლ პიტმა“ ჯოჯოხეთურ ხვატში საკუთარ თავს კიდევ ერთი მარათონული გამოცდა მოუწყო.

იხილეთ მეცხრე გვერდი

გიო ახვლედიანის

სვეტი

ვალი

სწორედ წინა კვირაში გაზეთმა „სანმა“ დაბეჭდა, დევიდ ბექემი ყოველკვირეულ ხელფასად 230 ათას დოლარს ითხოვსო. ეს ციფრი ოდნავ გადამეტებული აღმოჩნდა, ბექემი თურმე 180 ათასს ითხოვდა, ანუ 50 ათასით ნაკლებს. 50 ათასი იქით, 50 ათასი აქეთ, იქაურ მათემატიკას ჩვენ ვერ მივწვდებით.

ახლა იმაზე, რასაც „სანის“ მოწმობით ბექემი თავის კლუბს სთხოვს კვირის ხელფასად, ჰკიდია ყველაზე სახელოვანი ქართული კლუბის, თბილისის „დინამოს“ ბედი. „დინამოს“ სხვა, ჩვენთვის არა ნაკლებ შთამბეჭდავი ვალებიც აქვს. მაგრამ ეს „მრეტების“ 240 ათასი დოლარი უკვე ოც დღეშია გადასახდელი.

ვალის გადამხდელი კაცი არ ჩანს. თუ ჩანს და მას თავად „დინამო“ უნდა ერგოს ვალმოხდილი და გადარჩენილი „დინამოსგან“. „დინამოს“ ვალი — ჩაკეტილი წრეა.

საქართველოს ყველაზე უფრო სახალხო კლუბი, მისი ისტორიის ერთ-ერთი საყრდენი საბჭოთა დროში, ქვეყნის სახელი და პოპულარობის ლამის უმთავრესი პირობა — თბილისის „დინამო“! თბილისის „დინამო“! რომელმაც ლამის ყველაფერი დაკარგა დამოუკიდებელ ქვეყანაში, გულშემატკივრებით დაწყებული, ფულით და სახელით დამთავრებული, განადგურების პირასაა.

ძალიან ძნელია, როცა შენი საყვარელი კლუბი, მილიონების საყვარელი კლუბი ქრება თანამედროვე თამაშიდან. ახალ დროებას გაუძლეს კიევის „დინამომ“, მოსკოვის „სპარტაკმა“, პრაღის „სლავიამ“, ბელგრადის „ცრვენამ“, ზაგრების „დინამომ“, უამრავმა სხვამ, თბილისის „დინამო“ კი ათი წლის განმავლობაში, გაზომილი ნაბიჯით მიდიოდა უფსკრულისკენ. ოდესლაც დიადი, საერთაშორისო სახელის კლუბი ახლა მთელი თავისი ქონებით იოლად ჩაეტევა იმ გარდერობში, ოდესლაც მისი სახელოვანი სტადიონის ტერიტორიაზე რომ იყიდება.

თბილისის „დინამო“!!! ისტორიის უკვდავი და საყვარელი ფურცლები. სხვა რა?

სხვა დროს, სხვა ქვეყანაში, სხვა გულისტკივილში, სამი კალენდარული მატჩის შემოსავალი გაისტუმრებდა ამ ვალს. არ ეყოფოდა და ხალხი შეაგროვებდა ფულს ვალის ორმოდან საყვარელი კლუბის ამოსაყვანად. იქნებოდა ასე. ნამდვილად იქნებოდა. მაგრამ დღეს, აქ, ასე არ იქნება. არ იქნება და ყველამ იცის რატომაც არ იქნება.

ვინ არის დღეს „დინამოს“ პატრონი? ვის ელაპარაკოს ვინმე უცხოელი თუ აქაური ინვესტორი, თუ ამ ფულის ჩადებას მოინდომებს და კლუბს გადაარჩენს?

ვინ არის დღეს ჩვენი სახელისა და დიდების გულშემატკივარი?

აღარავინ იხსენებს, რომ ამ კლუბის ვალი ყველას გვაქვს, ვალი სიხარულისა, განცდებისა, ოცნებებისა. მაგრამ კლუბმა ხომ თავად თქვა უარი სიხარული მიენიჭებინა ხალხისთვის. ყოველ შემთხვევაში, ასე გამოვიდა.

ნაკვალევს კი, სამწუხაროდ, წვიმა შლის.

რევაზ არველაძე: სხვა გზა, სხვა ხსნა... დინამომ ფული უნდა იშოვოს

მე რომ მწვრთნელი არ ვიყო

ვითარება ისეთია, კაცი მტერს არ უსურვებს. საქართველოს ათგზის ჩემპიონი და, ალბათ, ყველასათვის საყვარელი, საქომაგო თბილისის „დინამო“ სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზეა. მუქარაცაა და მუქარაც — ფიფამ თქვა, თბილისის „დინამო“ 12 თებერვლამდე 240 ათას დოლარსა და 5 ათას შვეიცარიულ ფრანკს თბილისსავე „მრეტებს“ თუ არ გადაუხდის, უფეხბურთოდ უნდა დარჩესო. „დინამოს“ კი, მოგეხსენებათ, დღესდღეობით თეთრიც უჭირს — გუნდი უპატრონოდაა, პრეზიდენტი მერაბ რატიანი კი ხუთთვიანი პატიმრობის შემდეგ ახლა საავადმყოფოშია და ბრონქებს მკურნალობს. ერთი სიტყვით, დარჩა 23 დღე. 23 დღე, რომელიც შესაძლოა მოგონებანი დაასამაროს, წარსული გადააშენოს, „დინამო“ მოკლას. გადაიხდის თბილისის „დინამო“ 240 ათას დოლარსა და ფიფას უპატივცემულობისთვის 5 ათასს ფრანკს? ეს ჯერ კაცმა არ იცის, ყოველ შემთხვევაში, კონკრეტულს ვერავინ ამბობს. იმედი კი არის. ღმერთმა იმედი ნუ მოგვიშალოს... თბილისის „დინამოს“ მწვრთნელი რევაზ არველაძეც ამას ამბობს:

ბადრი ჯიშელიანის ფოტო

— ორშაბათს ბევრი რამ მეცოდინება და იმედი მაქვს, ყველაფერი გაირკვევა, „დინამოს“ საშველი დაადგება. არ მსურს, სხვანაირად გამომივიდეს და ამიტომაც დღეს დაწვრილებით ვერაფერს გეტყვით — გვითხრა გუშინ „დინამოს“ მწვრთნელმა რევაზ არველაძემ — ორშაბათს — გააგრძელა მან — ორშაბათს, ალბათ, ამოვისუნთქავთ.

— ეს რეალურია?

— რეალურია, ყოველ შემთხვევაში, მე მჯერა, რომ ყველაფერი კარგად იქნება. რაღაც-რაღაც დეტალებია შესათანხმებელი.

— კონკრეტულად?

— სჯობს, ამის თაობაზე ორშაბათს ვილაპარაკოთ.

— „მრეტების“ ფულს ვინ გადაიხდის. გუნდის ახალი პატრონი?

— რა თქმა უნდა. ისინი, ვინც თბილისის „დინამოს“ აქციონერები იქნებიან. თუ გუნდის დაპატრონება გსურს, ვალიც უნდა გაისტუმრო. ამაში მხოლოდ „მრეტებისთვის“ გადასახდელ თანხას როდი ვგულისხმობ, „დინამოს“ სხვებისაც მართებს. საქართველოს უპირველესი გუნდი ფეხზე უნდა დადგეს. „დინამოს“ დაღუპვა არ შეიძლება.

— ერთ-ერთი მეპატრონე თქვენც იქნებით? ადრე ითქვა ამის თაობაზე.

— კი, ასეა, საქმე აქეთკენ მიდის. თბილისის „დინამოს“ ერთ-ერთი ახალი დამფუძნებელი, ალბათ, მეც ვიქნები.

— და თქვენივე სიტყვებიდან გამომდინარე, 240 ათასი დოლარისა და 5 ათასი ფრანკის გარკვეულ პროცენტს გადაიხდით.

— ასეა. „დინამოს“ ამჟამინდელი ვალის პროცენტიც უნდა გადავიხადო და ამასთან, ისიც გასათვალისწინებელია, რომ „დინამოში“ აქამდეც მაქვს ჩემი ფული მიტანილი.

— ამას ხომ არ ნანობთ?

— რამ ამბობთ. „დინამოზე“ ბევრის თქმა არც შეიძლება. ყველამ იცის, რა არის „დინამო“. მნიშვნელოვანია ერთ-ერთ ქვეს მე „დინამოს“ მწვრთნელი ვიქნებიდი თუ არა. „დინამო“ თიბილელი ქართველის სიამაყეა, ამ გუნდის სახელი, დარწმუნებული ვარ, ყველა ქართველისთვის ბევრს ნიშნავს. დრო მოვა და „დინამო“ ძველ დიდებას დაიბრუნებს. ამის უნდა გვჯეროდეს.

— იმაში თუ ხართ დარწმუნებული, რომ 12 თებერვლამდე ამხელა თანხა მოიძებნება? ყოველ შემთხვევაში, „დინამოსთვის“ 240 ათასი დოლარი და 5 ათასი ფრანკი დიდი ფულია.

— არის სხვა გზა? უნდა მოვასწროთ. 12 თებერვალი ბოლო ვადაა, მითითებულ საბანკო ანგარიშზე ფული რომ ჩავრიცხოთ, თუ არადა... არ მსურს, ცუდზე ვიფიქრო, „მრეტებისთვის“ და ფიფასთვის გადასახდელი ფული „დინამომ“ უნდა გადაიხადოს.

— სხვა ვალი?

— სხვაც, რა თქმა უნდა. ვალი ვალია. ჩვენს გუნდს საამისო საშუალება უნდა ჰქონდეს.

— ახლა წმინდა საფეხბურთოზეც ვთქვათ. ორიოდ დღის წინ გადაწყვეტილი მხოლოდ ის იყო, რომ „დინამოში“ „დინამო 2“-დან დამატებული ოთხი ჭაბუკი ითამაშებდა. მას შემდეგ რამე ხომ არ შეცვლილა?

— ჩათვალეთ, რომ თბილისის „დინამოში“ ვახტანგ იაგორაშვილი ითამაშებს. ამ ბიჭის დიდი იმედი გვაქვს. ერთი ხანობა, გეხსომებათ, ის გერმანიაშიც თამაშობდა. ჩვენ, მოგეხსენებათ, ტრანსფერები აკრძალული გვაქვს, თუმც კი იაგორაშვილი დღესდღეობით ყველასაგან თავისუფალია და უფლება გვაქვს, ის ჩვენთან ვათამაშოთ.

— გუნდი ვინ დატოვა?

— ჯერჯერობით ეს გაურკვეველია. ყოველ შემთხვევაში, ვისაც კი „დინამოსთან“ კონტრაქტი გაუსრულდა, შესაძლო კარიერა სხვაგან გააგრძელებ. ჩვენ ხელს ვერ შევუშლით.

— რომელ ფეხბურთელებს გულისხმობთ?

— სახვაძეს, ქომოკლიძეს... მათ „დინამოსთან“ კონტრაქტი დაუმთავრდათ და ახლა თავისუფლები არიან. თუ ისინი მოისურვებენ ისევ ჩვენთან დარჩენას, სიამოვნებით, ამაზე ლაპარაკი არც შეიძლება იყოს, დავიტოვებთ.

— თემურ გადელია უკვე წავიდა გუნდიდან?

— არა, ის შესაძლოა უახლოეს დღეებში დაგვიბრუნდეს. „დინამოდან“ წავიდაო, გადელიაზე ვერ ვიტყვი.

ძოგა ინასარიძე

ალანია — აშვეთია, სკანდალი გრძელდება

საქმე ძალიან სერიოზულადაა და შესაძლოა ყოველივე სავალალოდაც დამთავრდეს საქართველოს ახალგაზრდული და ეროვნული ნაკრების ყოფილ წევრ მიხეილ აშვეთიასთვის.

პრობლემა ისევ და ისევ ვლადიკავკაზიდან მომდინარეობს. ოსური „ალანიას“ ხელმძღვანელები ქართველ ფეხბურთელს პროფესიონალის სტატუსის ჩამორთმევით და დისკვალიფიკაციით ემუქრებიან.

მიხეილ აშვეთია რუსეთის გასული ჩემპიონატის შემდეგ თბილისში ჩამოვიდა, შემდეგ ქუთაისს მიაშურა და ცოტა ხანში „ტორპედოში“ აღმოჩნდა, გუნდთან ერთად გაიარა ესენგეს თასისთვის მოსამზადებელი პერიოდი და გუშინ საქართველოს ჩემპიონს მოსკოვში გაჰყვა. სკანდალიც აქედან გაგრძელდა.

გაგრძელდა იმიტომ, რომ „ალანია“ გასულ ზაფხულსაც ემუქრებოდა აშვეთიას. ოსების თქმით, წერეთელმა და აშვეთიამ თვითნებურად დატოვეს ვლადიკავკაზური კლუბი და კარიერის გასაგრძელებლად დანიას მიაშურეს, თუმც მაშინ ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა, ორივე ქართველი ვლადიკავკაზში დაბრუნდა და სკანდალიც ჩაიფარცხა. ახლა კი...

როგორც ჩანს, „ალანიას“ ხელმძღვანელებმა საესენგეოდ გამგზავრებული „ტორპედოს“ განაცხადში აშვეთიას გვარს მოჰკრეს თვალი და გუშინ რუსულ გამოცემებში ოსური კლუბის განრისხებული პრეზიდენტის, სერგეი ტაკოევის მუქარა გაჩნდა.

„აშვეთიას „ალანიასთან“ მოქმედი კონტრაქტი 2002 წლამდე აკავშირებს. როდესაც ეს ფეხბურთელი ჩვენი გუნდის კვიპროსული შეკრების წინ ვლადიკავკაზში არ გამოცხადდა, დავურეკე და მომხდართან დაკავშირებით ახსნა-განმარტება ვთხოვე. მან ჩამოუსვლელობის ორიგინალური, უცნაური მიზეზი დამისახელა, თითქოს „ტორპედოს“ გენერალურ მენეჯერ ვლადიმერ გუცაევს აშვეთიასთვის საზღვარგარეთული პასპორტი გამოურთმევია და ამიტომაც ვერ აბერხებდა ვლადიკავკაზში ჩამოსვლას. მე ვლადიმერ გუცაევთანაც ვცადე დაკავშირება, მაგრამ ამაოდ, ვერაფრით ვერ მოვიხელთე.

ქუთაისური კლუბის ხელმძღვანელები ამის თაობაზე საერთოდ არ შეგვხმიანებიან, ერთი სატელეფონო ზარიც კი ვერ გაიმეტეს, რათა საქმის კურსში ჩაეყენებინეთ. არადა, აშვეთიამ ასეთი რამ მანამდეც გააკეთა და მაშინ ძნელოდ საჯარიმო თანხით გამოვიდა მშრალზე, დიდსულოვნად შევუნდეთ, მაგრამ ყველაფერს ხომ აქვს საზღვარი.

თუ „ტორპედოს“ მესვეურები და თავად ფეხბურთელი უახლოეს დროში არ დაგვიკავშირდებიან და ცივილიზებული მეთოდით არ აგვიხსნიან მომხდარს, გარწმუნებთ, უმკაცრეს გადაწყვეტილებას მივიღებთ. ყველაფერს ფიფა-უეფას შევატყობინებთ და აშვეთიას დისკვალიფიკაციასაც წინ არაფერი დაუდგება“ — აი, ეს თქვა „ალანიას“ პრეზიდენტმა.

მოკლედ, ოსები პასუხს ითხოვენ, ჩვენ კი იმას შეგახსენებთ, რომ ბოლო დროს ჩვენში გავრცელებული ინფორმაციების თანახმად ქართველი ფორვარდი ვლადიმერ გუცაევის ძალისხმევით დაშორდა „ალანიას“ და სამწლიანი შესვენების შემდეგ „ტორპედოს“ დაუბრუნდა. საკითხავი ის არის, დარჩება კი აშვეთია ქუთაისურ კლუბში?

ბადრი ჯიშელიანის ფოტო

მიხეილ აშვეთიასა და „ალანიას“ ურთიერთობა ძალიან ჩაიხლართა

ბაბა ძვანტალიანი

იტალია
სერია B. XIX ტური
ტორინო 2:0 სალერნიტანა

საფრანგეთი
თასის 1/32 ფინალი
რენი 2:1 გენგამი
ისუარი (მოვ.) 0:5 ბორდო

ბელგია
XIX ტური
ბრიუგე 2:2 მუსკრონი

პორტუგალია
XVIII ტური
ავადორა 1:2 ლეირია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს ტკბილ მოგონებებს გაუმარჯოს

წელი	ოქრო	ვერცხლი	ბრინჯაო
1990	იბერია თბილისი	გურია ლანჩხუთი	გორდა რუსთავი
1991	იბერია თბილისი	გურია ლანჩხუთი	ქუთაისი
91-92	იბერია თბილისი	ცხუმი სოხუმი	გორდა რუსთავი
92-93	დინამო თბილისი	შევარდენი თბილისი	ალაზანი გურჯაანი
93-94	დინამო თბილისი	ოლიმპი ფოთი	ტორპედო ქუთაისი
94-95	დინამო თბილისი	სამტრედია	ოლიმპი ფოთი
95-96	დინამო თბილისი	მარგვეთი ზესტაფონი	ოლიმპი ფოთი
96-97	დინამო თბილისი	ოლიმპი ფოთი	ბათუმი
97-98	დინამო თბილისი	ბათუმი	ოლიმპი ფოთი
98-99	დინამო თბილისი	ტორპედო ქუთაისი	ლოკომოტივი თბილისი
99-00	ტორპედო ქუთაისი	ვიტ ჯორჯია თბილისი	დინამო თბილისი

თერთმეტი წელიწადი და თერთმეტი ჩემპიონატია ეროვნული ფეხბურთის ზურგსუკან. ეს მთელი ეპოქაა. ამ დროის მანძილზე რამდენიმე ქართულმა კლუბმა მოახერხა აღზევება, განიცადა სასიხარულო წუთები. ბევრმა დაიმშვენა მკერდი ოქროთი, ვერცხლით და ბრინჯაოთი.

დრონი მეფობენო, ნათქვამია და აღზევებულებს დაცემის დროც დაუდგა. ისინი ნელ-ნელა გაქრნენ ქართული საფეხბურთო რუკიდან. ზოგიერთი დღესაც არსებობს, მაგრამ...

„გურია“ თუ გახსოვთ ქომაგებს, ლანჩხუთელთა სათაყვანებელი გუნდი — საქართველოს თასის მფლობელი, ორჯერ ვიცე-ჩემპიონი, ანგარიშგასაწევი ძალა ყველა ქართული კლუბისთვის.

ორჩემპიონატიანი ზეობის შემდეგ კიდევ შვიდ სეზონს გაძლო „გურიამ“ ქართულ საფეხბურთო ელიტაში. წლიდან წლამდე უფერულდებოდა და ჩაჩანაკდებოდა. საიუბილეო მეათე გათამაშებისას კი ვერც ფეხბურთის ფედერაციამ უშველა. იმ ფედერაციამ, რომელიც ბოლო ორ სეზონში თავგანწირვით მოათრევდა ჩასაძირად გამზადებულ „გურიას“.

საფეხურით დაბლა ჩაქვეითდნენ ლანჩხუთელები. მეორე ლიგის ერთ-ერთ ზონაში ბურთაობდნენ. მერე რკინიგზას შეუერთდნენ. „გურია-ლოკომოტივის“ სახელით აპირებენ უძლიერესთა შორის დაბრუნებას, მაგრამ არც ახლა ულხინთ.

ვალები სჭამს „გურიას“. ხელმძღვანელებმა ერთხანს გრიგოლეთის ბაზის გაყიდვაც გადაწყვიტეს. გაყიდიდნენ კიდეც, მაგრამ ქომაგებმა ივარგეს. თუმც ეს საკითხი ჯერაც აქტუალური და სადავიდარაბოა.

გასასტუმრებელია მოთამაშეთა დავალიანება, ბევრი სხვა პრობლემაც გადასაჭრელი. მთავარი კითხვა კი ისევ უპასუხოა — შეძლებს თუ არა „მარგვეთის“ მონარჩენი „გურიას“ აღორძინებას? იმ „მარგვეთისა“, თავის დროზე ვიცე-ჩემპიონი რომ ყოფილა და ახლა საერთოდ გამქრალია ქართული ფეხბურთიდან.

სოხუმის „ცხუმმა“ ოთხ გათამაშებაში ვიცე-ჩემპიონობაც მოასწრო და ორჯერ თასის ფინალისტობაც. მეტი არ დასცალდა — ომი, უბედურება, აყრა მშობლიური მიწიდან და ლტოლვილად გადაქცევა მშობლიურსავე ქვეყანაში.

ხუთი სეზონის მანძილზე არ არსებობდა „ცხუმი“. ფეხბურთელები დაიფანტნენ. ენა როგორ მოგიბრუნდება, ვის გაამტყუნებ. 12 ლარად ოჯახს ვინ შეინახავს. ეს საქართველოში მხოლოდ ერთ ადამიანს ძალუძს, თურმე...

მაინც აღსდგა „ცხუმი“. მართალია, ისეთი თვითმყოფადი და სხვებისგან გამორჩეული აღარაა, მაგრამ მაინც იწერება ახალი ისტორია.

იქნებ ოდესმე „ცხუმი“ დაუბრუნდეს მშობლიურ გარემოს და მაშინ... ახალგაზრდული „ცხუმი“ დღეს რეგიონულ ლიგაში თამაშობს. ასეთია კიდევ ერთი ვიცე-ჩემპიონის სამწუხარო ისტორია.

„შევარდენი 1906“! იყო დრო, „დინამოს“ პირველობაში ეცილებოდა. მეორეობა არავის დაუთმო. მერე ისიც ნელ-ნელა დაიშალა. გავარდნას ისევ სხვასთან შ[illegible]თება არჩიეს ხელმძღვანელებმა. ასე შეიქმნა „თსუ-შევარდენი“.

ამ ამბის ბოლო სულ ადვილად იყო გამოსაცნობი. ყველანაირი გაერთიანება ხომ ერთი ბოლოთი მთავრდებოდა. გაქრა „შევარდენი“. თსუ-მ დაიჭირა მისი ადგილი. სტუდენტური კლუბი ცოტა ხანში სხვაგან გადაბარგდა, და დარჩა „შევარდენი“ საფეხბურთო სკოლის ამარა.

ჭკუა იხმარეს ხელმძღვანელებმა. ბოლომდე არ დაშალეს კლუბი. ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ აკეთეს საქმე. სტადიონს, მის შემოგარენს მიხედეს. შენება იქ დღესაც გრძელდება.

...დაბრუნების დროც დადგა. სულ ახლახან, ახალ საუკუნეში, „შევარდენს“ შეუერთდა „იბერია“. შეიქმნა „შევარდენი-იბერია“. უმაღლეს ლიგას უბრუნდება ყოფილი ვიცე-ჩემპიონი, საკითხავია მხოლოდ, რამდენი ხნით შემორჩება ელიტას.

ამ გაერთიანების ბოლოც ნათელია. ალბათ, გაქრება „იბერია“ და აღორძინდება „შევარდენი“.

ბევრი იწვალა გურჯაანის „ალაზანმა“ და ახლაც წვალობს. კახეთშიც ყოფილა ფეხბურთის ბუმი. მეოთხე გათამაშების წინ იმ ბუმმა პიკს უწია. გურჯაანში სერიოზული გუნდი შეიკრიბა და იმ სეზონში „ბრინჯაოს“ ხანაც დაუდგა „ალაზანს“. ერთწლიანი გუნდის იმიჯი, გაქრობა და მერე აღორძინება ყოფილა ერთ დროს ეროვნული ჩემპიონატის პრიზიორის ბედისწერა.

მეექვსე ჩემპიონატის შემდეგ წაიშალა საფეხბურთო რუკიდან „ალაზანი“. მეცხრე გათამაშებაში აღსდგა. ერთი ხანობა ქიზიყს შეაფარა თავი და მონაგარი ქართულ „მილანს“ დაუთმო. დღეს ისევ გურჯაანშია, რეგიონულ ლიგაში, აღმოსავლეთ ზონაში მეოთხეა. დაბრუნდება ოდესმე უმაღლეს ლიგაში? პერსპექტივა ძალიან ბუნდოვანია.

ბევრჯერ გადაწყვიტეს ზესტაფონში სოლიდური გუნდის გაკეთება. ექვსი წელიწადი მოანდომეს ამას და საწადელს მეშვიდე გათამაშებისას მიაღწიეს, „მარგვეთი“ ვიცე-ჩემპიონი გახდა. იმ სოლიდურმა გუნდმა, მართალია, თავიც მოგვჭრა ევროპაში, მაგრამ სიდუხჭირეს საუკუნის ბოლომდე მაინც უძლებდა.

უძლიერესთა რიგებს მეცხრე ჩემპიონატში დაეთხოვა. ორი სეზონის მანძილზე ქვედა ლიგაში ყინჩად ეჭირა თავი. შარშან კი თავისი ადგილი ზესტაფონისვე „მეტალურგს“ დაუთმო და თავის ისტორიას წერტილი დაუსვა.

„მარგვეთის“ მონარჩენი (პრეზიდენტი და რამდენიმე ფეხბურთელი) კი ლანჩხუთში გადაბარგდა. იქაური „გურია-ლოკომოტივისთვის“ იხარჯება.

ჩემპიონობის, პირველობის ყველაზე დიდი შანსი სამტრედიულ გუნდს ჰქონდა. ერთი ნაბიჯიღა დააკლდა, ვიცე-ჩემპიონობასღა დააჯერეს.

მისთვის უცხო სულაც არ ყოფილა სახიფათო ზღვართან თამაში. მერვე ჩემპიონატში სულაც დაქვეითდა და ერთ წელიწადშივე დაბრუნდა.

სამტრედიული ფეხბურთისთვის საბედისწერო მაინც საუკუნეთა გასაყარი აღმოჩნდა. „იბერიამ“ მშობლიური ქალაქი დატოვა. აღმა-დაღმა, ამერ-იმერ იწყო ხეტიალი. სხვა ვერაფერი მოიფიქრა და გააწყო — ბოლოს თბილისში გადმოიხვეწა და „შევარდენს“ შეეკედლა.

„შევარდენი-იბერია“ ვერაფრით იქნება სამტრედიული. თითქმის არაფერი დარჩა ძველი სახელიდან. გაქრობის პირასაა „იბერია“. ალბათ, გაქრება კიდეც.

თითქმის წარსულის ყველა დიდება ვახსენეთ, მაგრამ ათგზის ჩემპიონზე არაფერი გვითქვამს. არა, „დინამოს“ გაქრობა ნაკლებად არის მოსალოდნელი, მაგრამ ქვეყნის ყველაზე ტიტულიანი კლუბი რომ სულს ღაფავს, ფაქტია.

გულშემატკივარი სუპერკლუბს ელოდა და უძლური გუნდი შერჩა ხელთ. „დინამოს“ დღეს ისიც კი არ ძალუძს, ევროპელი ბავშვები დაამარცხოს.

ვალი აქვს „დინამოს“ ერის და ბერის. გადამხდელი არავინაა, უფრო სწორად, არავის სურს უპატრონო, დაშლილი და ფაქტობრივად არარსებული კლუბისთვის ფულის გადაყრა.

ყველა ერთმანეთს შესცქერის. განა მარტო 240 ათასი დოლარია გასაღები. ვალი სხვაც ბევრია. ჯიბეში ხელს არავინ ჩაიყოფს, თუ, რა თქმა უნდა, მერე სარგებელს ვერ ნახავს. სახელმწიფოც არ გადაიხდის „დინამოს“ ვალს და არც ქომაგები შეაგროვებენ „დინამოს“ დასახსნელ ფულს.

ფულიანი გულშემატკივარი „დინამოს“ თითქმის არა ჰყავს და არც იმდენი ქომაგი, სიმწრით ნაშოვნი ლარი გასაცოდავებული კლუბის ვალებს აუვიდეს.

...იყო დრო, იყო იმედი. გამარჯვებებს ზეიმობდნენ, მაგრამ იმ სიხარულით ცხოვრობდნენ და თითქმის არ ფიქრობდნენ მომავალზე.

ზოგი გაქრა, ზოგიც გაქრობის პირასაა. დრო კი გარბის და ფეხბურთიც სულ სხვა მიმართულებით ვითარდება. იქნებ ახლებმა ივარგონ, იქნებ თავიდან დაიწეროს „დინამოს“, „გურიას“, „ცხუმის“, „შევარდენის“, „ალაზანის“, „მარგვეთის“, „იბერიას“ ისტორიები.

ზამუკა ძვანტალიანი

სურათი „გურიას“ ძველი დიდებისა: თასის პირველი მფლობელი ლანჩხუთელები „ეროვნულზე“

	გუნდი	1990	1991	91-92	92-93	93-94	94-95	95-96	96-97	97-98	98-99	99-00	00-01
	გურია ლანჩხუთი	A 2	A 2	A 4	A 12	A 7	A 13	A 13	A 13	A 14	A 16	B³ 8	
	ცხუმი სოხუმი	A 7	A 6	A 2	A 17						B¹ 6	B¹ 6	C¹ 5
	შევარდენი თბილისი	A 16	A 16	A 16	A 2	A 6	A 10	A 12	A 12	A 8	A 14	A 11	A
	ალაზანი გურჯაანი	B 3	A 10	A 18	A 3	A 16	B 10			C¹ 3	B¹ 12	B² 2	C¹ 4
	მარგვეთი ზესტაფონი	B 2	A 8	A 8	A 6	A 8	A 9	A 2	A 7	A 16	B³ 2	B³ 1	
	იბერია სამტრედია	A 12	A 18	A 15	A 10	A 4	A 2	A 4	A 15	B 2	A 8	A 7	A

სარგებლის არქივიდან

იაშვილმა ფინკე დაამშვიდა

მოგეხსენებათ, გერმანული „ფრაიბურგი“ პორტუგალიაში შეკრებაზე იმყოფება. იაშვილი, კობიაშვილი, ცქიტიშვილი, კიკნაძე — ოთხივე ქართველი გუნდის მთავარი მწვრთნელის, ფოლკერ ფინკეს განკარგულებაშა. „ფრაიბურგმა“ პორტუგალიაში უკვე ორი საკონტროლო მატჩი გამართა და ჩვენც მათზე ვთქვათ.

პირველ მატჩში, რომელიც 17 იანვარს გაიმართა, ფინკეს გუნდის მეტოქე გერმანულივე „დუისბურგი“ იყო. ქართველთაგან იაშვილის გარდა ყველამ ითამაშა. ცქიტიშვილმა 90 წუთი დაჰყო მოედანზე, კობიაშვილი მეორე ნახევარში კოლმა შეცვალა, ასევე მეორე ტაიმში ფინკემ კიკნაძე ჩართო თამაშში კელის სანაცვლოდ. მართალია, „ფრაიბურგმა“ მეორე ტაიმში ორი გოლი გაუტანა მეტოქეს, მაგრამ სამაგიეროდ ექვსი გაუშვა და საბოლოოდ გვარიანად შერცხვა, რამაც ფინკე ერთობ განარისხა, თუმც მომდევნო დღეს, მორიგი საკონტროლო მატჩის შემდეგ მან დაწყნარებულ-დამშვიდებულმა დატოვა სათადარიგოთა სკამი.

„ფრაიბურგის“ მეტოქე პორტუგალიაშივე მყოფი „ფეიენოორდი“ გახლდათ. ფინკეს გუნება-განწყობილების გამოკეთებაზე კი პირველმა ალექსანდრე იაშვილმა იზრუნა და 56-ე წუთზე ანგარიში გახსნა. მატჩის ბოლომდე თანაგუნდელის გოლს მიულერმა და კულიბალმა ორიც შემატეს და საბოლოოდ „ფრაიბურგმა“ 3:0 დაამარცხა ბოსველტის, კალუს, ვან ვონდერენისა და ლეონარდუს გარეშე მოთამაშე „ფეიენოორდი“.

პაატა ძვანტალიანი

დინამო: მილანს რომ კალაძე არ უთხოვიაო

საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის, კახა კალაძის „მილანში“, თუ რომელიმე ევროპულ გრანდში გადასვლა-არგადასვლის თემა დღესდღეობით ერთ-ერთი აქტიურია ქართულ საფეხბურთო წრეში.

მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ თავად ფეხბურთელი სულმოუთქმელად ელის უკრაინულ „დინამოდან“ განთავისუფლებას და უფრო სოლიდურ უცხოურ კლუბში გადასვლის დიდი სურვილი აქვს, მაგრამ კალაძის ოცნებას ამას წინათ კიევის „დინამოს“ პრეზიდენტის გრიგორი სურკისის სიტყვებმა ცივი წყალი გადაასხა, ამ ეტაპზე კალაძის გაყიდვას არ ვაპირებთ და იგი კვლავაც ჩვენს კლუბში ითამაშებსო, თქვა სურკისმა.

სურკისს არც იოჟეფ საბო — „დინამოს“ ვიცე-პრეზიდენტი ჩამორჩა და ხუთშაბათს კალაძესთან დაკავშირებით უკრაინელ ჟურნალისტთა ინტერესი დააკმაყოფილა, თანაც საბომ კალაძის კიევში დარჩენის კონკრეტული მიზეზიც განმარტა.

— კალაძის ირგვლივ ათასგვარი მითქმა-მოთქმაა ატეხილი. ამ ფეხბურთელის სურვილს უდიდეს პატივს ვცემთ, მესმის, რომ ადამიანი ყოველთვის უკეთესისკენ უნდა მიილტვოდეს მაგრამ... ხშირად ახსენებენ „მილანს“, თითქოს ამ კლუბს ძალიან სურს ქართველი ფეხბურთელის გადაბირება და ჩვენ ვუქმნით პრობლემებს. ეს ასე არ არის, საქმე ისაა, რომ დღემდე „მილანს“ კალაძის თაობაზე არც ერთი კონკრეტული წინადადებით არ მოუმართავს — განაცხადა „დინამოს“ ვიცე-პრეზიდენტმა.

პაატა ძვანტალიანი

ანდრეი შევჩენკო და კახა კალაძე

უფრო მეტი სოხუმში

გასული წლის შედეგები შეაჯამა და სამომავლოდ სამუშაო გეგმა დაამტკიცა აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციამ.

აღმასკომმა მოისმინა და მოიწონა აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ. მომხსენებლებმა, ფედერაციის პრეზიდენტმა მურად ანჯაფარიძემ და მდივანმა დიმიტრი ჭანტურიამ, მომავალი შეჯიბრებების ნუსხაც წარმოადგინეს.

აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია მარტში გურამ გაბისკირიას სახელობის ტურნირს ჩაატარებს.

აპრილში ანატოლი ნორაკიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირია დაგეგმილი.

მაისში ვიტალი დარასელიას გაიხსენებენ. მინი-ფეხბურთის ტურნირი თბილისში ჩატარდება.

ივნისში აფხაზეთის პირველობა დაიწყება. გუნდები მინი-ფეხბურთში გაეჯიბრებიან ერთმანეთს.

სექტემბერში ჟიული შარტავას ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი დაიწყება, ხოლო წლის ბოლოს ისევ შეიკრიბება აფხაზეთის ნაკრები და სავარაუდოდ ან რუსთავში, ანაც გორში ამხანაგურ თამაშებს გამართავს.

აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციამ, მისმა აღმასკომმა ფედერაციის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისთვის დააჯილდოვა სოხუმის უნივერსიტეტის რექტორი, აღმასკომის წევრი ოთარ ჟორდანია, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, აღმასკომის წევრი მერაბ დგებუაძე და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო კომიტეტის თავკაცი ანატოლი მილჩენკო.

ნათქვამია, სანამდეც საბანი გაგწვდებაო... სოხუმში დაბრუნების შემდეგ უფრო მეტს შეგვპირდებიან აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის თავკაცები.

დათო დანელია

საშუალოზონიო მიდი-მოდი

		გასხვისებულები	ახალწვეულები	სეზონთშორისი
	ლოკომოტივი *გივი ნოდია*	აბრამიძე, გონჩაროვი, პარამონოვი (სკონტო, ლატვია), ლევან სილაგაძე, თოდუა (ტორპედო), რუსია (ცსკა, უკრაინა)	გივი ნოდია (მთავარი მწვრთნელი)	
	ტორპედო *დავით ყიფიანი და რევაზ ძოძუაშვილი*	ქანტურია (ბათუმი), ჩხაიძე (მერანი), თურმანიძე, შეყრილაძე, ვაჩიბერაძე, მეგრელაძე (?)	დიდავა (მაკაბი, თ-ა, ისრაელი), აშეეთია (ალანია, რუსეთი), ლევან სილაგაძე, თოდუა (ლოკომოტივი), ქემოკლიძე (დინამო), ახალკაცი (კოლხეთი), გვირჯიშვილი (ცხინვალი), ბაბუნაშვილი (სამგურალი); რევაზ ძოძუაშვილი (ერთ-ერთი მთავარი მწვრთნელი)	კოლხეთი 0:0
	დინამო *რევაზ არგველაძე*	ქემოკლიძე (ტორპედო), სახვაძე (რიდი, ავსტრია), გადელია (?)	იაგორაშვილი (პროიზერ კიოლნი, გერმანია), ჩიკვაძე, მიკუჩაძე, მანნკავა, ქარდავა (დინამო 2)	დილა 4:0, გორდა 4:3
	ვიტ ჯორჯია *თემურ მახარაძე*	დეკანოსიძე (ფიურტი, გერმანია), სტურუა (თსუ)	გოგობერიშვილი (ანჟი, რუსეთი), არსოშვილი (ტრავმირებული იყო), მამარდაშვილი, გოცირიძე, წუწუნავა, ადამია (თსუ), ზაზაშვილი (ხალიბი), ჩოხელი (ბათუმი), ფეიქრიშვილი (ვალენსია)	სიონი 2:1, თსუ 2:0
	კოლხეთი *სოსო ფილია*	ახალკაცი (ტორპედო), მაღლაკელიძე (მერანი), ფრანგიშვილი (სამგურალი), გ. ჩიტაია, ბ. ჩიტაია (დილა), კედელაშვილი (გორდა), დავითნიძე (ნ.ნოვგოროდი, რუსეთი), ხუჭუა (?, რუსეთი)	ქვაჩახია, მ. ქობულაძე (ბათუმი), წიწნიკაძე (სიონი), მუმლაძე (იბერია შევარდენი), კ. ეადაჭკორია (თსუ), ვართაგავა (ხობი)	ტორპედო 0:0, ბათუმი 4:1
	მერანი *ოთარ გაბელია*	პოდლესნი (ზარია, უკრაინა)	მაღლაკელიძე (კოლხეთი), ჩხაიძე (ტორპედო), ი. შენგელია (სპარტაკი, მოსკოვი, რუსეთი); ოთარ გაბელია (მთავარი მწვრთნელი)	
	ბათუმი *ასლან ბალაძე*	ბედიაშვილი (გორდა), ჩოხელი (ვიტ ჯორჯია), ქვაჩახია, მ. ქობულაძე (კოლხეთი), სიდამონიძე (ტავრია, უკრაინა), თარგამაძე (სიონი), ბ. შენგელია, ბარქაია, გაბისონია (ტრანსფერზეარიან), სიხარულიძე, ქერაშვილი, სოხვაძე (?)	ქანტურია (ტორპედო), ი. მახარაძე, მაჭუტაძე, ტულუში (არ თამაშობდნენ)	კოლხეთი 1:4
	სიონი *სპარტაკ არჩვაძე*	წიწნიკაძე (კოლხეთი), გამცემლიძე, პეტრიაშვილი, დიმიტრიშვილი, მ. გოგოლაძე (?)	თარგამაძე (ბათუმი), ტარიელაშვილი (თორი), მოსულიშვილი, ძაბირაძე (არ თამაშობდნენ)	ვიტ ჯორჯია 1:2
	გორდა *იასონ ალადაშვილი*		ბედიაშვილი (ბათუმი), კედელაშვილი (კოლხეთი), თ. მეტრეველი (არ თამაშობდა)	დინამო 3:4
	დილა *ვაჟა ხაჩირაშვილი*		ა. ბოკერია, ერაძე (თსუ), რ. ხაჭაპურიძე (ცხინვალი), გ. ჩიტაია, ბ. ჩიტაია (კოლხეთი)	დინამო 0:4
	თსუ *მერაბ კოჭლაშვილი*	მამარდაშვილი, გოცირიძე, წუწუნავა, ადამია (ვიტ ჯორჯია), ა. ბოკერია, ერაძე (დილა), კ. ეადაჭკორია (კოლხეთი), გუგუნავა (?)	სტურუა (ვიტ ჯორჯია), ბერიანიძე, ჭიღლაძე, ელყანიშვილი, დათუნაიშვილი, დ. სულავა, ბეროშვილი, ე. მერებაშვილი, შოშიაშვილი, ჯობავა, ა. ლობჟანიძე (ვიტ ჯორჯია 2)	ვიტ ჯორჯია 0:2
	იბერია შევარდენი *ნოდარ აკობია*	ს. გიგიაძე (ტავრია, უკრაინა), ბინაძე, ოდიკაძე, ლ. ხმალაძე (სპარტაკი, სუმი, უკრაინა), მუმლაძე (კოლხეთი), ვარდანიძე, ჩომახიძე, გ. ნოზაძე (?)	ნოდარ აკობია (მთავარი მწვრთნელი)	

შენიშვნა: საბოლოო მხოლოდ დახრილი ტრანსფერებია

თურქს ჩეკის ჩეკი არ ეყო

ფათიჰ თერიმი

ვიტორიო ჩეკი გორი

ამას წინათ ვწერდით, თურქი მწვრთნელი ფათიჰ თერიმი „ფიორენტინას“ პრეზიდენტ ვიტორიო ჩეკი გორისთან შეხვედრას აპირებს, რათა კლუბში თავისი მომავალი გაარკვიოსო. როგორც ცნობილია, თერიმს სეზონის ბოლოს კონტრაქტი უსრულდება, ამიტომ ბევრს აინტერესებდა, კიდევ დარჩება თუ არა თურქი ფლორენციაში.

ჩეკი გორი თერიმს დახურულ კარს მიღმა შეხვდა და მათმა საუბარმა გვიან ღამემდე გასტანა, იქიდან გამოსულმა მედიამაგნატმა კი პრესას კმაყოფილებით განუცხადა: „საქმიანი ვახშამი გვქონდა. ორსაათნახევარი ვისაუბრეთ, თითქმის ყველა თემას შევეხეთ. მათ შორის ახალგაზრდული გუნდის პრობლემებსაც და სატრანსფერო პოლიტიკასაც. თერიმმა მოსაფიქრებელი დრო ითხოვა. მომავალ კვირაში კიდევ შევხვდებით და დიდი იმედი მაქვს, რომ მიმდინარე კონტრაქტს მომდევნო ორი სეზონით გავუხანგრძლივებთ“.

თერიმმა იფიქრა და... მწვრთნელმა პრესასთან საუბარი თავიდან იუარა, მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრამდე აცხადებდა, იქიდან რომ გამოვალ, ყველაფერს ვიტყვიო, მაგრამ არ მოეშვნენ და სენსაციური განცხადებაც დასცინცლეს — ამ სეზონის ბოლოს გუნდიდან მივდივარო.

არადა, საიდუმლო არაა, რომ ჩეკი გორის ფლორენციაში უკვე მრავალი მოწინააღმდეგე ჰყავს მაშინ, როცა თურქი ქალაქში დღითი დღე პოპულარული ხდება. ამის დასტურია ის საპროტესტო აქციაც, რომელიც 300-მდე ფლორენციელმა გულშემატკივარმა ჩეკი გორის რეზიდენციის წინ შეხვედრის მიმდინარეობის დროს გამართა.

ნიკა ფუბლაძე

აი, ყველაზე აქტუალური თემა იტალიაში. „ფიორენტინასთან“ ბოლო ტურში 0:4 განადგურების შემდეგ არავის ეგონა, თუ „მილანის“ მწვრთნელად კვლავაც ალბერტო ძაკერონის დატოვებდნენ. არადა, „რომასთან“ სახვალიო პრინციპული მატჩისთვის „როსსონერის“ კვლავაც ძაკერონი დამოძღვრავს.

— ახლა მწვრთნელის შეცვლა უაზრობაა, ყველანი „რომასთან“ მატჩზე ვფიქრობთ. ძაკერონიც და ფეხბურთელებიც მობილიზებულნი არიან — განაცხადა „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ.

ამასობაში კი ტურინულმა გაზეთმა „ტუტოსპორტმა“ პირველ გვერდზე უშველებელი ასოებით ძაკერონის სიტყვები დაბეჭდა — „ნახვამდის, „მილანო“ — თან დაამატა, ძაკერონი „რომასთან“ მოახლოებულ მატჩამდე ჟურნალისტებს არც დაელაპარაკება, ინტერვიუზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტიაო.

აქამდე ამბობდნენ, მილანელები ძაკერონის პატივს მხოლოდ გალიანი სცემს და ის, რომ მწვრთნელი პოსტს ჯერ-ჯერობით კვლავაც ინარჩუნებს, სწორედ სინიორ გალიანის დამსახურებაა. ახლა კი ჭორი გავრცელდა, მათ შორის ურთიერთობა გაფუჭდა, მწვრთნელსაც გუნდში არ დაედგომება და მისი დღეებიც დათვლილიაო.

ასეა თუ ისე, მილანელოში გუნდს კვლავაც „უდინეზეს“ ყოფილი თავკაცი წვრთნის. მის შესაძლო შემცვლელად სილვიო ბერლუსკონის ფავორიტი, „ფიორენტინას“ თურქი მწვრთნელი ფათიჰ თერიმი ესახებათ, თუმცა კანდიდატები სხვებიც არიან, უფრო ზუსტად კი ორნი: მაურო ტასოტი, ახლო წარსულში საკისა და კაპელოს დროინდელი „მილანის“ მარჯვენა მცველი, რომელიც ახლა ახალგაზრდულ გუნდს წვრთნის და ტასოტის მაშინდელი თანაგუნდელი, „მილანის“ ექსვარსკვლავი და ჰოლანდიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ფრანკ რაიკარდი.

ახლა ერთი საყურადღებო ამბავიც. გუშინ მილანელოში თურქი აგენტი შენიშნეს, რომელიც გუნდის „ვარჯიშსაც დაესწრო და შემდეგ კლუბის ბოსებსაც შეხვდა. ეს თურქი კი, რა ძნელი მიხვედრა უნდოდა, ფათიჰ თერიმის აგენტი ყოფილა. იმ თერიმისა, რომელიც ჯერ „ფიორენტინას“ პრეზიდენტ ვიტორიო ჩეკი გორის უნდა შეხვედროდა და აქედან გამომდინარე, უნდა გადაეწყვიტა, დარჩება „ფიორენტინას“ მწვრთნელად თუ ახალი სეზონიდან „მილანს“ ჩაუდგება სათავეში. თერიმს იტალიაში უკვე ისე იცნობენ, როგორც ფეხბურთის ზედმიწევნით მცოდნეს და მის ნიჭსაც უდიდეს პატივს სცემენ, მაგრამ გაუშვებენ კი „ვიოლადან“?

...აქვე „მილანის“ სატრანსფერო გეგმებზეც გეტყვით. ბერლუსკონის თავის გუნდში არგენტინელი ხუან რომან რიკელმეს და ბარელი ყმაწვილის, ანტონიო კასანოს ხილვა რომ სურს, არახალია. „მილანში“ მალე გამოჩნდება ვეტერანი მცველი მარკო ლანა, რომელსაც 1994 წელს, აშშ-ის მსოფლიოს ჩემპიონატზე „სკუადრა აძურას“ ღირსებაც დაუცავს. ლანა ახლა ესპანეთში, კერძოდ, „სარაგოსაში“ თამაშობს. გუნდიდან წავა მადრიდის „რეალიდან“ ნათხოვარი ბრაზილიელი მცველი ჟულიო სეზარი, იგი ესპანურ „სოსიედადში“ გადავა და ჩვენებური გიორგი დემეტრაძის თანაგუნდელი გახდება. დანიელი თომას ჰელვეგი, უბრალოდ, ადგილს გამოიცვლის და მილანშივე დარჩება — მას „ინტერი“ ეპატიჟება. აი, იუგოსლავიელ დრაჟენ ბრნჩიჩს კი ხურდად მიაყოლებენ: მილანელები „სალერნიტანას“ ფორვარდ იგლი ვანუკის სანაცვლოდ 18 მილიარდ ლირას იხდიან და ზედ სწორედ ბრნჩიჩს ამატებენ.

...ხვალ კი პრინციპული მატჩია. „სან სიროს“ ფაბიო კაპელო უბრუნდება თავის „რომასთან“ ერთად.

გიორგი ვაშაკიძე

ROMA DERBY

ROMA DERBY ძაკერონი?

ნაქცევულ „სტრასბურს“ აღარ დაარტყმს

ხუთშაბათს საფრანგეთში ფეხბურთის ეროვნული ლიგის სადისციპლინო კომისიამ 21 დეკემბერს პირველი დივიზიონის 22-ე ტურისას მომხდარი დარღვევები განიხილა და დამნაშავეთ სასჯელებიც შეუფარდა. მაშინ ორი მატჩისას (ლილი — ბასტია და სტრასბური — მეცი) მოხდა ამბები, რომლებმაც დისციპლინარების ყურადღება მიიპყრო.

ლილის შეხვედრის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე გასახდელიდან მინდვრისკენ მიმავალ გვირაბში სტადიონის დაცვის თანამშრომლები და კორსიკის დელეგაციის წევრები წაიკიდნენ. შედეგად, „ბასტიის“ პრეზიდენტ ფრანსუა ნიკოლაის ერთი-ორი მოზდა და შინ ჩასვლის მერე ერთი დღე საავადმყოფოშიც გაატარა. ლილეში თავს იმართლებდნენ, სტუმართაგან ყველას არ ჰქონდა მინდორზე გასასვლელი საშვი და რა ჩვენი ბრალიაო. მათ არავინ დაუჯერა და 500 ათასი ფრანგული ფრანკითაც დაჯარიმეს, რითაც ორივე გუნდი უკმაყოფილო დარჩა. „ამ გადაწყვეტილებას არ ვეთანხმებით და შეიძლება გავასაჩივროთ კიდეც“ — განაცხადა „ლილის“ პრეზიდენტმა ლუკ დეიანმა. ისე, მართლაც ძნელია ჯიბიდან ნახევარი მილიონი ამოგაცალონ და შენ კმაყოფილი დარჩე, მით უმეტეს, როცა თავს დამნაშავედ არ გრძნობ.

ბასტიელებს რაღა უნდათო, იკითხავთ. ბატონ ნიკოლაის მოვუსმინოთ: „ჩვენ პოზიციას არ შევცვლით. ვიმეორებთ, რომ იმ შეხვედრას ნორმალურ პირობებში არ ჩაუვლია და ჩვენი მარცხიც (0:1) გარკვეულწილად მატჩამდელმა ამბებმა განაპირობეს. ამიტომაც გადათამაშებას მოვითხოვთ. გადაწყვეტილებას კი, ალბათ, გავასაჩივრებთ“.

რასაც ნიკოლაი ითხოვს, პრუაზიმ უკვე მიიღო. სტრასბურის შეხვედრისას ერთ-ერთმა ალზასელმა გულშემატკივარმა ტრიბუნიდან მაშხალა ისროლა, რომელიც გვერდით მსაჯს, ქალბატონ ნელი ვიანოს ყურთან აუფეთქდა. შედეგად, მსაჯმა წონასწორობა დაკარგა, დაეცა და მცირე შოკშიც აღმოჩნდა. მატჩის მთავარმა არბიტრმა კი თამაში შეწყვიტა. ეს 68-ე წუთზე მოხდა, როცა მასპინძლები მეცელებს 1:0 უგებდნენ ოთხიოდ წუთით ადრე გატანილი გოლით.

სადისციპლინო კომისიამ „სტრასბურს“ ერთი საშინაო შეხვედრის ნეიტრალურ მოედანზე გამართვა მიუსაჯა, შეწყვეტილი მატჩი კი ცარიელი ტრიბუნების წინაშე გადაითამაშეთო, ბრძანა.

„თამაშს მინდორზე იგებ და აგებ და არა კომისიის სხდომაზე“ — ასე დაასაბუთა აღნიშნული გადაწყვეტილება კომისიის პრეზიდენტმა ჟაკ რიოლასიმ. ასე რომ, „სტრასბურის“ პრეზიდენტმა პატრიკ პრუაზიმ შვებით ამოისუნთქა, რადგან მის ისედაც გაჭირვებულ, ბოლო ადგილზე მყოფ და გასავარდნად განწირულ გუნდს ტექნიკური წაგება არ ჩაუთვალეს. ეტყობა, საფრანგეთშიც არ ურტყამენ წაქცეულს.

„ეს უბრალოდ უბედური შემთხვევა იყო, რადგან მსაჯის დაშავება არავის სდომებია. კლუბი კი მაინც ყველაზე ნაკლებადაა დამნაშავე, რადგან სტადიონზე შემავალ 20 ათას ადამიანს თუ არ გააშიშვლებ, სამი სანტიმეტრის სიგრძის მაშხალას ვერანაირი ჩხრეკისას ვერ აღმოუჩენ“ — თქვა სადისციპლინო კომისიის განაჩენის მოსმენის შემდეგ პრუაზიმ.

„მეცის“ სპორტულმა დირექტორმა პატრიკ რაზურელმა კი იმედი გამოთქვა, რომ მისი გუნდი მიზანს მაინც მიაღწევს, ტექნიკურ გამარჯვებას მიაკუთვნებენ აპელაციის შემდეგ, რადგან სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება ყველანაირ საფუძველსაა მოკლებული.

ვნახოთ, ბოლოს რომელი პატრიკი გაიცინებს.

გაგი გურული

მილიონებით თამაში



რუპერტ მერდოკი

საინტერესო ამბავია — მედიის მაგნატი რუპერტ მერდოკი დაინტერესებულია, იტალიის ჩემპიონ რომის „ლაციოს“ აქციათა 20 პროცენტი ჩაიგდოს ხელში და ამისთვის დედაქალაქური კლუბის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებებს აწარმოებს. „მერდოკთან საქმე უკვე დავიჭირეთ. მრავალი გეგმა და წინადადება გვაქვს, ახალი სტადიონის აშენება გადავწყვიტეთ და არ გამოვრიცხავ, ეს საქმეც მასთან ერთად წამოვიწყოთ“ — განაცხადა „ლაციოს“ აღმასრულებელმა შეფმა მასიმო კრანიოტიმ.

იტალიის ჩემპიონის აქციების მთლიანი ღირებულება მილანის საფონდო ბირჟაზე 250 მილიონ გირვანქად შეფასდა, მაგრამ ეს მაჩვენებელი დაახლოებით 4-5 პროცენტით გამუდმებით მერყეობს და თურმე, დიდად ყოფილა დამოკიდებული გუნდის ყოველ თამაშზე. ცვალებადობის დიდი ამპლიტუდაა ორშაბათობით, სერია A-ს მორიგი ტურის მომდევნო დღეს.

მერდოკი ტელეგიგანტ SKY-ს მფლობელიცაა, ამიტომ „ლაციოს“ ხელმძღვანელებს დიდი იმედი აქვთ, რომ შესაძლო გარიგებით სატელევიზიო და სარეკლამო ბიზნესსაც გაცილებით გაუმჯობესებენ.

წარმოშობით ავსტრალიელი მერდოკი უწინ მსოფლიოში უმდიდრესი კლუბის „მანჩესტერ იუნაიტედის“ აქციებსაც ყიდულობდა. მაშინ 625-მილიონ გირვანქიანი გარიგება თითქოს მზად იყო და მხარეებს ხელიც უნდა მოეწერათ, მაგრამ საქმეში ანტიმონოპოლიური კომისია და მანჩესტერელი გულშემატკივრები ჩაერივნენ და კონტრაქტი აღარ გაფორმდა.

„ლაციოს“ ახალ სტადიონზე კი ადრეც ვწერდით და მხოლოდ შეგახსენებთ, რომ დაახლოებით 2003-2004 წლების სეზონისთვის გუნდი „სტადიო ოლიმპიკოს“ მკვიდრი აღარ იქნება. რომაელებმა უკვე ნაგებობის არქიტექტორიც კი შეარჩიეს, რომელიც იმ დროისთვის კლუბს ახალ, 50-ათასიან სტადიონს აუშენებს. ის „ამსტერდამ არენას“ მსგავსი იქნება.

გამას სამგზა მარაკანაზე

ბრაზილია

ჩემპიონატის ფინალი

მეორე მატჩი

ვასკუ და გამა 3:1 სან კაეტანო (1:1)

1:0 ჟუნინიო პერმანბუკანო (30), 1:1 ადაოზინიო (37), 2:1 ჟუნინიო პაულისტა (39), 3:1 რომარიო (53)

78 000 მაყურებელი

ჟუნინიო პაულისტა (მარცხნივ) სანკაეტანოელ ადაოზინიოსთან ბრძოლაში

REUTERS

რამდენჯერ თქმულა, ჩემპიონატის ყველაზე მოუწესრიგებელი და არეულ-დარეული სისტემა ბრაზილიელებს აქვთო. აგერ მაგალითიც: ჩემპიონატის ფინალში, რომელიც ჟაო აველანჟის თასადაც იწოდება, მეორედივიზიონურმა, პროვინციულმა „სან კაეტანომ“ ითამაშა. ითამაშა და სახელიან „ვასკუ და გამასთან“ ვერაფერს გახდა.

რიო დე ჟანეიროს ცნობილ „მარაკანაზე“ გუშინწინ ბრაზილიის ჩემპიონის ვინაობა წყდებოდა. „ვასკუ და გამა“ და „სან კაეტანო“ მესამედ შეხვდნენ ერთმანეთს. პირველი მატჩი ფრედ 1:1 დასრულდა, მეორე „ვასკუს“ „სან ჟანუარიოზე“, 23 წუთის დაწყებული გახლდათ, როცა ტორსიდა გადაირია, 168 ფანი მინდორზე შევარდა და მატჩიც ჩაიშალა. ალბათ გახსოვთ, ორივე მხარე მაშინ თავისას ითხოვდა, „ვასკუ და გამა“ — ჩემპიონობას, მეტოქის მინდორზე ბურთი გავიტანეთ და ტიტულიც ჩვენ გვეკუთვნისო, „სან კაეტანო“ კი... პროვინციელები გადათამაშების წინააღმდეგნი არ ყოფილან, უბრალოდ, ფეხბურთელებს 30 დეკემბერს კონტრაქტები დაუმთავრდათ და ვინღა ვათამაშოთო. ის მატჩი წინა დღეს შედგა. სადისციპლინო კომისიამაც ხელახალი დული 18 იანვარს „მარაკანაზე“ დანიშნა.

შეხვედრაც შედგა და როგორც იქნა, ჩემპიონიც გამოვლინდა. „მიდლსბროსა“ და მადრიდის „ატლეტიკოს“, ახლა კი „ვასკუს“ შემტევმა ნახევარმცველმა ჟუნინიო პაულისტამ ბენეფისი მოიწყო — ერთი ხომ თავად გაიტანა, ორიც თანაგუნდელებს გაატანინა. „ვასკუმაც“ აშკარად დაჯაბნა მეტოქე და ჩემპიონიც დამსახურებულად გახდა. ოქმიდანაც შეიტყობდით, გოლი რომარიომაც შეაგდო. ეს მისთვის მე-20 ბურთი გამოდგა 34 წლის ვეტერანი ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

ნამატჩევს გადარეულმა ტორსიდამ ჟუნინიო პაულისტა ხელში აიტაცა და სუპერგმირი ხვევნა-კოცნით კინაღამ დაახრჩო. ბედნიერმა ფეხბურთელმა მხოლოდ ამის თქმა მოახერხა: „ჩვენ ჩემპიონები ვართ. მიხარია, რომ კვლავ სამშობლოში ვთამაშობ და ქომაგებსაც ისევ ვუყვარვარ. ეს ძალიან მსიამოვნებს, ევროპაში არასოდეს წავალ“.

გიორგი ვაშაკიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრიუს გრობელაარის საქმე

როგორ იძია შური კრის ვინსენტმა მოღალატე მეგობარზე და როგორ ააგორა ბრიტანული ფეხბურთის ისტორიაში უდიდესი სკანდალი ორმა ჟურნალისტმა

ორი დღეა, ბრიტანული მასმედიის მთავარ თემად სააპელაციო სასამართლოს სამი მოსამართლის მიერ გამოტანილი განაჩენი ქცეულა. ექვსწლიანი დავა საქმეზე, რომელსაც „ბრიუს გრობელაარი „სანის“ წინააღმდეგ“ ჰქვია, ინგლისური ტაბლოიდის გამარჯვებით დასრულდა. სააპელაციო სასამართლომ გააუქმა 1999 წელს ლონდონის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც გრობელაარს „სანისგან“ ცილისწამებისთვის 85 ათასი გირვანქა ერგებოდა. მოსამართლემ, ლორდმა საიმონ ბრაუნმა თქვა: „ადრე მიღებული ვერდიქტი სამართლიანობის პრინციპებს ეწინააღმდეგებოდა. ჩვენ ორივე მხარეს მოვუსმინეთ და უფრო დამაჯერებლად „სანის“ ვერსია ვცანით. ამით ჩვენი მისია შევასრულეთ. მისტერ გრობელაარის უკანონო გარიგებებში დადანაშაულება ამ ეტაპზე სასამართლოს მიზანს არ წარმოადგენდა“.

ზიმბაბველი ბრიუს გრობელაარი 80-იანი წლების ლეგენდარული „ლივერპულის“ მეკარე იყო, რომელსაც ინგლისშიც და კონტინენტზეც ბადალი არ ჰყავდა. იგი ექვსჯერ გახდა ინგლისის პირველი დივიზიონის ჩემპიონი (ახლანდელი პრემიერლიგა), ხოლო 1984 წლის 30 მაისს რომის „სტადიო ოლიმპიკოზე“ „რომას“ ვარსკვლავებს — ბრუნო კონტის და ფრანჩესკო გრაციანის პენალტები აუღო და ჩემპიონთა თასს დაეუფლა. გრობელაარმა „ლივერპულში“ სულ 13 სეზონი გაატარა და 628 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში ის ყველაზე წარმატებულ მეკარედ ითვლება.

„ლივერპულიდან“ გრობელაარი „საუთჰემპტონში“ გადავიდა და სწორედ იმ პერიოდში წამოიწყო „სანმა“ ჟურნალისტური გამოძიება უბადლო მეკარისა და უმწიკვლო რეპუტაციის მქონე ზიმბაბველის წინააღმდეგ.

1994 წლის აგვისტოს ერთ ცხელ დღეს „სანის“ მანჩესტერულ ბიუროში ვინმე კრის ვინსენტმა დარეკა და ყველაფერი აქედან დაიწყო...

კრის ვინსენტი და ბრიუს გრობელაარი ერთად მსახურობდნენ როდეზიის არმიაში და საუკეთესო მეგობრები გახდნენ. საღამოობით ოცნებობდნენ, როგორ გამდიდრდებოდნენ და ზიმბაბვეში საფარის მოაწყობდნენ. არმიის შემდეგ ვინსენტმა ბიზნესმენობას მოჰკიდა ხელი, გრობელაარის კარიერაზე კი უკვე ვისაუბრეთ.

1994 წელს მათი გზები გაიყარა. უფრო სწორად, ვინსენტმა ძმაკაცის კაიკაცობაში ეჭვი შეიტანა — რაღაც საერთო ბიზნესი ჰქონდათ და ფულს მიტეხავსო — და შურისძიება განიზრახა. გრობელაარს ეჭვი არ აუღია...

რაც ამის შემდეგ მოხდა, პირველწყაროსგან, „სანის“ რეპორტიორ ჯონ ტრუპისგან მოვისმინოთ.

„მაშინ მანჩესტერის ბიუროში ვმუშაობდი. ვიღაცამ დარეკა და კრის ვინსენტად გამეცნო. ბრიუს გრობელაარის საუკეთესო მეგობარი ვიყავიო, მითხრა, მაგრამ ღალატში გამოვიჭირე და მინდა, სამაგიერო გადავუხადო, მაგაზე ყველაფერი ვიცი. დავინტერესდი.

სიმართლე გითხრათ, ვინსენტს სულაც არ სურდა ამხელა სკანდალის ატეხვა. უბრალოდ, გრობელაარის ბიზნესის ჩაძირვა უნდოდა, მაგრამ მე, როგორც ჟურნალისტი, ამგვარ შანსს ხელიდან ვერ გავუშვებდი — საქმე თამაშების ჩაწყობას ეხებოდა და ძალიან მაგარი რეპორტაჟი გამომივიდოდა. აბა, გრობელაარის ბიზნესი რაში მაინტერესებდა?

გამოცდილებით ვიცოდი, ფეხბურთელის თამაშების ჩაწყობაში მხილება ურთულესი საქმეა — მარტო ვერ შეძლებდი. ჩემს მეგობარს გაი პატრიკს („სანის“ ერთ-ერთი საუკეთესო ჟურნალისტია) ყველაფერი ვუამბე და მოქმედების გეგმა შევიმუშავეთ. გრობელაარის წინააღმდეგ ნივთმტკიცებები უნდა შეგვეგროვებინა. ვინსენტი სატყუარა უნდა ყოფილიყო.

ვინსენტს შევხვდით, საკმაოდ ნერვიული ტიპი აღმოჩნდა. როცა დიქტაფონი და ფარული კამერა ვუხსენეთ, ააკანკალა. მან გვითხრა, გრობელაარს არაერთხელ უთქვამს, ესა და ეს თამაში ჯერ კიდევ „ლივერპულში“ ყოფნისას გაყიდული მქონდა, საფარისთვის ფული რომ შემეგროვებინა, თუმცა რამდენჯერმე არ გამიმართლა, რაღაც სისულელეებს ვაკეთებდი და იდიოტი ფეხბურთელები გოლს მაინც ვერ მიტანდნენო.

მოკლედ, ვინსენტისგან ბევრი რამ შევიტყვეთ, მაგრამ მარტო მისი სიტყვები საკმარისი არ იყო. ასეთი გეგმა გვქონდა: ვინსენტს გრობელაარისთვის უნდა ეთქვა, რომ ჰონკონგური ტოტალიზატორი თამაშების ჩაწყობაში დიდ ფულს გამოდიოდა. თუ გრობელაარი ამგვარი რამეებით მართლა იყო დაკავებული, აუცილებლად დაინტერესდებოდა.

სექტემბრის პირველი რიცხვები იყო. ვინსენტს ჩვენი ოფისიდან დავარეკინეთ. გრობელაარს უთხრა, საუთჰემპტონში ვარ და საინტერესო წინადადება მაქვსო. გრობელაარი თავიდან ცივად შეხვდა, თუმც მალე ხმაში ინტერესი დაეტყო. ეს მაშინ მოხდა, როცა ვინსენტმა უთხრა, შენი საფარისთვის ფულის შოვნის ვარიანტი გამოჩნდაო. შეხვედრა დათქვეს. „საუთჰემპტონს“ გასვლა ჰქონდა „ტოტენჰემთან“ და 12 სექტემბერს ლონდონში შეხვედრაზე მოილაპარაკეს. მე და პატრიკი ჩვენს მაშინდელ რედაქტორთან, სტიუარტ ჰიგინსთან მივედით და საქმე გავაცანით. მან დაგვაფინანსა და ორი ფოტოგრაფიც ჩვენს სრულ განკარგულებაში გამოყო.



ბრიუს გრობელაარი

REUTERS ლონდონიდან

Bosnich joins Chelsea

BAN GROB FOR EVER!

FA demand worldwide suspension



THE Sun £1M CARD INSIDE TODAY

GROBBELAAR IS GUILTY

CROOK CHEAT LIAR TRAITOR

COPS SNATCH INTERNET TWINS – PAGES 24 and 15

გუშინდელი „სანი“: გაზეთმა თავისი გაიტანა და გაიხარა

შეხვედრა სასტუმროს ბარში შედგა. ვინსენტმა გრობელაარს იგივე უთხრა, რაც სატელეფონო საუბრისას და კიდევ რაღაც დეტალები დაუმატა, „პატარა კაცად“ ცნობილი აზიელი სანდო ფეხბურთელებს, უფრო კი მეკარეებს ეძებს და თანამშრომლობის წინააღმდეგი თუ არ ხარ, პირობებს მოგვიანებით გეტყვისო. გრობელაარი წინააღმდეგი არ იყო.

შემდეგი შეხვედრა 5 ოქტომბერს საუთჰემპტონში, „გრანდ ჰარბურ ჰოტელში“ უნდა შემდგარიყო, სადაც ვინსენტს ნომერი ვუქირავეთ, მეზობელი ნომერი კი ჩვენთვის ავიღეთ. ვინსენტთან ფარული კამერა და დიქტაფონები დავამონტაჟეთ. გვერდზე ნომერში პატრიკი ჩასაფრდა და საჭირო დროს დისტანციური მართვის პულტით კამერას ჩართავდა. მე და ერთი ფოტოგრაფი სასტუმროს წინ მანქანაში ვისხედით, მეორე ფოტოგრაფი მოპირდაპირე შენობიდან გადაიღებდა. ყველაფერი დიდებულად მოვაწყვეთ.

დროც კარგი შევარჩიეთ: „საუთჰემპტონს“ წინა მატჩი დიდი ანგარიშით ჰქონდა მოგებული, წინადღეს გრობელაარის დაბადების დღე იყო, ხოლო იმ დილას გოლფის სათამაშოდ ბრძანდებოდა — კარგ ხასიათზე უნდა ყოფილიყო. ვინსენტიც ჭკვიანურად მოიქცა: სანამ ლაპარაკს დაიწყებდნენ, სტუმარს დაალევინა — დიზელს ეძახიან, ბაკარდის და წვენის ნარევია, ზიმბაბველთა საყვარელი სასმელი.

ვინსენტმა გრობელაარს უთხრა, რომ „პატარა კაცი“ ფავორიტთა დამარცხებითაა დაინტერესებული და რომ მას არ აინტერესებს, კონკრეტულად რომელი ფეხბურთელი გაყიდის თამაშს. მთავარია, როცა იტყვის, „საუთჰემპტონმა“ უნდა წააგოს. „პატარა კაცი“ კვირაში ორი ათას გირვანქას გადაიხდის, მიუხედავად იმისა, თამაშის ჩაწყობა დასჭირდება თუ არა, ხოლო ყოველ კონკრეტულ გაყიდულ მატჩში ასი ათას გირვანქას გადაიხდის. ასე რომ, გრობელაარი არაფერს კარგავს, მისი მოსყიდვის ამბავი მხოლოდ ერთ ადამიანს, კრის ვინსენტს, მის უახლოეს მეგობარს ეცოდინება. ჩვენი მითითებით, ვინსენტმა გრობელაარს „პირველი ხელფასი“ — ორი ათასი გირვანქაც შეაძლია. აქ, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი რამ მოხდა — გრობელაარმა ფულს ხელი არ მოჰკიდა. არა, არ დაეჭვებულა, უბრალოდ, ზედმეტი სიფრთხილე გამოიჩინა და ვინსენტს უთხრა, შემინახეო. რამდენიმე დღის შემდეგ გრობელაარმა ეს ფული მაინც ჩაიღო ჯიბეში, რაც გადაღებულია“.

ჯონ ტრუპის ნაამბობის თხრობა აქ შევწყვიტოთ და ის მატჩები ჩამოვთვალოთ, რომლებიც ბრიუს გრობელაარს გაყიდული ჰქონდა, რის თაობაზეც ის ვინსენტს ესაუბრა, ხოლო „სანმა“ ჩაიწერა.

1. 1993 წლის 21 ნოემბერს „ნიუკასლი“ — „ლივერპულის“ მატჩის მიწურულს გრობელაარმა სამი სულელური გოლი გაატანინა ენდი კოულს, რაშიც მავანთაგან 40 ათასი გირვანქა აიღო.

2. 1994 წლის 5 თებერვალს მეკარე 80 ათას გირვანქას აიღებდა, თუ „ლივერპული“ „ნორვიჩთან“ ერთი ბურთის სხვაობით წააგებდა. ის მატჩი 2:2 დასრულდა. გრობელაარს მეგობრისთვის უთქვამს, თამაშის ბოლოს მეტოქეს ერთი ძალიან კარგი მომენტი ჰქონდა და ბურთი შემთხვევით ფეხზე მოხვდაო.

3. 1994 წლის 4 იანვარს „ლივერპული“ — „მანჩესტერის“ მატჩი 3:3 დასრულდა და მეკარემ წაგების შემთხვევაში მისაღები 125 ათასი გირვანქა დაკარგა. ის იგონებს: „მეტოქე პირისპირ მიდიოდა. ლოგიკურად მარჯვნივ უნდა დაერტყა, ამიტომ მარცხნივ გადავხტი. იმ გამო...ბულმა მაინცდამაინც მე გამარტყა“.

4. 1994 წლის 24 სექტემბერს უკვე საუთჰემპტონელმა გრობელაარმა ქოვენთრიში მე-2 წუთზე ბურთი საკუთარ კარში შეაგდო, მაგრამ თანაგუნდელებმა „დაალალატეს“ და 3:1 მოიგეს.

5. გრობელაარს არც 1994 წლის 5 ნოემბერს გაუმართლა: „მანჩესტერ სიტისთან“ უნდა წაეგო და სამი ბავშვური გოლი გაუშვა. ისევ თანაგუნდელებმა იყოჩაღეს — 3:3.

„სანისთვის“ მხოლოდ ეს შემთხვევები გახდა ცნობილი, თუმცა ესეც საკმარისია. კიდევ ბევი ჰქონია გრობელაარს, რომ სასამართლო აღნიშნული მეთოდებით მოპოვებულ ინფორმაციას მტკიცებულებად არ იღებს, თორემ...

და ისევ ჯონ ტრუპი: „მამხილებელი მასალები საკმარისად შევაგროვეთ. მზად ვიყავით, საფეხბურთო ინგლისი შოკში ჩაგვეგდო, თუმცა ვამჯობინეთ, ჯერ გრობელაართან მივსულიყავით და ყველაფერი გვეთქვა. ნაკრებში სათამაშოდ მიემგზავრებოდა და აეროპორტში დავხვდით. თავიდან არ შეშინებია, აბუჩად აგდება დაგვიპირა. ჩვენ ახალ-ახალ ფაქტებს ვეუბნებოდით, ის კი იცინოდა. დაახლოებით 45 წუთი გაგრძელდა ასე. მაგრამ ჩვენ ხომ ვიცოდით, რომ კედელთან გვყავდა მიმწყვდეული და მთავარ საბუთებს ბოლოსთვის ვინახავდით. ბოლოს ორი ათასი გირვანქის აღების ფოტოები რომ ვაჩვენეთ, თავში ხელი წაიშინა“...

„სანის“ მაშინდელ რეპორტაჟს უდიდესი სკანდალი მოჰყვა, თუმცა გრობელაარი მალევე გამოერკვა და გაზეთს ცილისწამებისთვის უჩივლა. პროცესი ექვს წელს გაიწელა და როგორც დასრულდა, თავში ვთქვით. თუმცა არა, ის შეიძლება კიდევ გაგრძელდეს, რადგან ყოფილი მეკარის ადვოკატები სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებასაც აპირებენ — ექვსწლიანი შრომა წყალში ეყრებათ. საქმე ისაა, რომ შეთანხმების თანახმად, ისინი გასამრჯელოს მხოლოდ გამარჯვების შემთხვევაში მიიღებდნენ. გასამრჯელო კი სოლიდური იქნებოდა — დაახლოებით ერთი მილიონი გირვანქა (კანონით, ამ ფულის გადახდაც „სანს“ დაეკისრებოდა). აღსანიშნავია, რომ თავად გრობელაარს პროცესის გაგრძელება აღარ სურს, ალბათ ხვდება, რომ აზრი აღარ აქვს. მას სხვა პრობლემა აწუხებს — ამ ექვს წელიწადში პროცესთან დაკავშირებულმა მისმა ხარჯებმა ნახევარი მილიონი გირვანქა შეადგინა ჰო, ამ ნახევარი მილიონის გარდა მას 1997 წელს 10 ათასიც გადახდილი აქვს ფეხბურთელის მიერ ტოტალიზატორში თამაშის წესების დარღვევისთვის. მაშინ მან ექვსთვიანი დისკვალიფიკაციაც მიიღო... ახლა ის სამხრეთ აფრიკაში დაბრუნდა, სადაც ადგილობრივ „სუპერ სპორტ იუნაიტედს“ წვრთნის.

შეფიქრიანებულა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციაც. რა იღონოს? „სანის“ გამარჯვების შემდეგ, ალბათ, თავადაც უნდა მოაწყოს გამოძიება და რაღაც ფორმით დასაჯოს თამაშების გამყიდველი. ასოციაციის წარმომადგენელმა განაცხადა, ჩვენი იურისტები ამ საკითხზე მუშაობას შეუდგნენო.

კიდევ დავუმატოთ, რომ გამოძიებისას ორი სახელიც ამოტივტივდა. „სანმა“ „უიმბლდონის“ ყოფილი ვარსკვლავი, ნიგერიელი ჯონ ფაშანუ და ამავე გუნდის მეკარე, ჰოლანდიელი ჰანს სეგერსიც თამაშების გაყიდვაში ამხილა. სასამართლომ მათ წინააღმდეგ მტკიცებულებები ვერ შეაგროვა და საქმე ამით დაიხურა. მათ კი, გრობელაარისგან განსხვავებით, ჭკუა ეყოთ და გაზეთს ცილისწამებისთვის არ უჩივლეს. საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ ფაშანუმ შოუ-ბიზნესში სცადა ბედი, გაუმართლა და მილიონები იშოვა, ხოლო სეგერსი „ტოტენჰემში“ მეკარეთა მწვრთნელად მუშაობს.

დაბოლოს. სკანდალს გარიდებული კრის ვინსენტი ავსტრალიაში წავიდა და იქ მზეს ეფიცხებოდა. რა ენაღვლებოდა, ფული არ აკლდა. მაგრამ ფულს ერთი უცნაური თვისება აქვს — უცბად თავდება ხოლმე. გაღარიბებული ვინსენტი ბრიტანეთში დაბრუნდა, უმუშევარია და დიდი გაჭირვებით სადღაც უინძორის მიდამოებში ცხოვრობს.

გიორგი დარჯანია

1994 წლის 4 იანვარი. ლივერპული — მანჩესტერ იუნაიტედი 3:3. რაიან გიგზის (№11) ამ იოლ დარტყმულს გრობელაარმა „ვერაფერი მოუხერხა“

გრძელ თმებში სახე უკეთ იმალება

გაბრიელ ომარ ბატისტუტა პირველ თებერვალს 32 წლის გახდება. ის ალბათ ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი არგენტინელი ფეხბურთელია, ჯილდოებით კი ვერ დაიკვეხნის. მიზეზი ისაა, რომ თითქმის მთელი კარიერა საშუალო „ფიორენტინაში“ გაატარა და ერთი ხანობა იტალიის სერია B-შიც თამაშობდა. თავად ისურვა ასე — „რეალი“ და „ბარსელონა“ ყოველთვის რაღაცას იგებენ და მათთან ერთად გამარჯვება ძალიან ჩვეულებრივი ამბავი იქნებოდა, ამიტომაც დავრჩი ფლორენციაშიო — ამბობს ბატისტუტა.

ამ სეზონის დასაწყისში მისი „რომაში“ გადასვლა სარეკორდო ტრანსფერი არ ყოფილა, თუმცა საფეხბურთო საზოგადოებისთვის ერთი ყველაზე გამორჩეული მოვლენა გახლდათ. სწორედ ამ თემაზე კითხვით დაიწყო ბატისტუტასთან ინტერვიუ გერმანული „ველტის“ კორესპოდენტმა.

— „ფიორენტინაში“ ცხრა წელიწადი თამაშობდით. მაინც რამ გადაგაწყვეტინათ „რომაში“ გადასვლა?

— ფლორენციაში ძალიან დიდხანს დავყავი და ბოლოს, ცხოვრების გასახალისებლად გარემოს შეცვლა გადავწყვიტე.

— ამბობენ, „ფიორენტინის“ პრეზიდენტ ვიტორიო ჩეკი გორისთან არცთუ კარგი ურთიერთობა გქონდათ.

— ჩეკი გორი ცუდი კაცი არ არის. უბრალოდ, ფეხბურთს განსხვავებულად ვუყურებთ. წლების მანძილზე ჩვენი ოფოფლმხედველობა სულ უფრო სცილდებოდა ერთმანეთს, ამიტომაც გადავწყვიტე ფლორენციიდან წამოსვლა. მოკლედ, იძულებული გავხდი კლუბი შემეცვალა და ამას არც ვნანობ.

— „რომასთან“ ერთად სკუდეტოს მოგებას აპირებთ?

— რატომაც არა. ახლა ლიდერები ვართ, თანაც „რომას“ უმაღლესი მიზნები დაუსახავს. გუნდი გამარჯვებისთვისაა მომართული და ეს ბევრს ნიშნავს.

— მალე 32 წლის გახდებით, „რომასთან“ კი სამწლიანი კონტრაქტი გააფორმეთ. ის თქვენი ბოლო კლუბი იქნება?

— ადრე ვამბობდი, თამაშს 30 წლისა დავამთავრებ-მეთქი, მაგრამ ახლა თავს ჩინებულად ვგრძნობ და სანამ ძალა მერჩის, ვითამაშებ. თუმცა, ვფიქრობ, ეს მართლაც ჩემი ბოლო კონტრაქტი იქნება.

— გამოდის, მთავარია დროულად მიხვდე, როდის უნდა წახვიდე.

— დიახ, თუმცა ეს რთულია. როცა გრძნობ, რომ თამაში შეგიძლია, ძალიან ძნელია წასვლა. ეგ არის, 20 წლის აღარ გახლავართ და ყოველდღე მზად ვარ ამისთვის. დასასრული ყოველ წუთს შეიძლება დადგეს. თუნდაც მძიმე ტრავმა ან სხვა მოულოდნელობა... ყველაფრის მუხედავად, საწუწუნო არაფერი მაქვს, კარიერით კმაყოფილი ვარ.

— არ გიფიქრიათ კარიერის არგენტინაში დამთავრება?

— არა. „რომას“ შემდეგ, ალბათ, ფეხბურთს შევეშვები.

— როცა აღარ ითამაშებთ?

— მაშინ სამშობლოში დავბრუნდები და ჩემს მეცხოველეობის ფერმას მოვუვლი. ახლა მას მამაჩემი განაგებს, მე კი ვიმედოვნებ, რომ ისეთივე კარგი ფერმერი გავხდები, როგორიც ბომბარდირი ვიყავი.

— თქვენ ნარკომანიის წინააღმდეგ გამართულ უამრავ აქციაში მიგიღიათ მონაწილეობა. მარადონას ამბავმა არ შეგძრახთ?

— არგენტინელებს ის მაინც უყვართ. უფრო სწორად, ეცოდებათ. სამწუხაროდ, ნარკოტიკებს სულ უფრო ბევრი ახალგაზრდა იყენებს. ძალიან განვიცდი, როცა მარადონას ტანჯვას ვუყურებ. ხანდახან ვურეკავ ხოლმე, მაგრამ ბოლო დროს ესეც პრობლემა გახდა. დიეგო ხშირად იცვლის ნომრებს, ან სულაც არ მიდის ტელეფონთან. ჟურნალისტები მოსვენებას არ აძლევენ.

— ახლახანს მარადონამ თქვა, რომ სულაც არ წუხს 1986 წელს ინგლისთან ხელით გატანილი გოლის გამო.

— ყოველ შემთხვევაში, დიეგო ამას ალალად ამბობს, თუმცა სულ რომ არაფერი ეთქვა, სჯობდა. შესაძლოა, არ ეკადრებოდა, მაგრამ მას მიაჩნია, რომ სწორედ ასე მოქცევა იყო გამართლებული. გაიტანა და ბედნიერი იყო, ისევე, როგორც მთელი არგენტინა. მაშინ ჭაბუკი გახლდით და მომხდარი ჯეროვნად ვერ შევაფასე. დღესაც კი ამის გამო მარადონას ვერაფერს ვუსაყვედურებ.

— არგენტინის ნაკრები ჩინებულად ატარებს მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის შესარჩევ ციკლს. როგორ ფიქრობთ, 2002 წელს გამარჯვების შანსი გაქვთ?

— ვიმედოვნებ, რომ კორეა-იაპონიაში გუნდთან ერთად ვიქნები. ვფიქრობ, არგენტინას შეუძლია მსოფლიოს ჩემპიონატის მოგება. ჩვენ დიდებული გუნდი გვყავს. ახლაც კარგად წარმოიდგენია, როგორ აღვმართავ ოქროს თასს.

— ახლახან თვითმფრინავის მართვის უფლება მიიღეთ. არ გეშინიათ ფრენა?

— არა. ყოველთვის ყურადღებით და წყნარად დავფრინავ. ახლა, როცა თვითმფრინავის მოწყობილობა ზედმიწევნით შევისწავლე, საერთოდ აღარაფრის მეშინია.

— თავის დროზე ნაკრების მწვრთნელი დანიელ პასარელა გრძელი თმების გამო შემოგწყრათ.

— მაშინ მწვრთნელს ვუთხარი, რა სიგრძის თმებიც უნდა მქონდეს, გოლები მაინც გამაქვს და რას მერჩითმეთქი. მაგრამ პასარელას ამ საკითხისადმი თავისებური დამოკიდებულება ჰქონდა და ბოლოს მის პოზიციას დავეთანხმე.

— თმის შეჭრა არასდროს გიცდიათ?

— ერთი ხანობა პატარა თმებით დავდიოდი. ცოლსაც ძალიან მოსწონდა, მაგრამ დიდ თმებში სახე უკეთ იმალება — ესეც ჩემი საიდუმლო.

Meored Masvla Tbilisshi!

უაიზი
and more...
სტამი
ჰერუცი
and more...
ჰეტი
and more...
ქეცბაია
ორტეგა
ბერტრან
and more...
ზეიდორფი
ინძაგი
and more...
ვიერი
and more...
ლეონარდო
and more...
ბერჰოფი
and more...
ადამსი
ჯორკაეფი
ოუენი
ბექჰამი
ორკი
and more...
კაფუ
and more...
კანუ

მომეცით, გეთაყვა, ორი ქეცბაია, წინ ვიერი, უკან კაფუ და კარში ჰერუცი

RIGHT HERE
RIGHT NOW

მაღაზია
ბარბი ტეფალი
ვაკე
ჭავჭავაძის 19



ფეხბურთის რუკასთან

ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა ფილიპ კოკუმ „ბარსელონასთან" კონტრაქტი ორი წლით გაახანგრძლივა. ახალი შეთანხმებით იგი კლუბში 2003 წლის ზაფხულამდე უნდა დარჩეს, ხოლო თუ რომელიმე გუნდი კონტრაქტს დაარღვევს და ფეხბურთელს თავისთან გადაიბირებს, „ბარსელონას" საკომპენსაციოდ 56 მილიონი დოლარი უნდა გადაუხადოს. კოკუ კატალონიაში 1998 წელს „პსვ ეინდჰოვენიდან" თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა. მან ახლა განაცხადა, რომ სურს, კარიერა „ბარსელონაში" დაასრულოს.

ბარაგვაელი მცველი სელსო აიალა არგენტინულმა „რივერ პლეიტმა" მადრიდის „ატლეტიკოსგან" 1,8 მილიონ დოლარად შეიძინა. ამრიგად, ფეხბურთელი იმ კლუბში დაბრუნდა, რომელიც ორი სეზონის წინ დატოვა. „აიალა ბოლო მოთამაშეა, რომელიც კლაუსურას დაწყებამდე შეგვძინეთ. მეტ ფეხბურთელს ლიბერტადორესის თასზე სათამაშოდაც აღარ დავიმატებთ" — განაცხადა ბუენოსაირესული კლუბის პრეზიდენტმა დავიდ პინტადომ.

იტალიის ჩემპიონმა „ლაციომ" შესაძლოა „ველეე სარსფილდის" 21 წლის არგენტინელი ნახევარმცველი ლუკას კასტრომანი შეიძინოს, მის სანაცვლოდ კი ყაბულსაა 3,5 მილიონი დოლარი გადაიხადოს. „კასტრომანი ერთ-ერთი უნიჭიერესი არგენტინელი ფეხბურთელია. თამაშის სტილით იგი ფიორენტინელ ანჯელო დი ლივიოს წააგავს" — განაცხადა რომაელთა არგენტინელმა დიეგო სიმეონემ. იმედოვნებენ, რომ ლუკასი რომაულ კლუბთან კონტრაქტს უახლოეს მომავალში გააფორმებს.

იტალიურმა „ინტერმა" და ფრანგულმა „პარი სენ ჟერმენმა" შესაძლოა ბრაზილიელი ნახევარმცველი ვამპეტა და სტეფან დალმა ერთმანეთში გაცვალონ. ეს უკანასკნელი პარიზული კლუბის დატოვებას აპირებს, ხოლო ვამპეტას მილანში გაჩერება აღარ სურს. იტალიური და ფრანგული გუნდების ხელმძღვანელები ერთმანეთს უახლოეს დღეებში შეხვდებიან და ამ საკითხის პარალელურად ეგებ ფრანგი ბენუა კოეს „ინტერიდან" „პარი სენ ჟერმენში" გადასვლაზეც შეთანხმდნენ.

ესპანურმა „სარაგოსამ" მადრიდის „რეალის" ახალგაზრდული გუნდიდან ნახევარმცველი მიგელ ანხელ კორონა შეიძინა. ამ ყმაწვილს ზაფხულში „სამეფო კლუბთან" კონტრაქტი უსრულდებოდა, ხოლო შეთანხმების გახანგრძლივება ვერ შეძლო. კორონა ესპანეთის 21-წლამდელთა ნაკრების წევრია და მას მადრიდის „ატლეტიკოც" ეპატიჟებოდა, მაგრამ პრიმერადივიზიონში თამაში არჩია და „სარაგოსას" მიაშურა.

იტალიელმა ფორვარდმა ანტონიო კასანომ შესაძლოა კარიერა „რომაში" გააგრძელოს. რომაელთა თავკაცი ფაბიო კაპელო მის „სტადიო ოლიმპიკოზე" გადასვლას ითხოვს, თუმცა „ბარის" სურს, 18 წლის ფეხბურთელის სანაცვლოდ 20 მილიონი გირვანქა მიიღოს. თუ კასანო „რომაში" გადავა, მას ხუთწლიან კონტრაქტს გაუფორმებენ და სეზონში 2,5 მილიონ გირვანქას გადაუხდიან. ისიც აღსანიშნავია, რომ ფეხბურთელს „იუვენტუსი" და „მილანიც" აქტიურად ეპატიჟება, ამიტომ იგი „ბარიში" დიდხანს ალბათ აღარ დარჩება.

ჩილელმა მცველმა ხავიერ მარგასმა განაცხადა, რომ ხანგრძლივი ტრავმის გამო იძულებულია, კარიერა დაასრულოს. არადა, პრემიერლიგელ „ვესტ ჰემთან" მას კიდევ წელიწადნახევრიანი კონტრაქტი აკავშირებს. „მუხლი ვერაფრით მოვირჩინე, ჩემი საფეხბურთო კარიერა დასრულებულია. „ვესტ ჰემში" კარგი დრო გავატარე, ხელმძღვანელების, თანაგუნდელებისა და გულშემატკივრების კმაყოფილი ვარ. მწვრთნელი ჰარი რედნაპი კი უბრალოდ უდიდესი პიროვნებაა" — განაცხადა მარგასმა, რომელიც „ვესტ ჰემში" „უნივერსიდად კათოლიკადან" 1 მილიონ გირვანქად ჩაირიცხა. ბოლოს მან ლონდონური კლუბის შემადგენლობაში აგვისტოში ითამაშა.

ესპანეთის ჩემპიონ „დეპორტივოს" ფორვარდი ივან პერესი „ნუმანსიამ" სეზონის ბოლომდე ინათხოვრა. კლუბში იგი მეორე ახალწვეულია — „ნუმანსიამ" ცოტა ხნის წინ მცველი ანტია შეიძინა. აღსანიშნავია, რომ 25 წლის ივანი „ბარსელონას" ფორვარდის ალფონსო პერესის უმცროსი ძმაა. მას „დეპორტივომდე" მადრიდის „რეალში", „ბეტისში" და ფრანგულ „ბორდოში" უთამაშია და ესპანეთის 21-წლამდელთა ნაკრების ღირსებასაც იცავდა, თუმცა მწვრთნელ ხოსე ანტონიო კამაჩოს ეროვნულ გუნდში არ მიუწვევია.

ინგლისელ მცველ გარეთ საუთგეიტს ტრავმირებული მუხლის გამოკვლევა უნდა ჩაუტარონ. იგი დაახლოებით სამ კვირას ვერ ითამაშებს. „ნიუკასლის" წინააღმდეგ შეხვედრაში ფეხბურთელმა მყესები დაიზიანა.

ფინელმა მცველმა სემი ჰიიპიამ „ლივერპულთან" კონტრაქტი 2005 წლამდე გაახანგრძლივა. ეს ფეხბურთელი გუნდის კაპიტანია, „ეხვილდ როუდზე" კი 1999 წელს ჰოლანდიური „ტილბურგიდან" 3 მილიონ გირვანქად გადავიდა. „მოხარული ვარ, სემიმ ჩვენთან დარჩენა რომ ისურვა. ძლიერი გუნდის შექმნას ვაპირებ, სადაც ერთ-ერთი მთავარი როლი სწორედ მან უნდა ითამაშოს" — განაცხადა „ლივერპულის" თავკაცმა ჟერარ ულიემ. „კარგ გუნდში და ძლიერ ფეხბურთელებთან ერთად ვთამაშობ, მწვრთნელიც ჩინებული გვყავს და კონტრაქტის გახანგრძლივების წინააღმდეგი რატომ უნდა ვყოფილიყავი?" — იკითხა თავად ჰიიპიამ.

საშრანგეთის პირველდივიზიონურმა „გენგამმა" კოტ დივუარის ნაკრების მცველი ბლაიერ კოფი შეიძინა და მასთან ორწლიანახევრიანი კონტრაქტი გააფორმა. ეს ფეხბურთელი თავისი სამშობლოს ერთ-ერთ კლუბში თამაშობდა, მაგრამ კონტრაქტი დაუსრულდა. ფრანგებმა იგი ცოტა ხნის წინ შესამოწმებლად მიიწვიეს, ახლა კი გუნდშიც ჩარიცხეს.

ბრაზილიელმა მწვრთნელმა დიდო სილვამ ერთი წლით ვიეტნამის ნაკრები ჩაიბარა. იგი გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე უხელმძღვანელებს და გარდა ამისა, ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების თავკაცადაც იმუშავებს. ფედერაციამ მწვრთნელს გასამრჯელოდ თვეში 5 ათასი დოლარი დაუნიშნა, ხოლო თუ იგი გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გაიყვანს, პრემიად 50 ათას დოლარს მიიღებს. სილვას 20 ათასიც აღუთქვეს იმისთვის, თუ სექტემბერში გასამართ სამხრეთ აზიის თასის გათამაშებაზე ოლიმპიურ ნაკრებს ოქროს მედლებს მოაგებინებს. აქამდე ვიეტნამის ნაკრებს ავსტრალიელი ალფრედ რიედლი ავარჯიშებდა, მაგრამ ფედერაციამ მასთან კონტრაქტი აღარ გაახანგრძლივა.

ესპანეთი

თასის მეოთხედფინალის წილისყრა

გრანადა (II) — ატლეტიკო (I); სევილა — ბალეარეს; ესპანიოლი — ბარსელონა; რსანტი — სარაგოსა

პირველი მატჩები გაიმართება 31 იანვარს, საპასუხოები — 7 თებერვალს

ქვესკნა ტურნირი ანიალიაში

გალათასარაი 6:1 პოგონი

1:0 სერქანი (4), 2:0 ამბეთი (50), 3:0 ბასან ზაში (71), 4:0, 5:0 ფარდელი (74, 79), 6:0 ბარსიო სანტუში (86), 6:1 ბესიორი (89)

ფუსბოლის ცსკა-ს ტურნირი ვიატკოვა

ესაც ჩვენი ტედიო

რობერტო მანჩინის თავის დროზე კახა კალაძეც გადაეყარა

როგორც ვარაუდობდნენ, ლესტერში ჩასულმა რობერტო მანჩინიმ იქაურ „სიტისთან" ამ სეზონის ბოლომდე გააფორმა ხელშეკრულება და თუ ხელს არაფერი შეუშლის, დღესვე შეუტევს „არსენალის" კარს. „მისი გამოცდილება და ოსტატობა დიდად წაგვადგება" — განაცხადა „ლესტერის" მწვრთნელმა პიტერ ტეილორმა, რომელმაც ისაც თქვა, მანჩინი ჩვენი ტედი შერინგემი იქნება, ბოლო-ბოლო, მასზე მხოლოდ ერთი წლითაა უფროსიო.

36 წლის ექს-სამპდორიელი რობერტო მანჩინი, რომელსაც იტალიის ნაკრებში 36-ჯერ უთამაშია, სერია A-ში კი 500-ზე მეტი მატჩი დაგროვებია, ბოლო ხანს აწ უკვე ინგლისის ნაკრების თავკაც სვენ გორან ერიკსონს ეხმარებოდა „ლაციოში" და რომაული კლუბიდან იმავ დღეს გათავისუფლდა, როცა მისი უფროსი. ამიტომაც ბრიტანეთში ეჭვობენ, რომ სეზონის ბოლოს ის კვლავ ერიკსონის თანაშემწედ დაინიშნება, ოღონდ უკვე ინგლისის ნაკრებში — მანამდე კუნძულზე ადაპტაციას გაივლის და თან ადგილობრივ ფეხბურთელებსაც დააკვირდებაო. რამდენად საფუძვლიანია ეს ეჭვი, მაისში გამოჩნდება, მანამდე კი იმასაც გეტყვით, რომ ვეტერან იტალიელთან ერთად „ლესტერი" კიდევ ერთი თავდამსხმელით გაძლიერდა — გიო ქინქლაძის თანაკლუბელი დინ სტარიჯი გუშინ ლესტერელი გახდა. საინტერესოა, რომ ეს ტრანსფერი უსწრაფესად განხორციელდა: სამშაბათს სტარიჯმა „დერბის" რეზერვების შემადგენლობაში „ლესტერის" სათადარიგოებს ორი გოლი გაუტანა, პარასკევს კი „ლესტერთან" ხელი მოაწერა.

გიგა კოტაბახიძე

ფიფა-კოკა კოლას რეიტინგი

დეკემბერ-იანვარი, ტრადიციულად, ეროვნულ გუნდთათვის „მკვდარი" სეზონია, ამიტომ ფიფა-კოკა კოლას მორიგ რეიტინგში, წინასთან შედარებით, დიდი ცვლილებები არც მომხდარა: ბრაზილია ისევ ლიდერობს, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი საფრანგეთი კვლავ მეორეა, ჩვენი ნაკრები კი, ისევე როგორც დეკემბერში — 66-ე.

ქვემოთმოყვანილ ცხრილში მოცემულია რეიტინგის პირველი ოცეული, აგრეთვე ჩვენი ყოფილი მეზობლებისა და საქართველოს ნაკრების ამჟამინდელ მეტოქეთა შედეგები.

1	(1)	ბრაზილია	821
2	(2)	საფრანგეთი	801
3	(3)	არგენტინა	771
4	(4)	ჩეხეთი	742
4	(4)	იტალია	742
6	(6)	პორტუგალია	738
7	(7)	ესპანეთი	734
8	(8)	ჰოლანდია	708
9	(9)	იუგოსლავია	707
10	(10)	პარაგვაი	706
11	(11)	გერმანია	705
12	(12)	მექსიკა	691
13	(13)	რუმინეთი	683
14	(14)	ნორვეგია	675
15	(15)	კოლუმბია	671
16	(16)	აშშ	659
17	(17)	ინგლისი	657
18	(18)	ხორვატია	655
19	(20)	სამხრეთ აფრიკა	635
20	(21)	რუსეთი	634
34	(34)	უკრაინა	587
48	(47)	უნგრეთი	556
66	(66)	საქართველო	508
67	(67)	ესტონეთი	499
72	(71)	უზბეკეთი	483
86	(85)	ლიტვა	457
92	(90)	სომხეთი	441
93	(92)	ლატვია	438
95	(94)	მოლდოვა	430
96	(95)	ბელარუსი	427
115	(115)	აზერბაიჯანი	349
120	(120)	ყაზახეთი	323
126	(125)	თურქმენეთი	305
136	(134)	ტაჯიკეთი	281
174	(174)	ყირგიზეთი	137

მანჩესტერიდან ლონდონში

მარკ ბოსნიჩი «ჩელსის» მეკარეა

„ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა და რეგულარულად კარში დგომა ურთულესი ამოცანა იქნება" — განაცხადა ავსტრალიელმა მეკარემ მარკ ბოსნიჩმა ლონდონში ჩასვლისთანავე.

29 წლის ფეხბურთელმა მოულოდნელად კლუბი გამოიცვალა. „მანჩესტერ იუნაიტედის" ხელმძღვანელობამ მისი დატოვება აღარ ისურვა და ხუთშაბათს კონტრაქტი შეუწყვიტა. უგუნდოდ დარჩენილ გოლკიპერთან კი „ჩელსიმ" გააჩაღა მოლაპარაკებები, სასურველ შედეგსაც მალევე მიაღწია, მარკი ხელში უფასოდ ჩაიგდო და სამწლიანახევრიანი შეთანხმებაც გაუფორმა.

„ჩელსის" ძირითადში დამკვიდრება ძნელი რომ იქნება, ეს ბოსნიჩს ლონდონელთა აღმასრულებელმა დირექტორმა კოლინ ჰათჩისონმაც შეახსენა: „მარკი დიდი დატვირთვით და მონდომებით აპირებს ვარჯიშს, რათა რანიერიმ ძირითადში დააყენოს. თუმცა უმალ ეს, ალბათ, არ მოხდება".

ავსტრალიელის „ჩელსიში" მისვლამდე იქ სამი მეკარე ირიცხებოდა — ედ დე გუი, კარლო კუდიჩინი და კევინ ჰიჩკოკი, მაგრამ როგორც ჰათჩისონმა აღნიშნა, ნებისმიერი მაღალი დონის კლუბში მეკარეების დიდი არჩევანი უნდა იყოს. თუმცა იქვე მიანიშნა, სამიც საკმარისია, ჩვენ კი ოთხი გვყავსო.

ბოსნიჩის აგენტმა სტივ კანტერმა თქვა: „მარკი „ჩელსიში" ჩარიცხვით მოხარულია. ეს ამბიციური კლუბია და ამის საფუძველიც გაარჩია. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს კლიენტს ლონდონში კარგი მომავალი ელოდება".

ცოტა ადრინდელ ამბავზე ვთქვათ. 1999 წლის გაზაფხულზე, როცა ბოსნიჩი „მანჩესტერ იუნაიტედში" მივიდა, სერ ალექს ფერგიუსონის გუნდმა დიდ წარმატებას მიაღწია და სამი ტიტული ერთად მოიგო: ინგლისის ჩემპიონობა, ქვეყნის თასი და ჩემპიონთა ლიგა. მაშინ კარში დანიელი პიტერ შმაიხელი იდგა, რომელმაც ტრიუმფის შემდეგ განაცხადა, პრემიერლიგამ დამღალა და „იუნაიტედიდან" მივდივარო. მის შემცვლელად „ასტონ ვილაში" ბოსნიჩი გამონახეს და მაისში გადაიბირეს კიდეც. როგორც აღმოჩნდა, სერ ალექსს იგი დანიელის მთლად ღირსეულ მემკვიდრედ არ მიაჩნდა და იმავე წლის აგვისტოში 4,5 მილიონ გირვანქად იტალიელი მასიმო ტაიბიც შეიძინა, ხოლო ამ სეზონის დასაწყისში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების მომგები ფაბიენ ბარტეზი მიიწვია. თანაც გუნდში რაიმონდ ვან დერ გოუც ირიცხებოდა.

წინა სეზონში ბოსნიჩი „იუნაიტედის" ძირითად შემადგენლობაში ხშირად ვერ თამაშობდა, რამაც ხასიათი წაუხდინა და სხვაგან გადასვლაზეც ალაპარაკდა. ერთი ხანობა მას თითქოს „სელტიკში" ეპატიჟებოდნენ.

საბოლოოდ მარკმა „მანჩესტერი" მაინც დატოვა, თუმცა „ოლდ ტრეფორდზე" ყველასთან კარგი ურთიერთობა შემორჩა: „ცხადი იყო, რომ ბოსნიჩი „იუნაიტედიდან" წავიდოდა და ამისთვის ბოლო ხანს ყველაფერი გავაკეთე, თანაც მას გაუმხილეს, რომ ძირითად შემადგენლობაში აღარ ათამაშებდნენ. კონტრაქტის შეწყვეტაც შევძელით. მიუხედავად ამისა, არავის ეგონოს, რომ ბოსნიჩი „იუნაიტედით" უკმაყოფილოა. პირიქით — დირექტორებს, თანაგუნდელებს და გულშემატკივრებს თავაზიანი და მეგობრული დამოკიდებულებისთვის მადლობას უხდის" — განაცხადა ავსტრალიელის აგენტმა.

ნიკა ზუბლაძე

მარკ ბოსნიჩი აწი ლონდონში იხტუნაგებს

ᲨᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲯᲝᲯᲝᲮᲔᲗᲘ, ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲣᲜᲐ



პიტ სამპრასი

„საპრიზოების მოპოვება წლეულს ნამდვილად მიძნელდება" — გულისტკივილით აღნიშნა 13-გზის დიდი სლემის ტიტულოსანმა პიტ სამპრასმა ავსტრალიის ღია პირველობის მერვედფინალში გაღწევის შემდეგ. „პისტოლ პიტს" გაღიზიანებისა წუწუნის საფუძველი ნამდვილად ჰქონდა: მელბურნში თითოეულ მატჩს მან თითქმის სამი საათი დაახარჯა.

თუ თავისთვის ტრადიციულად უხერხულ მეტოქეებს — კაროლ კუჩერასა და ბოგდან ულირახს ამერიკელი ოთხ-ოთხ ხელში გაუმკლავდა, 21 წლის ახალბედა არგენტინელის, ხუან იგნასიო ჩელას დასამარცხებლად მას უკვე ხუთი სეტი და მთელი გამოცდილების, ენერგიის მოხმობა დასჭირდა.

სამპრასმა მატჩი შესანიშნავად დაიწყო, მაგრამ სეტითა და ბრეიკით დაწინაურების შემდეგ საქმე მოთავებულად ჩათვალა, ყურადღება მოადუნა და კიდეც დაისაჯა. ჩელა მიღებებსა და შემოვლებულებზე ზუსტად და უშეცდომოდ გაისარჯა, მძლავრი დარტყმებით მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი უკანა ხაზს მიაჯაჭვა და ანგარიშიც ნელ-ნელა მის სასარგებლოდ გაიზარდა.

არგენტინელმა მეორე-მესამე სეტები მოიგო, მეოთხეშიც ახლოს იყო მიზანთან, მაგრამ, როგორც გამოუცდელ ახალბედებს ჩვევიათ, ზედმეტად განერვიულდა. სამპრასს მეტოქეთა სისუსტეების მაქსიმალურად გამოყენება არავისგან ესწავლება, ყველაზე დაძაბულ მომენტებში ბურთის გადაგდებაზე ათამაშდა, მეტოქის შეცდომებს დაელოდა და არც შემცდარა — ჩელამ საკთარი ხელით გამოიჭრა ყელი.

„მსგავს მძიმე სიტუაციაში არაერთხელ აღმოვჩენილვარ და ვიცი, ამას თავი როგორ დავაღწიო. საკუთარი თავით ძალიან უკმაყოფილო ვარ, ეს მატჩი გაცილებით იოლად უნდა მომეგო, მაგრამ ყურადღების გაფანტვა ძვირად დამიჯდა. ამას ბევრი სხვა არ მაპატიებდა" — აღნიშნა პიტმა 6:4, 4:6, 4:6, 7:5, 6:2 მოგების შემდეგ.

„სამპრასი ბავშვობიდან ჩემი კერპი იყო და ამ მატჩის შემდეგაც დარჩება. ერთ მომენტში ვიფიქრე, რომ გამარჯვებაც შემეძლო, მაგრამ ასეთი მეტოქისა და ცენტრალური კორტის გამო უდიდეს ზეწოლას ვგრძნობდი და ვეღარ გავუძელი" — აღიარა არგენტინელმა.

„სასიამოვნოა ამის მოსმენა, მაგრამ იმას უფრო დავუფასებდი, რომ ნაკლებად გავეწვალებინე და ხუთი სეტი არ გამძალიანებოდა, მით უმეტეს, ასეთ სიცხეში. ისეთი შთაბეჭდილება მქონდა, თითქოს გახურებულ ქვანახშირზე ვმოძრაობდი" — ასეთი იყო პიტის პასუხი.

მართლა აუტანელი პაპანაქება იყო მელბურნში. თუ ჰაერის ტემპერატურა 35 გრადუსს უჩვენებდა, კორტებზე კიდევ უფრო საშინელი მდგომარეობა იყო. „რიბაუნდ ეისის" საფარი, გარდა იმისა, რომ სიცხეში წებოვანი ხდება, მზის სხივებსაც ირეკლავს და მოთამაშეებს შავ დღეში აგდებს. ცენტრალურ და ახალდაგებულ პირველ, ნაზევრად გადახურულ კორტზე ქარი თითქმის ვერ აღწევს, რაც სუნთქვას ერთიორად აძნელებს.

ლას ვეგასში, ნევადის უდაბნოში გაზრდილი ანდრე აგასი მსგავს სიცხეებს ჩვეულია, აი, მის მეტოქეს, გერმანელ დევიდ პრინოშილს კი ხვატი, ცხადია, არ ესიამოვნა.

პრინოშილი ერთი პირობა ამერიკელს გვარიანად გაუძალიანდა. პირველი ხელის ტაი-ბრეიკზე ის 6:2 დაწინაურდა, მაგრამ ექვსი სეტ-პოინტი ქარს გაატანა და ცალკე უიღბლობისგან, ცალკე სიცხისგან არაქათგამოცლილმა თამაშის გაგრძელებაზე მაშინ განაცხადა უარი, როცა ანგარიში 6:7 (1:13), 0:5 იყო.

„მცირეოდენი დასვენების შემდეგ პულსი ნორმალური უნდა გახდეს, მაგრამ ჩემი მაინც 140:150-ზე დარჩა. სწორედ ამიტომ გეიმებს შორის შესვენებაზე ექიმმა მირჩია, თუ გინდა, თავს რაიმე არ დამართო, დროზე შეჩერდიო. მეც დავუჯერე, მაყურებელთა გაწბილება არ მსურდა, მაგრამ ჯანმრთელობასაც ხომ უნდა გავუფრთხილდე" — თავი იმართლა პრინოშილმა.

შედეგად კაც ჩოგბურთელთა შორის აგასის პირველი სამი წრის გადასალახავად ყველაზე ცოტა დრო დაეხარჯა. ბევრის აზრით, პიტ სამპრასთან მეოთხედფინალში სავარაუდო შეხვედრის დროს ხოტორა ლასვეგასელისთვის ეს გადამწყვეტი ფაქტორიც შეიძლება გახდეს.

თუმცა თავად ანდრე სამპრასზე საუბრისას მეტად ფრთხილობს: „ბევრჯერ მინახავს, ერთი შეხედვით ცუდ ფორმაში მყოფ პიტს დიდი სლემის ტურნირები როგორ მოუგია, ამიტომ ამ ანკესზე არ წამოვეგები. დაღლილია თუ არა, უნდა მოუგო. ტრავმირებულია თუ არა, უნდა მოუგო. მან კი წლების მანძილზე არაერთხელ დაამტკიცა, რა ძნელია ამის გაკეთება."

სიცხეს დიდად არ შეუწუხებია ძლიერი სქესის მაყურებელთა ფავორიტი ანა კურნიკოვა, რომელმაც იქაური პირობები საუნაში თამაშს შეადარა. 19 წლის რუსს თავსატეხი სხვაც საკმაოდ ჰქონდა: ჯერ ერთი, მესამე წრეში მისი მეტოქე ახლო მეგობარი და მეწყვილე ბარბარა შეტი იყო, მეორე, ჯერ კიდევ სიდნეის ტურნირზე მიღებული მუცლის ტრავმა აწუხებდა, დაბოლოს, წინა მეტოქეებისგან განსხვავებით, ყოფილ საუკეთესოთა ათეულელ შეტს ხეირიანად თამაში ეხერხება და კურნიკოვას ბლომად ოფლიც აღვრევინა.

რუსი გონს მხოლოდ მაშინ მოეგო, როდესაც პირველი ხელის წაგების შემდეგ მეორეშიც 1:3 ჩამორჩა. „ცოტა დაბნეული ვიყავი, მაგრამ თავს ვუთხარი, ასე გაგრძელება აღარ შეიძლება-მეთქი. გადავწყვიტე, შედეგზე არ მენაღვლა, რისკიანად მეთამაშა და რაც მოსახდენი იყო, მომხდარიყო."

მოხდა კი ის, რომ კურნიკოვამ მატჩში გარდატეხა შეიტანა, ტრიბუნებზე მოკალათებული დედ-მამის კარნახით (რისთვისაც მსაჯისგან შენიშვნაც მიიღო) სწორი ტაქტიკაც შეარჩია და საბოლოოდ 2:6, 6:4, 6:3 იმარჯვა.

„ვერ ვიტყოდი, რომ ამ წუთისთვის ფიზიკურად საუკეთესოდ ვარ მომზადებული. ტურნირის დასაწყისიდან მუცელი შეხვეული მაქვს, რაც მოწოდებაში ცოტათი ხელს მიშლის, თუმცა თანდათან სულ უკეთ ვგრძნობ თავს" — განაცხადა ანამ.

კიდევ ერთი, ზედიზედ მეცამეტე გამარჯვება მოიპოვა მელბურნში 18 წლის ნიჭიერმა ბელგიელმა ჟიუსტინ ენენმა. ამჯერად მან მეცამეტედ განთესილი ფრანგი სანდრინ ტესტიუ 6:2, 6:4 დაამარცხა. მსოფლიოს პირველ-მეორე ჩოგნებმა — მარტინა ჰინგისმა და ლინდსი დევენპორტმა ბელგიელი თითქმის ერთხმად ფავორიტთა სიაში ჩარიცხეს.

„ძალიან სასიამოვნოა მათგან ამის მოსმენა, მაგრამ მეეჭვება, აქედან ტიტულით წავიდე — დაიმორცხვა ენენმა — ფიზიკურად თავს შესანიშნავად ვგრძნობ, მაგრამ ამდენი მატჩი დროის ასეთ მცირე მონაკვეთში არასოდეს ჩამიტარებია და ფსიქოლოგიურად გადავიღალე. ისე, საკუთარი ძალებისა უფრო მეტად ვირწმუნე."

მესამე წრე. კაცები: მარატ საფინი (2, რუსეთი) — მიხაილ ტაბარა (ჩეხეთი) 6:1, 6:1, 6:4; პიტ სამპრასი (3, აშშ) — ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) 6:4, 4:6, 4:6, 7:5, 6:2; ანდრე აგასი (6, აშშ) — დევიდ პრინოშილი (გერმანია) 7:6 (13:11), 5:0 — ტრავმა; ტიმ ჰენმანი (8, ინგლისი) — ტიმ არტურსი (ავსტრალია) 6:2, 6:2, 0:6, 6:2; პატრიკ რაფეტერი (12, ავსტრალია) — მიხაილ კრატოხვილი (შვეიცარია) 6:4, 6:1, 7:5; ტოდ მარტინი (აშშ) — სერგეი პოილინი (13, საფრანგეთი) 6:4, 3:6, 6:3, 6:4; დოვენიკ პრაბატი (14, სლოვაკეთი) — კრისტოფ როშიუ (ბელგია) 6:4, 6:4, 6:2; ანდრიუ ილი (ავსტრალია) — მიხაილ იუჟნი (რუსეთი) 7:6 (7:3), 6:4, 6:2.

ქალები: ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) — სილვია ფარინა (იტალია) 6:2, 6:1; მონიკა სელეში (4, აშშ) — ემილ ლუა (საფრანგეთი) 6:3, 7:5; ანა კურნიკოვა (8, რუსეთი) — ბარბარა შეტი (ავსტრია) 2:6,6:4, 6:3; ჯენიფერ კაპრიატი (12, აშშ) — ვირჯინია რუანო პასკუალი (ესპანეთი) 6:0, 6:2; ჟიუსტინ ენენი (ბელგია) — სანდრინ ტესტიუ (14, საფრანგეთი) 6:2, 6:4; კიმ კლაისტერსი (15, ბელგია) — ნურია ლაგოსტერა (ესპანეთი) 6:0, 6:1; ბარბარა რიტნერი (გერმანია) — რუქსანდრა დრაგომირი (რუმინეთი) 6:1, 3:6, 6:1; მარია მარეროო (ესპანეთი) — ემანუელა გალიარდი (შვეიცარია) 4:6, 6:1, 6:2.

ᲐᲛᲝᲬᲜᲔᲚᲘ ᲡᲕᲐᲜᲘᲫᲔ



ჟიუსტინ ენენი

ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ



ანა კურნიკოვა

პოკეის ვარსკვლავებით ანა კურნიკოვას გატაცების შესახებ, ლამის მთელმა მსოფლიომ იცის — სერგეი ფიოდოროვსა და პაველ ბურესთან სპორტის სექს-სიმბოლოს რომანების შესახებ „სარბიელშიც" არაერთხელ დაწერილა.

19 წლის რუსის ერთმა ავსტრალიელმა ქომაგმა, ეტყობა, ბევრი იფიქრა, რითი შეძლებდა ანას ყურადღების მიპყრობას და, ბოლოს და ბოლოს მეტად უჩვეულო გამოსავალს მიაგნო: ხუთშაბათს კურნიკოვას წყვილების მატჩზე თავიდან ბოლომდე ჰოკეისტის ფორმაში გამოწყობილი გამოცხადდა ხელში პლაკატით — „ანა, მე მათ ვჯობივარ, ამირჩიე".

თუ სხვა არაფერი, თავდადებული ავსტრალიელი სიყვარულით დამწვარის წოდებას მაინც იმსახურებს: მელბურნულ პაპანაქებაში ჰოკეისტის აღკაზმულობაში ხრაკვა ვერაფერი სიამოვნება იქნება. დაფუასებს თუ არა კურნიკოვა ამხელა მსხვერპლს — უცნობი ავსტრალიელებით მისი დაინტერესების შესახებ არაფერია ცნობილი.

* * *

თუ კორტზე არა, მელბურნში, მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა შორის გაჩაღებულ საჩოგბურთო აღკაზმულობათა ომში ანა კურნიკოვა ყველას სჯობნის. ბულვარულ გაზეთ „ჰერალდ სანის" მიერ გამოკითხულმა ცნობილმა ავსტრალიელმა დიზაინერებმა მისი მოკლე ყვითელი მაისურა, ასეთივე ფერის წუდები და შავი შორტები ერთხმად დაასახელეს ავსტრალიის ღია პირველობაზე მოთამაშე დიაცთა შორის საუკეთესოდ.

ასევე მაღალი შეფასება დაიმსახურა ელენა დოკიჩის ჭიპამოჭრილმა მაისურამ. ვინუს უილიამსის მკერდდაღებულ ტანისამოსს დიზაინერებმა არაპრაქტიკული და უგემოვნო უწოდეს, ლინდსი დევენპორტს კი გულისამრევი წითელი ფერის უფრო მსუბუქი ტონით შეცვლა ურჩიეს.

* * *

კაც ჩოგბურთელთა შორის ახალი მოდის დამამკვიდრებლად კარგა ხნის მანძილზე ანდრე აგასი ითვლებოდა. კარიერის დასაწყისში თეთრად შეღებილი მხრებამდე თმებითა და ჭყეტელა ტანისამოსით ამერიკელი ლამის შოკში აგდებდა ჩოგბურთის რესპექტაბელურ ქომაგებს, ტრადიციულ თეთრებში გამოწყობის წინააღმდეგი კი თავიდან უიმბლდონზე თამაშზეც უარს ამბობდა.

მოგვიანებით, უკვე გამელოტებულმა ანდრემ ლომის წილი დაიდო ჭრელი, ხალვათი შორტებისა და ბენდენის პოპულარიზაციაში, თუმცა ბოლო ხანებში, როგორც ღვაწლმოსილ ვეტერანს შეეფერება, მხოლოდ კლასიკურ შავ-თეთრ ფერებშია გამოწყობილი და ტანზე შემოჭერილი მოკლე შორტები აცვია. რატომ ასეთი ცვლილება?

„ყელში ამომივიდა შორტებში ხელების ფათური საკუთარი ბურთების საძებნელად" — არ დაახანა პასუხი აგასიმ. ინგლისურის არმცოდნეთა გასაგებად: ბურთები ამ ენაზე მამაკაცის მეტად საჭირო ორგანოსაც ნიშნავს.

* * *

შარშან საპრიზოებით ევგენი კაფელნიკოვმა 3,7 მილიონი დოლარი მოაგროვა, მთელი კარიერის მანძილზე — უკვე 18 მილიონზე მეტი (ამ თანხაში არ შედის ტურნირზე მონაწილეობისთვის ორგანიზატორებისგან მიღებული და რეკლამებით ნაშოვნი ფული), თუმცა მაინც მიაჩნია, რომ ჩოგბურთელებს ცოტას უხდიან.

„რომ შეადარო, სხვა სპორტსმენები რამდენს შოულობენ, ATP-ის საპრიზოები სასაცილოდ მოგეჩვენებათ. დღეს კორტზე 3 საათი და 10 წუთი ვიწვალე, მაგრამ ტურნირის დამთავრების შემდეგ საპრიზოების ჩეკს რომ დახედავ, მეტად მცირეა — განაცხადა სოჭელმა ენენამ მეორე წრეში ნიკოლას კიფერის დამარცხების შემდეგ — მაგალითად, აშშ-ის გოლფის ყველაზე პატარა ტურნირზე გამარჯვებულს 540 ათას დოლარს აძლევენ, მაშინ, როცა იგივე მაჩვენებელი ჩვენთან 42 ათასია. ეს ცოტა უცნაურად მეჩვენება".

კაფელნიკოვს ფული მართლაც რომ სჭირდება — მარტო პირადი თვითმფრინავით მგზავრობა მას უზარმაზარ თანხად უჯდება (თავის დროზე ანდრე აგასიმ თვითმფრინავი გაყიდა, მეტისმეტი ხარჯიაო), თანაც ფუფუნების და საკუთარი თავისთვის მცირედი საჩუქრების კეთება უყვარს. მაგალითად, შარშან ნოემბერში, სტოკჰოლმის ტურნირზე ასპარეზობის დროს, მერვედფინალის შემდეგ, „სპარტაკის" მატჩზე დასასწრებად მოსკოვში გაფრინდა და უკან მეორე დღეს, ზედ მეოთხედფინალის დაწყების წინ დაბრუნდა.

სოჭელ ენენას, ეტყობა, ჯეუფ ტარანგოს იდეაც ჭკუაში დაუჯდა — ამერიკელის თქმით, ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია და ATP ჩოგბურთელებს შემოსავლის 10 პროცენტს კი არა, ნახევარს რომ უნაწილებდეს, როგორც აშშ-ის ბევრ პროფესიულ ლიგაში, საპრიზოები კატასტროფულად გაიზრდებოდა.

„მე ჩემი კი არა, სხვა ჩოგბურთელების სახელით ვლაპარაკობ. ისინი ამაზე საუბარს ერიდებიან, მე კი არა. დარწმუნებული ვარ, ბევრი მზარსაც დამიჭერს — მცირეოდენი ალტრუიზმიც გაურია სოჭელმა მოთხოვნაში — ოღონდ არ მინდა, ასეთი განცხადებით უბრალო მაყურებლები აღვაშფოთო, რომლებიც ჩვენთან შედარებით გაცილებით ნაკლებს შოულობენ".

დრობნიაკების დავა მულამერროვიჩმა გადაწყვიტა

AFP ფოტოგრაფიდან

ვილერბანი — სიენა. მატჩის გმირი ბორის გორენცი ვილერბანელ პეტერ ჰოფმანს გაექცა

ბერლინის „ალბას“ ცენტრები, იუგოსლავიელი დეიან კოტუროვიჩი და გერმანელი თეომან ოხთურქი შარშან სტამბოლის „ულქერში“ თამაშობდნენ. ცხადია, მათ კარგად იციან ყოფილი გუნდის ავან-ჩავანი და მის წინააღმდეგ თამაშისას ახალ თანაგუნდელებს ერთი-ორ რჩევას შეაწევდნენ. არც „ულქერში“ დავიწყებიათ კოტუროვიჩისა და ოხთურქის ძალა, ამიტომაც სტამბოლელთა მწვრთნელმა მურათ დიდინმა თამაშის დაწყებისთანავე ყოფილი შეგირდების პერსონალურად აყვანა ბრძანა.

კოტუროვიჩს ამერიკელი ბენჯამინ ჰენდლოგტენი აედევნა (სხვათა შორის, კოტუროვიჩის წასვლის შემდეგ „ულქერში“ მისი ადგილი ჰენდლოგტენმა დაიკავა) და ოთხ წუთში ორი პერსონალური მიაღებინა. ოხთურქი ჩრდილში იყო, ხოლო ბერლინელთა ერთერთ ლიდერს, ამერიკელ ფორვარდ ვენდელ ალექსისს თვისტომი კოლეგა კვადრე ლოლისი იჭერდა. „ულქერი“ ჯერ 7:0 იგებდა, მერე — 18:9. ლიდერების უქმობისას თავი ალბელთა სათადარიგოებმა გამოიღეს: ორგ ლუტკემ ერთ წუთში ზედიზედ ორი სამქულიანი ჩაადო, სტიპო პაპიჩმა გარდვევაზე იყოჩაღა, ხოლო ალექსისი მატჩში ერთადერთხელ დაუსხლტა ლოლისს და ფარქვეშიდან შედეგიანად შეუტია. „ულქერმა“ ტაიმი მაინც მოიგო, ოღონდ ორი ქულით — 35:33.

მეორე ტაიმიც „ულქერის“ სწრაფი შეტევებით დაიწყო. „ალბას“ მწვრთნელმა ემირ მუტაფჩიჩმა ადრეული წუთშესვენება აიღო. ამ დროს ალექსისს წელი ატკივდა და თამაშის გაგრძელება ვეღარ შეძლო. მიუხედავად ამისა, „ალბამ“ მდგომარეობა გამოასწორა (44:43) და მეტოქეს ფიცხელი ბრძოლა გაუმართა. ბერლინელთა ამერიკელმა გამთამაშებელმა დერიკ ფელპსმა თამაშის გაძღოლა ითავა, ხოლო დაცვაში ულქერელთა უკანახაზელებს ამოსუნთქვის საშუალება არ მისცა. კოტუროვიჩმა გაითავისუფლა თავი დაღლილი ჰენდლოგტენის კლანჭებისგან და ფარქვეშიდან ჩაგდებას მოუხშირა. სტამბოლელთა შორის კი სლოვენიელი ფორვარდი მილან გოლიოვიჩი მძლავრობდა — თითქმის ყველა ბურთი ჩაადო (ცხრიდან რვა ორქულიანი, ორიდან ორი სამქულიანი, რვიდან ექვსი საჯარიმო). ასე იწურებოდა მატჩი, რომელშიც საფუძვლიანი უპირატესობის მოპოვება ვერცერთმა მეტოქემ ვერ მოახერხა.

შენიშნავდით, „ულქერის“ კაპიტანი ჰარუნ ერდენი ჯერ არ გვიხსენებია. სიმართლე ითქვას, არც იყო სახსენებელი, რადგან ბოლო წუთამდე დიდად ღირებული არაფერი გაუკეთებია. თუმცა, ჩვენ მივეჩვიეთ, რომ ერდენი სცენაზე ბოლო, თანაც კრიტიკულ მომენტში შემოდის და, როგორც წესი, თავისიანებს ამარჯვებინებს.

მაშ ასე, დამთავრებამდე 17 წამია, „ულქერი“ 73:72 იგებს და უტევს. ბურთის ფლობისთვის განკუთვნილი დრო იწურება, ერდენი თითქოს ნაჩქარევად ესვრის სამქულიანს... 76:72. ეს „ალბასთვის“ ნამეტანი იყო, მართალია ფელპსმა სამი საჯარიმო ჩააგდო, მაგრამ გოლიოვიჩმა ორით უპასუხა და „ულქერმა“ ბერლინის „მაქს შმელინგ ჰალეში“, 6 ათასი მაყურებლის თვალწინ დრამატული გამარჯვება იზეიმა. ზაზა ფაჩულია „ულქერის“ განაცხადში იყო, ოღონდ არ უთამაშია.

შარშანდელი ევროლიგის ჩემპიონ ათენის „პანათინაიკოსს“ წლეულს არაერთხელ უთამაშია უფერულად. ხორვატულ „სპლიტთან“ საშინაო მატჩის პირველ ტაიმს და მეორეს დასაწყისს უფერულიც არ ეთქმოდა — საშინელი იყო. ახალგაზრდული „სპლიტი“ არ შეუშინდა მეტოქის ავტორიტეტს და პირველი მეოთხედი 23:13 მოიგო. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ამერიკელი უკანახაზელი ტერენს რენჩერი და ხორვატიის ნაკრების ცენტრი ანტე გრგურევიჩი. ტაიმის ბოლოსთვის ანგარიშში სხვაობა შემცირდა, თუმცა სტუმრები მაინც იგებდნენ — 34:27.

მეორე ტაიმიც „სპლიტის“ უპირატესობით დაიწყო და იგი 24-ე წუთზე 11 ქულით იგებდა — 42:31. ეს „პანათინაიკოსისთვის“ ალიყურის ტოლფასი გამოდგა, ათენელები გამოფხიზლდნენ და კაპიტანმა ფრაგისკოს ალვერტისმა ზედიზედ შვიდი ქულა მითვალა (ორი სამქულიანი ჩაადო). მასპინძლებმა 11:0 მოიგეს ერთი მონაკვეთი და ანგარიში გაათანაბრეს (42:42), ხოლო მესამე მეოთხედის ბოლოს მატჩში პირველად დაწინაურდნენ — 46:44.

„პანათინაიკოსს“ თითქოს გატეხილი ჰყავდა მეტოქე, მაგრამ „სპლიტი“ ბედს არ შეეგუა და, რენჩერის წყალობით, დამთავრებამდე ექვსი წუთით ადრე წინ გავიდა — 54:51. ახლა ათენელებმა გამოიღეს თავი და ექვსი უპასუხო ქულა მითვალეს (57:54). დამთავრებამდე ცხრა წამით ადრე „პანათინაიკოსი“ ერთ ქულას იგებდა (61:60), როცა დეიან ბოდიროგამ სამქულიანი ჩაადო და თავისიანებს თან მოაგებინა, თან ჯგუფში ლიდერობა შეუნარჩუნა.

თავისი ჯგუფის ლიდერად დარჩა თელ ავივის „მაკაბი“, რომელმაც სტუმრად გაიკამტვერა შვედური „პლანია“. მაკაბელთა სათადარიგოებმა 62 ქულა გააკეთეს, ხოლო პლანიელები იმ შეგირდებს ჰგავდნენ, რომლებიც მასწავლებლებს ეთამაშებიან და ზედმეტს ვერაფერს უბედავენ. სტუმართა შორის, ტრადიციულად, საუკეთესო იყო ამერიკელი ცენტრი ნათანიელ ჰაფმანი, ხოლო „პლანიას“ რიგებში მეტნაკლებად კარლ ტომასის ქმედებას ერქვა თამაში. თუმცა, მან ბურთების უმრავლესობა მაშინ ჩაადო, როცა „მაკაბი“ 30 ქულით დაწინაურდა.

ბელგრადის „პარტიზანმა“ შეწყვიტა სამმატჩიანი მარცხიანი სერია და ამ წელიწადში პირველი გამარჯვება მოიპოვა. შესანიშნავად ითამაშა მიროსლავ ბერიჩმა, რომელსაც კარგად წეხმარნენ ნენად ჩანაკი, ვესელინ პეტროვიჩი და ბრანკო მილისავლიევიჩი. სალონიკის „ირაკლისმა“ მატჩის მიწურულს მდგომარეობა გამოასწორა და მოგების შანსიც გაუჩნდა, მაგრამ ბერიჩმა ორი სამქულიანით არ დაანება. „პარტიზანის“ ლიდერმა ამ შეხვედრაში ექვსი სამქულიანი ჩაადო.

ხორვატი გამთამაშებელი დამირ მულაომეროვიჩი რომ არ ჰყავდეს, სტამბოლის „ეფესი“ ერთი რიგითი გუნდი იქნებოდა. მაგრამ ეს მოთამაშე ამ კლუბშია და „ეფესსაც“ სიტყვა ეთქმის ევროპაში. თავის ჯგუფშიც მხოლოდ „მაკაბის“ ჩამორჩება. ნოვო მესტოს „კრკასთან“ საშინაო მატჩის პირველ ტაიმში მულაომეროვიჩმა 24 ქულა გააკეთა. მის შემდეგ ყველაზე შედეგიანები მეჰმეთ ოქური და იუგოსლავიელი პრედრაგ დრობნიაკი იყვნენ ოთხ-ოთხი ქულით. „ეფესის“ წინა ხაზი (ბეშიქი — დრობნიაკი — ოქური) პარალიზებული იყო. ეს ერთმა კაცმა, „კრკას“ სლოვენიელმა დრაგიშ დრობნიაკმა მოახერხა. ისევ და ისევ მულაომეროვიჩის წყალობით „ეფესმა“ ტაიმი 40:38 მოიგო.

მეორე ტაიმში მულაომეროვიჩმა თანაგუნდელების პასებით მომარაგება დაიწყო. მან რვა პასი გააკეთა, რომელთა უმრავლესობაც ომერ ონანმა და ჰუსეინ ბეშოქმა გამოიყენეს. ონანის ცხრა ქულამ ანგარიშში სხვაობა თერთმეტამდე გაზარდა (57:46). შემდეგ მატჩი ინერციითღა გაგრძელდა და „ეფესის“ გამარჯვებით დასრულდა.

ფრანგულ „ვილერბანს“ მშობლიურ „ასტრობალში“ ნაღდი მაჯლაჯუნა მოევლინა, რომელსაც იტალიური „სიენას“ სლოვენიელი ფორვარდის ბორის გორენცის სახე ჰქონდა. „ვილერბანი“ მთელი თამაშის განმავლობაში წინ იყო, ტემპს აკონტროლებდა და მშვიდად მიჰყავდა მატჩი დასასრულამდე. „სიენა“ ბოლო წუთზე გამოფხიზლდა, ჯერ რობერტო კიაჩიგმა ჩაადო, დამთავრებამდე 32 წამით ადრე კი გორენცმა ოთხი ქულით დაწინაურა თავისიანები (84:80). საპასუხო შეტევისას ვილერბანელმა ლორან პლუვიმ სამქულიანი ჩაადო, რასაც გორენცმა ერთი საჯარიმოთი უპასუხა. პლუვიმ სასწაული მოახდინა და კიდევ ერთი სამქულიანი ჩაადო, „ვილერბანი“ 86:85 დაწინაურდა, მაგრამ ნამდვილი სასწაული კიდევ წინ იყო. დარჩენილ ორ წამში სამი მეტოქის ალყაში მოქცეულმა გორენცმა ბურთის მიღება და სროლა მოახერხა... ვილერბანელთა კოშმარიც მაშინ დაიწყო.

მერაბ რატიშვილი

სუპროლიგა

ჯგუფური ეტაპი. XI ტური. 17-18 იანვარი

A ჯგუფი

ალბა 75:78 ულქერი

ალბა: ალექსისი (2), გარისი, კოტუროვიჩი (11), ლუტკე (13), ოზთურქი, პაპიჩი (10), პეშიჩი (19), ფელპსი (18), როდლი (2)

ულქერი: აჩიკი, ერდენი (13), ერდოგანი (4), გოლიოვიჩი (28), გონლუმი, ჰენდლოგტენი (18), ლოლისი (7), სარიჯა, ილდირიმი (8)

პანათინაიკოსი 64:60 სპლიტი

პანათინაიკოსი: ალვერტისი (22), ბოდიროგა (20), ფოცისი (10), კალაიძისი (2), კოხი, დ. მიდლტონი (2), რებრაჩა (8), როჯერსი

სპლიტი: ბადჟიმი (6), გრეგოვი, გრგურევიჩი (13), ლენდი (5), პოლიაკი, რენჩერი (24), სუბოტიჩი, ვუიჩიჩი (7), ჟიჟიჩი (5)

ცსკა 72:65 ცეპტერი

ცსკა: ალანოვიჩი (10), დომანი (4), ეინიკისი (18), ფეტისოვი (14), კირილენკო (9), კუდელინი (8), ლარუ, მორგუნოვი (4), პადიუსი, პეტრენკო (5)

ცეპტერი: ადომაიტისი (7), ავლიაში (15), ჯემისონი (11), კოსციუკი, მიგლინიკსი, ტომჩიკი, ვოიციკი (22), ზიელინსკი (10)

რაანანა 71:88 ლიეტუვოს რიტასი

რაანანა: კოენი, გუდეისი, გრინი (15), იცხაკი (4), კანტორი (2), მაკარტი (8), სელტერსი (6), სავანოვიჩი (4), სტანოევიჩი (32)

ლიეტუვოს რიტასი: ელიოტი (9), გედრაიტისი (14), გრანტი, იარუტისი (4), ა. ივეტოკასი, რ. ივეტოკასი (6), კაძიულისი, კაზლაუსკასი (2), მასიაულასკასი (14), შესტოკასი (10), შიშკაუსკასი (14), სლეზასი (15)

ვილერბანი 86:87 სიენა

ვილერბანი: სკიარა (14), პლუვი (17), პაშუტინი (4), ჰოფმანი (9), ბლომი (2), ედვარდსი (11), ფრიგუ (6), ბილბა (4), ლონგი (19)

სიენა: სკარონე (17), გორენცი (15), მეისი (8), სავიო, ბ. ივანსი (15), ალბერტი (8), როუენი (8), კიაჩიგი (16)

პანათინაიკოსი	11	8	3	894:817	19
ცსკა	11	8	3	859:805	19
ულქერი	11	7	4	881:839	18
ცეპტერი	11	6	5	896:865	17
სპლიტი	11	6	5	816:806	17
ალბა	11	5	6	879:868	16
ვილერბანი	11	5	6	845:850	16
სიენა	11	4	7	838:897	15
ლიეტუვოს რიტასი	11	3	8	897:962	14
რაანანა	11	3	8	792:888	14

B ჯგუფი

პლანია 68:113 მაკაბი

პლანია: პატიეიუნასი (3), ლუნდალი (10), დალენი, ვაარა, ფრედრიკსონი, პარნი (11), აულანდერი (4), რონდალი (8), პანაიოტოპულოსი (3), ტომასი (19), ნიკოლასი (10)

მაკაბი: ჰენფელდი, ბრისკერი (9), შარფი (11), ჰაფმანი (21), პარკერი (9), შელეფი (14), ბურშტეინი (16), რადოვიჩი (8), ჩურჩიჩი (10), მაკდონალდი (12), შტერნლაითი (3)

პარტიზანი 93:81 ირაკლისი

პარტიზანი: ბერიჩი (26), ბულატოვიჩი (9), ჩანაკი (18), კოტონი (3), გლინტიჩი, მილისავლიევიჩი (20), პეტროვიჩი (13), ვარდა (4)

ირაკლისი: ხაძივრეტასი (14), ხრიზანტოპულოსი (4), კამარიოტისი (2), კარაგუტისი (1), კარასიოვი (9), მარკოპულოსი (2), ნაკიჩი (8), პაპადოპულოსი (22), პაპაიოანეიმი (19)

ოსტენდე 88:85 ბაიერი

ოსტენდე: ჰოლდენი (16), ბეგინი (2), პეჭა, ბიგსი (18), დოილი (8), კულამი (6), ვან დენ შპიგელი (24), პრაშკევიჩუსი (14)

ბაიერი: ჩ. ევანსი (18), გაიბი, ბესტი (26), ჰენიკი, ჰანსენი (20), ვებერი, ენადი (2), ლოხმანიუკი (10), გისეკი, ჰაჩისონი (9)

სკავოლინი 102:89 პო ორტეზი

სკავოლინი: ბუკერი (21), გიგენი (15), ჯონსონი (21), მაჯოლი (10), მანიფიკო (2), ლ. მიდლტონი (9), პეჩილე (3), ტრაინა (5), ტუშეკი (12), ძანელი (4)

პო ორტეზი: დიაფი (2), დროზდოვი (3), ესტელერი (16), ფოტუ (6), დ. გიდუ (2), ლუესონი (15), მაზინგი (6), მაკკალოფი (22), მურეშანი (17), ფ. პიეტრუსი, მ. პიეტრუსი

ეფესი 84:70 კრკა

ეფესი: მულაომეროვიჩი (28), ბიბო (3), ონანი (11), შეჩპანოვიჩი (9), არსლანი, ილმაზი (2), ბეშოქი (11), ოქური (8), ბ. დრობნიაკი (8), პეკერი (4)

კრკა: ანზულოვიჩი (3), ივეტოვიჩი (1), დონჩიჩი (2), პეტროვი (13), მიჰაილოვიჩი, დეივისონი (6), დ. დრობნიაკი (18), კორტნი (16), ჩაპინი (7), არაპოვიჩი (4)

მაკაბი	11	9	2	988:834	20
ეფესი	11	8	3	918:837	19
პარტიზანი	11	7	4	900:915	18
სკავოლინი	11	6	5	923:871	17
ოსტენდე	11	6	5	908:911	17
ირაკლისი	11	5	6	914:915	16
პო ორტეზი	11	5	6	875:897	16
კრკა	11	4	7	808:853	15
ბაიერი	11	3	8	962:994	14
პლანია	11	2	9	815:985	13

ევროლიგა

ჯგუფური ეტაპი. X ტური. 17-18 იანვარი

A ჯგუფი

ლუგანო 77:76 ესტუდიანტესი

ფორტიტუდო 71:69 პერისტერი

ზადარი 86:87 ჟალგირისი

სატურნირო მდგომარეობა: ფორტიტუდო 18 ქულა, პერისტერი 17, ჟალგირისი 16, ესტუდიანტესი 14, ლუგანო 13, ზადარი 12

B ჯგუფი

შარლერუა 100:91 ციბონა

აეკ 64:52 ტაუ

პეტერბურგი 78:82 კინდერი

სატურნირო მდგომარეობა: კინდერი 19 ქულა, აეკ 18, ტაუ 16, ციბონა 13, პეტერბურგი 12, შარლერუა 12

C ჯგუფი

ოვარენშე 76:86 ბენეტონი

რეალი 82:70 ოლიმპია

პაპოელი 83:70 ოლიმპიაკოსი

სატურნირო მდგომარეობა: ოლიმპიაკოსი 17 ქულა, რეალი 17, ოლიმპია 17, ბენეტონი 16, ჰაპოელი 13, ოვარენშე 10

D ჯგუფი

ლონდონ თაუერზი 61:93 პაოკ

ბუდუჩნოსტი 77:73 მიულერი

სკაილაინერზი 51:68 ბარსელონა

სატურნირო მდგომარეობა: ბარსელონა 18 ქულა, პაოკ 17, ბუდუჩნოსტი 17, მიულერი 16, ლონდონ თაუერზი 11, სკაილაინერზი 11

მეოთხედფინალი (ორ მოგებამდე)

31 იანვარი — 7 თებერვალი, თუ საჭირო გახდა 14 თებერვალი

ფორტიტუდო (იტალია) — ციბონა (ხორვატია)

რეალი (ესპანეთი) — ბუდუჩნოსტი (იუგოსლავია)

კინდერი (იტალია) — ესტუდიანტესი (ესპანეთი)

პაოკ (საბერძნეთი) — ოლიმპია (სლოვენია)

ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) — მიულერი (იტალია)

პერისტერი (საბერძნეთი) — ტაუ (ესპანეთი)

ბარსელონა (ესპანეთი) — ბენეტონი (იტალია)

აეკ (საბერძნეთი) — ჟალგირისი (ლიტვა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

სად გაიზარდე, პოლ?!

18 იანვარი

პორტლენდი 85:74 მაიამი

პორტლენდი: ველსი (22 ქულა, 10 მოხსნა), ვოლესი (18)
მაიამი: ჯონსი (20)

კლიპერსი 79:82 ბოსტონი

კლიპერსი: ოდომი (20 ქულა, 10 მოხსნა)
ბოსტონი: უოლკერი (29 ქულა, 11 მოხსნა, 10 პასი), პირსი (23)

დალასი 115:106 ორლანდო

(ძირითადი დრო 99:99)

დალასი: ნოვიცკი (38 ქულა, 17 მოხსნა), ფინლი (21)
ორლანდო: მაკგრეიდი (34), არმსტრონგი (19 ქულა, 12 მოხსნა)

ინდიანა 84:76 ატლანტა

ინდიანა: როუზი (29)
ატლანტა: რაიტი (19 ქულა, 10 მოხსნა), ტერი (17), მუტომბო (14 ქულა, 15 მოხსნა)

ჩიკაგო 110:116 დეტროიტი

ჩიკაგო: მერსერი (33), ბრენდი (25 ქულა, 14 მოხსნა)
დეტროიტი: სტეკჰაუზი (36 ქულა, 11 პასი), სმიტი (23)

გოლდენ სტეიტი 104:112 პიუსტონი

გოლდენ სტეიტი: ჯემისონი (43 ქულა, 15 მოხსნა), სურა (31)
პიუსტონი: მობლი (41), ვილიამსი (22)

AP პორტლენდიდან

პორტლენდი — მაიამი. ბრიუს ბოუენმა (მარცხნივ) და ბრაიან გრანტმა პორტლენდელი ბონზი ველსი ხაფანგში მოამწყვდიეს

ძლევამოსილ სვლას აგრძელებს დასავლეთში ამ ცოტა ხნის წინ გამეფებული „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი". აგერ, სულ იოლად დაამარცხა აღმოსავლელი „მაიამი" და აქტივში მორიგი, ბოლო 14 თამაშში კი მე-13 გამარჯვება ჩაიწერა. „მაიამიზე" აუგი ვერ დასცდება, უმურნინგოდ დარჩენილი ფლორიდელები მაინც ახერხებენ და აღმოსავლეთის რჩეულთა მარაქაში გარეულან, მაგრამ ამ შეხვედრას ასე უსახელოდ რომ დათმობდნენ, ბევრს არ ეგონა. სტუმრებს მოგების იმედი პირველივე მეოთხედის შემდეგ გაფანტურათ, როცა ეს თორმეტწუთეული აშკარად ჩაფლავეს და მძლავრ მეტოქეს 10:27 დაუთმეს, რის შემდეგაც წინდაწინვე დღის ყველაზე საინტერესო თამაშად შერაცხულმა ამ შეხვედრამ ფაქტობრივად აზრი დაკარგა. სტუმართაგან მხოლოდ ედი ჯონსი თუ შექების ღირსი, სხვები კი ტყემალზე ისხდნენ და იქიდან უყურებდნენ, როგორ მშვიდად მიჰყავდა საქმე „პორტლენდს" სასურველ დასასრულამდე. ოდინდელმა პორტლენდელმა, აწ კი „მაიამის" ერთ-ერთმა უმთავრესმა იმედმა ბრაიან გრანტმა სულ 11 ქულა და 4 მოხსნა შეაწია თავისიანებს. „მაიამის" ისედაც უჭირს ფარზე. ლიგაში ამ გუნდზე ცუდ მომხსნელს ვერ ნახავთ, ახლა კი გრანტმა და „ჰითის" სხვა წევრებმა „პორტლენდს" მოხსენებაში 29:48 დაჩაგვრინეს თავი.

გრანტის უკბილო თამაშით მასპინძელ გულშემატკივართა ოციათასიანი არმია ერთობ კმაყოფილი დარჩა, მიუხედავად იმისა, რომ მატჩის დაწყებამდე ქომაგობა საკმაოდ თბილად შეხვდა ერთ დროს თავის კერპს და წინა სეზონის შემდეგ „როუზ გარდენში" პირველად შემობიჯებულს ტაშითაც კი შეეგება.

„საზიზღრად ვითამაშეთ — ამბობდა ნამატჩევს ბრაიან გრანტი — ჩვენ თავიდანვე გვაკლდა მონდომება და აგრესიულობა. ვფიქრობ, „პორტლენდი" ლიგაში უძლიერესია და მას პირველი მეოთხეული 17 ქულითა თუ დაუთმე, განწირული ხარ".

მასპინძელთაგან კი კვლავ სანაქებოდ გაისარჯა „ბლეიზერსის" ახალგამოცხვარი ლიდერი ბონზი ველსი, რომელმაც პირველივე მეოთხედში თავბრუ დაახვია მეტოქეს და ამ მონაკვეთში 13 ქულა მოიპოვა.

ვითომ მოღონიერებულმა „ლოს ანჯელეს კლიპერსმა" უიღბლო სერიის შეწყვეტა „ბოსტონ სელტიქსთან" დაპირა და მასთან ჭიდილს ბლომად ენერგია დაახარჯა, თუმც არაფერი გამოუვიდა და ზედიზედ ოთხ მარცხს ერთიც წაუმატა. ლოსანჯელესელები ისევ თავისიანმა, პოლ პირსმა გაწირა, რომელსაც მართალია, „კლიპერსში" ცხოვრებაში არ უთამაშია, მაგრამ ლოს ანჯელესის იმ უბანში შობილა და გაზრდილა, სადაც „კლიპერსს" ბინა დაუდვია. პირსმა შეხვედრის დასკვნით ეტაპზე, 79:79 ანგარიშზე, მნიშვნელოვანი ბურთი ჩაუგდო მეტოქეს, ფინალურ სირენამდე 16 წამით ადრე კი მასპინძელთა მეთაურს ლამარ ოდომს შეტევაში ჯარიმა აჰკიდა და თავისიანებს გამარჯვება დაუბევა. „კლიპერსს" ხელი არც პირსის თანაგუნდელმა ანტუან უოლკერმა დააკლო, 29 ქულასთან ერთად 11 მოხსნა და 10 პასი შეაგროვა და სეზონში მეოთხე სამმაგ დუბლს გამოჰკრა ხელი.

დალხინებული ცხოვრება არა აქვს „ორლანდო მეჯიქს", პლეი ოფისთვის იბრძვის და ყოველი გამარჯვება ძვირად უღირს. დალასში ჩასულმა ფლორიდელებმა იქაურ „მავერიქსთან" რიხით დაიწყეს და თითქოს საწყისი მეოთხედის საშინელი სხვაობით — 37:15 მოგებით — საქმეც მოითავეს, მაგრამ მასპინძლები სხვაგვარად ფიქრობდნენ. „დალასმა" დარჩენილ სამ მეოთხედში იოლად დაფარა ვეება დეფიციტი, მაიკლ ფინლიმ სირენასთან ერთად სამიანიც ჩააგდო და შეხვედრა ოვერტაიმში გადაიყვანა. აქ კი სტუმრებს ჰ ოვარდ ეისლიმ მოუთავა ხელი. ეისლის ძირითად დროში რიგიანი არა გაუკეთებია რა, თამაშიდან ნასროლი ათივე ბურთი გააფუჭა, მაგრამ მაშინ იყოჩაღა, როცა „დალასს" ეს ყველაზე უფრო სჭირდებოდა — ოვერტაიმის გასრულებამდე ნახევარი წუთით ადრე ორქულიანი მოუთავსა კალათში „ორლანდოს" და „დალასი" 111:106 დაწინაურა, დარჩენილ ნახევარ წუთშიც ოთხი საჯარიმო ჩააგდო და „მეჯიქი" შინ ნაწყენი გაუშვა. ეისლის და ფინლის არც „დალასის" გერმანელი აღმოჩენა დირკ ნოვიცკი ჩამორჩა, ორი კარიერის რეკორდი — 38 ქულა და 17 მოხსნა დაიმყარა.

ვიცე-ჩემპიონ „ინდიანას" შინ გვარიანად გაუჭირდა უხეირო „ატლანტასთან", რაშიც წვლილი რეჯი მილერს მიუძღვის. ინდიანელთა ოქროსხელება სნაიპერს ამჯერად მიზანმა უმტყუნა, ხუთივე სამქულიანი ააცილა, თამაშში 19 ნასროლიდან ოდენ ხუთი ჩააგდო და 15 ქულას დაყაბულდა. მილერის უკბილო თამაშის შემყურე მასპინძლები საწყისი სამი მეოთხედი ჯახირობდნენ. დასკვნით თორმეტწუთეულში კი ჯალენ როუზმა სერიოზულად მოჰკიდა ხელი საქმეს, 14 ქულა შეაშველა თავისიანებს და ეს მონაკვეთი 28:19 მოაგებინა „პეისერზს". „ინდიანამ" ზედიზედ მესამედ იმარჯვა.

როგორც იქნა, საწადელი აისრულა და ბოლო შვიდ თამაშში პირველად იმარჯვა „დეტროიტ პისტონზმა". მიუხედავად იმისა, რომ ამ გუნდს ლიდერად ნბა-ს დღესდღეობით უპირველესი მექანე ჯერი სტეკჰაუზი ჰყავს, „დეტროიტი" ნავსაან სერიას კიდევ გაგრძელებდა, ბედად უსუსურ „ჩიკაგოს" რომ არ გადაჰყროდა. სტეკჰაუზმა ამჯერადაც გაინავარდა, 36 ქულასაც მოუყარა თავი, გამთამაშებლობაც ითავა და თან ამპლუით მსროლელმა ამ მოვალეობას მშვენივრად გაართვა თავი. მისი 11 პასის წყალობით ქულათა მოგროვება არც სხვა დეტროიტელებს გასჭირვებიათ. ჯო სმიტმა 23 ქულა გაახერხა, ნბა-ში სტუდენტთა ჩემპიონის ტიტულით მოსულმა ახალბედამ მატენ კლივზმა კი 15 ქულა შეაწია „დგუშებს". მასპინძლებს ვერ უშველათ რონ მერსერის 33 ქულამ და „ხარებმა" ზედიზედ მეშვიდე მეტოქეს დაჩაგვრინეს თავი.

სან ფრანცისკოს გარეუბან ოკლენდში ჩასულმა „ჰიუსტონ როკეტსმა" კიდევ უფრო გაიღრმავა გასვლით თამაშებზე დაგროვილი გუნდის რეპუტაცია და მორიგი მასპინძელი „გოლდენ სტეიტი" შეარცხვინა მისივე გულშემატკივრების თვალწინ. მასპინძლებმა ვერა და ვერ გააჩერეს სტუმართა უკანასკნელი კუტინო მობლი — ამ ჯეელს თამაში წაუვიდა, რაკი დაინახა ჩემი ყოველი ნასროლი ვარდებაო, აღარ მოეშვა და თამაში 41 ქულით დაასრულა. ამ შეხვედრამ კიდევ ერთხელ აჩვენა, რა ფუჭია „გოლდენ სტეიტის" ლიდერის, ანტუნ ჯემისონის თავგამოდება. ლიგის ბომბარდირთა მარაქაში დამსახურებულად გარეულმა ჯემისონმა 43 ქულა სულ ტყუილად მიითვალა, თავის გუნდს მაინც ვერ აეცილა ზედიზედ მეთერთმეტე შინაური მარცხი.

ირაკლი ფირაგვილი

ლიგის ლიდერები

17 იანვრის თამაშების ჩათვლით

ქულა				
ჯერი სტეკჰაუზი	დეტროიტი	37	1102	29,8
კობი ბრაიანტი	ლეიკერსი	37	1091	29,5
ვინს კარტერი	ტორონტო	34	962	28,3
ალენ აივერსონი	ფილადელფია	37	1031	27,9
კრის ვებერი	საკრამენტო	34	904	26,6
ტრეისი მაკგრეიდი	ორლანდო	34	898	26,4
შაკილ ონილი	ლეიკერსი	35	921	26,3
ანტაუნ ჯემისონი	გოლდენ სტეიტი	37	907	24,5
სტივენ მარბერი	ნიუ ჯერსი	35	842	24,1
პოლ პირსი	ბოსტონი	39	926	23,7
კევინ გარნეტი	მინესოტა	40	916	22,9
გერი პეიტონი	სიეტლი	41	937	22,9
კარლ მელოუნი	იუტა	37	840	22,7
ანტონიო მაკდაიესი	დენვერი	38	851	22,4
გლენ რობინსონი	მილუოკი	36	804	22,3
ანტუან უოლკერი	ბოსტონი	39	867	22,2
რეი ალენი	მილუოკი	38	814	21,4
მაიკლ ფინლი	დალასი	41	870	21,2
დირკ ნოვიცკი	დალასი	41	870	21,2
შარიფ აბდურ-რაჰიმი	ვანკუვერი	37	775	20,9
მოხსნა				
დიკემბე მუტომბო	ატლანტა	32	444	13,9
შაკილ ონილი	ლეიკერსი	35	461	13,2
ბენ უოლესი	დეტროიტი	38	455	12,0
ანტონიო მაკდაიესი	დენვერი	38	445	11,7
კრის ვებერი	საკრამენტო	34	394	11,6
ტიმ დანკანი	სან ანტონიო	37	417	11,3
ანტონიო დევისი	ტორონტო	35	392	11,2
შონ მარიონი	ფინიქსი	36	392	10,9
კევინ გარნეტი	მინესოტა	40	415	10,4
ბრაიან გრანტი	მაიამი	40	409	10,2
პასი				
ჯეისონ კიდი	ფინიქსი	35	346	9,9
მარკ ჯეკსონი	ტორონტო	39	364	9,3
ჯონ სტოქტონი	იუტა	38	354	9,3
მაიკ ბიბი	ვანკუვერი	38	329	8,7
გერი პეიტონი	სიეტლი	41	357	8,7
ნიკ ვან ექსელი	დენვერი	39	336	8,6
ანდრე მილერი	კლივლენდი	37	295	8,0
სტივ ნეში	დალასი	35	266	7,6
სემ კასელი	მილუოკი	36	261	7,3
როდ სტრიკლენდი	ვაშინგტონი	29	211	7,3
ჩაჭრა				
ალენ აივერსონი	ფილადელფია	37	88	2,38
მუკი ბლეილოკი	გოლდენ სტეიტი	34	75	2,21
ბარონ დევისი	შარლოტი	41	90	2,20
ტერელ ბრენდონი	მინესოტა	36	79	2,19
დუგ კრისტი	საკრამენტო	35	72	2,06
ლარი ჰიუზი	გოლდენ სტეიტი	34	70	2,06
ჯეისონ კიდი	ფინიქსი	35	72	2,06
სტივ ფრენსისი	ჰიუსტონი	36	72	2,00
ედი ჯონსი	მაიამი	36	71	1,97
დარელ არმსტრონგი	ორლანდო	37	67	1,81
შონ მარიონი	ფინიქსი	36	65	1,81
დაფარება				
თეო რეთლიფი	ფილადელფია	38	147	3,87
შაკილ ონილი	ლეიკერსი	35	107	3,06
შონ ბრედლი	დალასი	41	124	3,02
ჯერმენ ონილი	ინდიანა	39	105	2,69
დევიდ რობინსონი	სან ანტონიო	37	92	2,49
კრის ვებერი	საკრამენტო	34	84	2,47
რიფ ლაფრენცი	დენვერი	38	90	2,37
დიკემბე მუტომბო	ატლანტა	32	73	2,28
მარკუს კემბი	ნიუ იორკი	30	68	2,27
ტიმ დანკანი	სან ანტონიო	37	82	2,22

შენიშვნა: პირველ სვეტში მითითებულია მოთამაშე, მეორეში — კლუბი, მესამეში — მატჩების რაოდენობა, მეოთხეში — შედეგი, მეხუთეში — საშუალო მაჩვენებელი

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

ინგლისი. პრემიერლიგა. 24-ე ტური

20 იანვარი

19.00	001	ჩელსი-იფსვიჩი	1,6	3,2	5,6
19.00	002	ქოვენთრი-ევერტონი	2,0	2,9	3,6
19.00	003	დერბი-სიტი	1,8	3,0	4,2
19:00	004	ლიდსი-ნიუკასლი	1,75	3,0	4,4
19.00	005	ლესტერი-არსენალი	2,9	3,0	2,3
19.00	006	ლივერპული-მიდლსბრო	1,3	4,0	7,5
	007	ლივერპული-მიდლსბრო 0:1	1,9	3,2	2,6
19.00	008	მანჩესტერი-ასტონ ვილა	1,35	3,8	7,0
	009	მანჩესტერი-ასტონ ვილა 0:1	2,0	3,0	2,4
19.00	010	ტოტენჰემი-საუთჰემპტონი	1,4	3,6	6,5
	011	ტოტენჰემი-საუთჰემპტონი 0:1	2,0	3,2	2,3

21 იანვარი

20.00	012	სანდერლენდი-ბრედფორდი	1,25	4,4	8,0
	013	სანდერლენდი-ბრედფორდი 0:1	1,8	3,3	2,8

22 იანვარი

24.00	014	ჩარლტონი-ვესტ ჰემი	2,1	2,9	3,4

ინგლისი. I დივიზიონი. 29-ე ტური

20 იანვარი

16.00	015	უოტფორდი-ფულემი	2,7	3,0	2,4
19.00	016	ბარნლი-ბარნსლი	1,75	3,0	4,4
19.00	017	ქრიუ-ნოტინგემი	3,1	3,0	2,2
19.00	018	კრისტალ პალასი-ჯილინგემი	1,7	3,1	4,7
19.00	019	ნორვიჩი-ქუინზ პარკი	1,8	2,9	4,4
19.00	020	პორტსმუთი-უიმბლდონი	2,4	3,0	2,7
19.00	021	პრესტონი-ვულვერჰემპტონი	1,9	3,0	3,8
19.00	022	უენსდი-ბოლტონი	3,5	3,2	1,9
19.00	023	სტოკპორტი-გრიმსბი	1,9	2,9	4,0
19.00	024	ტრანმერი-ჰადერსფილდი	2,0	3,1	3,4
19.00	025	ვესტ ბრომვიჩი-შეფილდი	1,75	3,0	4,4

21 იანვარი

17.00	026	ბირმინგემი-ბლექბერნი	2,2	2,9	3,0

ინგლისი. II დივიზიონი. 28-ე ტური

20 იანვარი

19.00	027	ბორნმუთი-ოქსფორდი	1,4	3,8	6,0
19.00	028	ბრენტფორდი-სუინდონი	1,55	3,3	5,3
19.00	029	ბრისტოლი-ნორთჰემპტონი	1,8	3,0	4,2
19.00	030	ბერი-სტოკი	2,7	3,0	2,3
19.00	031	კოლჩესტერი-მილუოლი	3,3	3,0	2,1
19.00	032	პიტერბრო-ლუტონი	1,65	3,2	4,4
19.00	033	ნოტსი-როტერჰემი	2,4	3,0	2,7
19.00	034	პორტ ვეილი-რექსემი	2,3	2,9	3,0
19.00	035	რედინგი-როვერსი	1,5	3,5	6,0
19.00	036	უოლსოლი-სუონსი	1,4	3,8	7,0
	037	უოლსოლი-სუონსი 0:1	2,0	3,0	2,4
19.00	038	უიგანი-ოლდემი	1,4	3,8	7,0
	039	უიგანი-ოლდემი 0:1	2,0	3,0	2,4
19.00	040	უიკომბი-კემბრიჯი	1,6	3,3	5,3

ინგლისი. III დივიზიონი. 28-ე ტური

20 იანვარი

19.00	041	ბრაიტონი-ბარნეტი	1,45	3,5	6,0
19.00	042	კარდიფი-პლიმუთი	1,4	3,8	7,0
	043	კარდიფი-პლიმუთი 0:1	2,0	3,0	2,4
19.00	044	დარლინგტონი-ჩესტერფილდი	2,7	3,0	2,3
19.00	045	ჰალიფაქსი-ბლეკპული	2,2	3,0	2,9
19.00	046	ჰარტლპული-კარლაილი	1,4	3,6	6,5
19.00	047	ჰალი-როჩდეილი	2,5	3,0	2,5
19.00	048	ლეიტონი-საუთენდი	1,65	3,2	5,0
19.00	049	მენსფილდი-კიდერმინსტერი	2,0	2,9	3,6
19.00	050	სკანთორპი-ლინკოლნი	1,6	3,3	5,3
19.00	051	შრიუსბერი-ჩელტენემი	2,5	3,0	2,5
19.00	052	ტორკი-ექსეტერი	1,8	3,0	4,0
19.00	053	იორკი-მაკლსფილდი	2,1	3,0	3,1

იტალია. სერია A. მე-15 ტური

20 იანვარი

18.00	054	ბოლონია-ვერონა	1,55	3,0	7,0
23.30	055	ლაციო-ინტერი	1,8	2,9	4,4

21 იანვარი

18.00	056	ატალანტა-ფიორენტინა	2,4	2,8	2,9
18.00	057	ბარი-რეჯინა	1,8	2,9	4,2
18.00	058	ნაპოლი-უდინეზე	2,2	2,9	3,2
18.00	059	პარმა-ლეჩე	1,35	3,6	7,5
	060	პარმა-ლეჩე 0:1	2,0	3,0	2,4
18.00	061	პერუჯა-იუვენტუსი	4,0	2,9	1,9
18.00	062	ვიჩენცა-ბრეშა	1,8	2,9	4,4
23.30	063	მილანი-რომა	2,3	2,9	3,0

იტალია. სერია B. მე-19 ტური

21 იანვარი

18.00	065	კალიარი-ჯენოა	1,55	2,9	7,0
18.00	066	კიევო-სიენა	1,55	2,9	7,0
18.00	067	ჩიტადელა-ანკონა	2,4	2,5	3,2
18.00	068	ემპოლი-ვენეცია	2,6	2,5	2,9
18.00	069	პისტოიეზე-მონცა	1,65	2,6	5,6
18.00	070	რავენა-კოზენცა	2,3	2,5	3,2
18.00	071	სამპდორია-პესკარა	1,35	3,5	8,0
	072	სამპდორია-პესკარა 0:1	1,9	3,0	2,5
18.00	073	ტრევიზო-პიაჩენცა	2,7	2,5	2,8

22 იანვარი

23.45	074	კროტონე-ტერნანა	2,3	2,5	3,4

იტალია. სერია C1/ა. მე-19 ტური

21 იანვარი

17.30	075	ალბინოლეფე-რეჯანა	1,75	2,6	5,6
17.30	076	ალესანდრია-ალძანო	2,3	2,6	3,3
17.30	077	ბრეშელო-აპეცია	2,8	2,5	2,7
17.30	078	კარარეზე-ლუკეზე	1,8	2,5	5,0
17.30	079	ლეკო-ჩეზენა	2,4	2,5	3,0
17.30	080	ლუმეცანე-კომო	2,5	2,4	3,0
17.30	081	მოდენა-არეცო	1,75	2,6	5,0
17.30	082	პიზა-სპალ	1,75	2,4	6,0
17.30	083	ვარეზე-ლივორნო	2,6	2,5	2,9

იტალია. სერია C1/ბ. მე-19 ტური

20 იანვარი

17.30	084	ლოდიჯანი-აველინო	2,6	2,5	2,9

21 იანვარი

17.30	085	ატლეტიკო-ტორესი	2,5	2,5	2,9
17.30	086	დი სანგრო-ბენევენტო	1,8	2,5	5,3
17.30	087	ფერმანა-კატანია	2,6	2,5	2,9
17.30	088	ჯულიანოვა-პალერმო	3,1	2,5	2,4
17.30	089	აკილა-სავოია	1,85	2,6	4,7
17.30	090	ნოჩერინა-ფ.ანდრია	1,5	2,8	7,5
17.30	091	პეზარო-მესინა	2,4	2,5	3,0
17.30	092	ვიტერბეზე-ასკოლი	2,4	2,5	3,0

ესპანეთი. I დივიზიონი. მე-19 ტური

20 იანვარი

24.00	093	ვალენსია-ბარსელონა	2,2	3,1	3,0

21 იანვარი

20.00	094	ბილბაო-რასინგი	1,5	3,3	7,0
20.00	095	მალაგა-დეპორტივო	2,5	2,9	2,6
20.00	096	ოვიედო-მალიორკა	2,2	2,9	3,2
20.00	097	ალავესი-ნუმანსია	1,5	3,3	7,0
20.00	098	რაიო ვალეკანო-ლას პალმასი	1,7	3,0	5,0
20.00	099	ესპანიოლი-ვილიარეალი	2,0	2,9	3,6
20.00	100	სელტა-სარაგოსა	2,1	2,9	3,4
20.00	101	ოსასუნა-სოსიედადი	2,0	2,9	3,6
23.00	102	ვალიადოლიდი-რეალი	3,8	2,9	1,9

ესპანეთი. II დივიზიონი. 21-ე ტური

20 იანვარი

20.00	103	ატლეტიკო-ხეტაფე	1,45	3,4	6,0
21.00	104	ეიბარი-სევილია	2,8	2,9	2,4
21.00	105	კომპოსტელა-ელჩე	1,9	2,9	4,0
22.00	106	უნივერსიდადი-ალბასეტე	3,0	2,9	2,2

21 იანვარი

15.00	107	ბადახოსი-ლევანტე	2,2	2,6	3,3
20.00	108	მურსია-სალამანკა	2,4	2,9	2,8
20.00	109	ესტრემადურა-ლეიდა	1,45	3,4	6,5
20.00	110	კორდობა-სპორტინგი	2,2	2,9	3,0
20.00	111	ფეროლი-უელვა	2,9	2,8	2,4
20.00	112	ბეტისი-ხაენი	1,45	3,2	7,5
21.00	113	ტენერიფე-ლეგანესი	1,4	3,5	7,0
	114	ტენერიფე-ლეგანესი 0:1	2,0	3,2	2,3

პორტუგალია. I ლიგა. მე-18 ტური

20 იანვარი

20.00	116	გიმარაეში-ბრაგა	2,4	2,9	2,8
22.00	117	ბოავიშტა-ბეირა მარი	1,2	5,0	9,0
	118	ბოავიშტა-ბეირა მარი 0:1	1,7	3,2	3,2

21 იანვარი

20.00	119	ბელენენსეში-ავეში	1,25	4,4	8,0
	120	ბელენენსეში-ავეში 0:1	1,8	3,3	2,8
20.00	121	ფერეირა-სალგეირუში	1,9	2,8	4,2
20.00	122	კამპომაიორენსე-უილ ვისენტე	1,65	3,1	4,2
23.00	123	ბენფიკა-პორტუ	2,3	2,9	3,0
01.00	124	ფარენსე-სპორტინგი	4,2	3,0	1,8

22 იანვარი

01.00	125	მარიტიმუ-ალვერკა	1,6	3,2	5,6

პორტუგალია. II ლიგა. მე-18 ტური

21 იანვარი

19.00	126	შავეში-ესპინიუ	1,75	2,9	5,3
19.00	127	ნასიონალი-ლამაში	1,4	3,5	7,0
	128	ნასიონალი-ლამაში 0:1	2,0	3,2	2,3
19.00	129	ფელგეირაში-აკადემიკა	2,3	2,9	3,0
19.00	130	ოვარენსე-ფრეამუნდე	1,5	3,2	6,5
19.00	131	ლეცა-ვარზიმი	2,5	3,0	2,5
19.00	132	იმორტალი-სეტუბალი	2,9	3,0	2,2
19.30	133	რიუ ავე-პენაფიელი	1,65	3,1	5,3
20.00	134	მაია-ნავალი	1,6	3,2	5,6
20.00	135	სანტა კლარა-მარკუ	1,25	4,4	8,0
	136	სანტა კლარა-მარკუ 0:1	1,8	3,3	2,8

ბელგია. I დივიზიონი. მე-19 ტური

20 იანვარი

21.00	139	ლუვიე-სტანდარდი	4,0	2,9	1,85
23.00	140	ბევერენი-ანტვერპენი	1,85	3,0	3,8
23.00	141	ვესტერლო-ანდერლეხტი	4,4	3,1	1,7
23.00	142	ლიერსი-სენტ ტრუიდენი	1,3	4,0	7,5
	143	ლიერსი-სენტ ტრუიდენი 0:1	1,9	3,2	2,6
23.00	144	მეხელენი-გენტი	2,7	3,0	2,3
23.00	145	ბეერსხოტი-ლოკერენი	1,8	2,9	4,4

21 იანვარი

18.00	146	ჰარელბეკე-შარლერუა	3,0	3,1	2,0
18.00	147	აალსტი-გენკი	2,4	3,1	2,5

ბელგია. II დივიზიონი. მე-20 ტური

20 იანვარი

22.30	148	გეელი-მაასლანდი	1,3	4,0	7,5
	149	გეელი-მაასლანდი 0:1	1,9	3,2	2,6
23.00	150	ოსტენდე-მოლენბეკი	4,0	3,1	1,75
23.00	151	ინგელმუნსტერი-ლომელი	2,5	3,1	2,4
23.00	152	ჰეკელგემი-ჰეუსდენი	2,5	3,0	2,5

21 იანვარი

18.00	153	სერკლი-ლიეჟი	1,35	3,8	7,0
	154	სერკლი-ლიეჟი 0:1	2,0	3,0	2,4
18.00	155	რუზელარე-მონსი	2,2	2,9	3,0
18.00	156	ტინენი-დესელი	1,8	3,0	4,2
18.00	157	დენდერლეუ-ტურნჰაუტი	2,6	2,9	2,5
18.00	158	სტრომბეკი-დაინცე	2,0	3,0	3,3

საბერძნეთი. მე-15 ტური

20 იანვარი

21.00	159	ეთნიკოსი-ათინაიკოსი	1,4	3,4	7,5

21 იანვარი

19.00	160	პანილიაკოსი-იანინა	1,8	2,9	4,4
19.00	161	აეკ-ქსანთი	1,25	4,4	8,0
	162	აეკ-ქსანთი 0:1	1,8	3,3	2,8
19.00	163	იონიკოსი-ირაკლისი	2,3	2,9	2,8
19.00	164	ოლიმპიაკოსი-არისი	1,3	4,0	7,5
	165	ოლიმპიაკოსი-არისი 0:1	1,9	3,2	2,6
19.00	166	პანათინაიკოსი-კალამატა	1,1	6,0	12,0
	167	პანათინაიკოსი-კალამატა 0:1	1,4	3,6	4,0
21.00	168	პანაჰაიკი-პაოკ	4,0	2,9	1,9

22 იანვარი

19.00	169	ოფი-პანიონიოსი	2,1	2,9	3,2

საფრანგეთი. თასის 1/32 ფინალი

20 იანვარი

23.00	171	ოსერი-ლილი	2,2	2,9	3,0
23.00	172	ლანსი-ტრუა	1,75	2,9	4,7
23.00	173	ლიონი-კაენი	1,25	4,4	8,0
23.00	174	შატორუ-ტულუზი	2,4	2,9	2,8
23.00	175	ლავალი-ანჟე	1,25	4,4	8,0
23.00	176	ლე მანი-აიაჩო	1,6	2,9	5,3

21 იანვარი

20.00	177	ნანსი-სტრასბური	2,3	2,9	3,0

კალათბურთი

20 იანვარი

02.30	810	პორტლენდი-საკრამენტო	1,3	12,0	2,8
05.00	811	სან ანტონიო-ორლანდო	1,15	12,0	4,0
05.00	812	დალასი-დენვერი	1,35	12,0	2,5
05.00	813	ნიუ ჯერსი-ჩიკაგო	1,3	12,0	2,8

21 იანვარი

21.00	814	ნიუ იორკი-ინდიანა	1,15	12,0	4,0
22.00	815	ვაშინგტონი-ატლანტა	1,8	12,0	1,6
23.30	816	ფილადელფია-ტორონტო	1,25	12,0	3,1
23.30	817	იუტა-ფინიქსი	1,35	12,0	2,5
00.30	818	ვანკუვერი-მინესოტა	2,3	12,0	1,4
02.00	819	ლეიკერსი-მაიამი	1,2	12,0	3,5
04.30	820	დეტროიტი-მილუოკი	2,0	12,0	1,5
06.00	821	გოლდენ სტეიტი-ბოსტონი	1,7	12,0	1,7
06.00	822	სიეტლი-საკრამენტო	1,7	12,0	1,7

22 იანვარი

04.30	823	კლივლენდი-პორტლენდი	2,0	12,0	1,45

ჰოკეი

20 იანვარი

22.00	907	ნიუ ჯერსი-ატლანტა	1,4	4,0	4,2
22.30	908	კაროლინა-ლოს ანჯელესი	2,0	4,0	2,2
02.00	909	სან ხოსე-კოლორადო	2,1	4,0	2,1
04.00	910	ტორონტო-ბუფალო	1,9	4,0	2,3
04.00	911	მონრეალი-რეინჯერსი	2,0	4,0	2,2
04.00	912	ოტავა-ტამპა ბეი	1,3	4,0	5,6
04.00	913	ფილადელფია-ფლორიდა	1,3	4,0	5,6
05.00	914	სენტ ლუისი-ვანკუვერი	1,5	4,0	3,4
07.00	915	ედმონტონი-დეტროიტი	2,1	4,0	2,1

21 იანვარი

23.00	916	მინესოტა-ნიუ ჯერსი	2,6	4,0	1,75
24.00	917	ატლანტა-აილენდერსი	1,7	4,0	2,7
01.00	918	ნეშვილი-სენტ ლუისი	2,6	4,0	1,75
04.00	919	კოლუმბუსი-ტამპა ბეი	1,9	4,0	2,3
05.00	920	ჩიკაგო-პიტსბურგი	2,1	4,0	2,1
05.00	921	კალგარი-დეტროიტი	2,5	4,0	1,8
05.00	922	ანაჰაიმი-კოლორადო	2,5	4,0	1,8
05.30	923	ფინიქსი-დალასი	2,0	4,0	2,2

22 იანვარი

04.00	924	ბოსტონი-ფლორიდა	1,5	4,0	3,4
04.00	925	ფილადელფია-ლოს ანჯელესი	1,65	4,0	2,8
04.00	926	კაროლინა-რეინჯერსი	1,7	4,0	2,7
05.30	927	დალასი-ვანკუვერი	1,65	4,0	2,8
06.00	928	ედმონტონი-სან ხოსე	2,0	4,0	2,2

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან“)

ქუთაისი — პუშკინის ქუჩა№16 (ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში)

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა№30

თელავში — კოსტავას ქუჩა №23. **რუსთავში** — შარტავას ქუჩა №7

ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;
ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61

საქმე დადგენილებებით და ციებ-ცხელებით იწყება

ბრიტანელებმა სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე მოიმკეს ისეთი მოსავალი, როგორიც 1920 წლის ანტვერპენის ოლიმპიადიდან მოყოლებული არ ჰქონიათ. როგორც თავის დროზე ვიუწყებოდით, ამთ აღფრთოვანებულმა იქაურმა ხელისუფლებამ უმალ გადაწყვიტა ათენის ოლიმპიური თამაშებისთვის სპორტსმენთა მოსამზადებლად ყოველწლიურად 36 მილიონი გირვანქას გამოყოფა.

სიდნეიში ჩვენი სპორტსმენების შედეგებით საქართველოს ხელისუფლება ფრიად კმაყოფილია, მაგრამ მწარე გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საათენოდ იგი ჯიბეზე ხელს მხოლოდ ერთი ვაიუშველებელის მერე, დელეგაციის თვითმფრინავის ტრაპზე ასვლის წინ გაიკრავს. ამიტომ ჩვენი სპორტსმენების საათენო საფინანსო ციებ-ცხელება უკვე დაიწყო. დაიწყო საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის სხდომაზე, რომელიც განახლებული შემადგენლობით პირველად ჩატარდა.

ციებ-ცხელებაში ვგულისხმობთ დადგენილებას „სპონსორთა ოლიმპიური კლუბის შესახებ“, რომლის ჩამოყალიბების მიზანშეწონილობის თაობაზეც პირველად იმ სესიაზე ითქვა. ითქვა, რომ მისი ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პროგრამების ფინანსურ უზრუნველყოფას. ისიც ითქვა, რომ მსგავსი კლუბები არსებობს ბელგიაში, დანიაში, პოლონეთში და სხვა ქვეყნებში, საქართველოში კი სპონსორობის წამახალისებელი კანონების არქონა ამ საქმეს აფერხებსო.

რა გამოვა აღმასკომის წევრთა სურვილისგან, ძნელი სათქმელია, მაგრამ სპონსორთა შესაბამისი კანონის მიღებამდე ოლიმპიური კლუბის ჩამოყალიბების მიზნით გადაწყდა „კონკრეტული წინადადებების შემუშავება და შესაბამისი დოკუმენტების პაკეტის მომზადება“.

იმავე აღმასკომზე მიიღეს დადგენილება „ზაფხულის XXVIII ოლიმპიური თამაშების მზადების საკოორდინაციო ჯგუფის „ათენი-2004“ შექმნის შესახებ“.

მასში ნათქვამია, რომ ზაფხულის XXVIII ოლიმპიური თამაშებისთვის საქართველოს სპორტსმენების მაღალ დონეზე მომზადების უზრუნველსაყოფად და ამ მიზნით მიმდინარე ოლიმპიური ციკლის მთელი პერიოდის მანძილზე (2001-2004 წწ.) სპორტის ოლიმპიური სახეობების ფედერაციების, სპორტული ორგანიზაციების, სპორტთან დაკავშირებული სამეცნიერო და სამედიცინო დაწესებულებების, მართვის ადგილობრივი ორგანოების, სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების საქმიანობის კოორდინაციისთვის შეიქმნას მუდმივმოქმედი საკოორდინაციო ჯგუფი „ათენი-2004“, რომელსაც მერაბ მეტრეველი უხელმძღვანელებს.

ითქვა, რომ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით ამ ჯგუფის მეთაურის სტატუსი გაუთანაბრდება სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის სტატუსსო.

ათენის ოლიმპიური თამაშებისთვის თადარიგის დაჭერას ითვალისწინებს სეოკ-ის ის დადგენილებაც, რომელიც მიიღეს „საქართველოს ოლიმპიელთა ერთი ჯგუფისთვის ოლიმპიური სტიპენდიების დანიშვნის შესახებ“. ეს შესაძლებელი გახდა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, აგრეთვე სპონსორული და საქველმოქმედო შემოსავლების გადანაწილების შედეგად და სეოკ-ის ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით.

აღმასკომის წევრებს შეახსენეს, რომ სპორტსმენთათვის ოლიმპიური სტიპენდიების დანიშვნა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიზნობრივი გრანტებიდან გათვალისწინებულია მხოლოდ 2002 წლის 1 აგვისტოდან.

ასეა თუ ისე, ამ ეტაპზე ყოველთვიურად სტიპენდიას (200-დან 500 ლარამდე) ათი ყოფილი თუ მომავალი ოლიმპიელი მიიღებს. მართალია, მათი ამგვარი შემოსავალი ბევრი სახელმწიფოს სპორტსმენისას ჩამორჩება, მაგრამ ჩვენნაირი გაჭირვებული ქვეყნის, პრაქტიკულად უხელფასო და უპენსიო მოქალაქეების კვალობაზე მაინც საკმაოდ სოლიდურად გამოიყურება.

იგივე შეიძლება ითქვას ჩვენი ცამეტი ვეტერანი ოლიმპიელისთვის ოლიმპიური პენსიების გაცემის გაგრძელების თაობაზეც. ითქვა, რომ ისინი ყოველთვიურად მიიღებენ 80-დან 120 ლარამდე, რაც შესაძლებელი გახდა საერთაშორისო ორგანიზაციების გრანტებიდან, აგრეთვე სპონსორული და საქველმოქმედო შემოსავლებიდან.

სეოკ-ის აღმასკომის სხდომაზე იმსჯელეს სხვა პრობლემებზეც და შესაბამისი დადგენილებებიც მიიღეს

ავთანდილ ბჟვიშელი

მთავარი საქმე მოიგეს და ჩვეულს დაუბრუნდა

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, მიკა ჰაკინენი ამ კვირაში ჩვეულ საქმეს დაუბრუნდა. ფორმულა I-ის სამყაროს ზამთრის არდადეგები მას მეულლის მშობიარობამ გაუგრძელა. მიკა და ერია ჰაკინენებს დეკემბერში ვაჟი, ჰუგო გაუჩნდათ.

მართალია, ბევრი გამოთქვამს ეჭვს, მამობა ჰაკინენის შედეგებზე უარყოფით გავლენას იქონიებსო, მაგრამ თავად მრბოლი ამბობს, რომ ვაჟის ფაქტორი 2001 წელს მორიგი, მესამე ჩემპიონობისკენ უბიძგებს. იგივე აზრის გამოდგა ფინელის უმთავრესი კონკურენტი, „ფერარის“ ვარსკვლავი მიხაელ შუმახერი.

ამ კვირას, ვალენსიაში, ჰაკინენმა თავიდან მართლაც ცუდად დაიწყო, მაგრამ უახლოესი ორი დღის განმავლობაში მნიშვნელოვნად გააუმჯობესა შედეგი.

„ჰუგოს გაჩენის შემდეგ საკუთარ თავში გაცილებით დარწმუნებული ვარ, თითქოს უფრო სრულყოფილ პიროვნებად ვიქეცი. ამიტომაც, ალბათ, სისწრაფეს მოვუმატებ. მოტივაცია არასდროს მაკლდა, ახლა კი მითუმეტეს“ — განაცხადა მრბოლმა.

ტუტა სიხარულიძე

ჰუგო ერიასთან დარჩება, მიკა „მაკლარენთან“

რესტორანი მზიანი ღამე

განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით

დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კუტუზოვის ქუჩა №3

(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)

მობრძანდით, გვეწვიეთ: კმაყოფილი დარჩებით

ჟან-მარი ლებლანი და ლუქსემბურგის სპორტის მინისტრი ან ვასერი

მომავალი ტური და ტურის მომავალი

ხუთშაბათს გამოცხადდა, რომ ველოსპორტის ყველაზე პრესტიჟული შეჯიბრი „ტურ დე ფრანსი" გაისად საფრანგეთის მეზობელ ლუქსემბურგიდან დაიწყება. სწორედ გუშინწინ მოაწერეს ხელი შეთანხმებას ამის თაობაზე „ტურის" დირექტორმა ჟან-მარი ლებლანმა და ლუქსემბურგის მთავრობის წარმომადგენლებმა.

2002 წლის „ტურის" პროლოგი 6,5 კილომეტრი იქნება და 7 ივლისს ქალაქ ლუქსემბურგის შემოგარენში გაიმართება. პირველი ეტაპისას მრბოლებს 195 კილომეტრის დაფარვა მოუწევთ დიდი საჰერცოგოს ტერიტორიაზე. სტარტი და ფინიში დედაქალაქშია დანიშნული, საიდანაც მეორე ეტაპიც დაიწყება, რომლის მიმართულებაც ჯერჯერობით დაუდგენელია.

შეთანხმების ხელმოწერის საზეიმო ცერემონიალს დაესწრო შარლი გოლი, რომელიც ფრანსუა ფაბერსა და ნიკოლა ფრანცთან ერთად „ტურის" მომგებ ლუქსემბურგულ სამეულს შეადგენს. გოლმა საფრანგეთის გზებზე გამარჯვება 1958 წელს იზეიმა. საერთოდ კი, ქალაქის ბურგომისტრ (ჩვენებურად მერი) პაულ ჰელმინგერის განცხადებით, „ტურში" 1903 წლიდან მოყოლებული 50-მდე მის თანამემამულეს მიუღია მონაწილეობა.

„ტურ დე ფრანსი" ლუქსემბურგში მეორედ დაიწყება. პირველად ეს 1989 წელს მოხდა და პატარა კურიოზითაც აღინიშნა — წინა „ტურის" მომგებმა, ესპანელმა პედრო დელგადომ პროლოგზე დაგვიანა. ლუქსემბურგს ამჯერად ასეთი პატივისთვის 10 მილიონი ფრანგული ფრანკის გადახდა მოუწევს. თანხას სახელმწიფო და ქალაქი გაინაწილებენ. აქვე გეტყვით, რომ „ტური" საფრანგეთის საზღვრებს გარეთ უკვე 13-ჯერ დაწყებულა. ბოლოს ეს 1998 წელს იყო, ირლანდიის დედაქალაქ დუბლინში.

რახან მომავალ „ტურზე" ვსაუბრობთ, ბარემ „ტურის" მომავალზეც ვთქვათ, რომელიც „ნათელი და დიადი" ნამდვილად არ ჩანს. ტურნირის მთავარმა სპონსორმა „კრედი ლიონენ", შესაძლოა, 20-წლიანი პარტნიორობა შეწყვიტოს 2003 წელს, ანუ მაშინ, როცა ახლანდელ კონტრაქტს ვადა გაუვა. ფრანგული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის დირექტორმა ნიკოლა შენმა განაცხადა, რომ საბოლოო გადაწყვეტილებას წლევანდელი „ტურის" შემდეგ მიიღებენ.

1994 წელს მეტად მძიმე მდგომარეობაში მყოფი „კრედი ლიონეს" სათავეში მისულმა ჟან პიერლევადმა გადაწყვიტა „ტურთან" თანამშრომლობა კიდევ რვა წლით გაეგრძელებინა, რათა დაემტკიცებინა, რომ ბანკი კრიზისს არ განიცდის. ამიტომ წელიწადში 35 მილიონი ფრანკი გაიღო. შემდეგ, დოპინგ-სკანდალების მიუხედავად, „კრედი ლიონემ" კონტრაქტის გაწყვეტა იუკადრისა, რადგან ამას მისი წესები არ ითვალისწინებდა. ახლა კი...

ამ ამბავმა მეტად განაცვიფრა საფრანგეთის ახალგაზრდობისა და სპორტის მინისტრი მარი-ჟორჟ ბიუფე. მინისტრის განცხადებით, როცა ველოსპორტს ასე ძალიან უჭირს და დახმარება აგრერიგად სჭირდება, „კრედი ლიონეს" მოსალოდნელი გადაწყვეტილება ყოვლად გაუმართლებელი იქნება.

ისე, „დიდი მარყუჟის" კიდევ ერთ უმსხვილეს სპონსორ „კოკა კოლას" გადაუწყვეტია, კონტრაქტს გადახედოს და „ტურის" დროს ნაკლებად თვალშისაცემი გახდეს. ესეც რა თქმა უნდა, „ფესტინას" საქმის" და მსგავსი რამეების გამო. თუმცა ჯერჯერობით უცნობია, „კოკა კოლა" დამალვაშიც იმდენივეს გადაუხდის თუ არა „ტურს", რასაც გამოჩენაში უხდიდა.

გაგი გურული

ფოსტერმა რეკორდი გაანყალა

მარკ ფოსტერმა ოთხშაბათს ერთი რეკორდი რომ დაამყარა, მომდევნო შაბათ-კვირას, ბერლინში 50 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში რეკორდის დამყარებას აპირებს.

შეგახსენებთ ოთხშაბათის ამბავს: ბრიტანელმა შეფილდში, მსოფლიოს თასის ეტაპზე, 50 მეტრზე ბატერფლაიში მნიშვნელოვნად გაუმჯობესა მსოფლიოს საუკეთესო შედეგი. ხუთშაბათს დილით მან იგივე დისტანცია თავისუფალი სტილითაც გაცურა, მაგრამ, როგორც თავად ამბობს, რეკორდის დამხობა ბერლინისთვის გადადო.

ცნობისთვის: ბერლინშიც მსოფლიოს თასის ეტაპია. სულ 10 ეტაპი უნდა გაიმართოს, ბერლინში მე-7 იქნება.

„ხუთშაბათს ზურგი წამომტკივდა, ამიტომაც კიდევ უფრო მეტი ფულის შოვნა ბერლინში გადავწყვიტე" — თქვა ფოსტერმა.

ფულის ამბავი ასე იყო: მსოფლიო რეკორდისთვის ფოსტერს 32 500 დოლარი ერგო. ადრე გაუწყეთ, რომ მან 4 ათასი მიიღო, მაგრამ ეს თანხა მსოფლიო რეკორდთა ფონდისა გახლდათ, ასე ვთქვათ ოფიციალური პრემია. გარდა ამისა, შეფილდელებმა, მათ ქალაქში დამყარებული საუკეთესო შედეგისთვის 20 ათასი ჩაუთვალეს, 8 500 კი იმიტომ მიიღო, რომ კაცთა საუკეთესო შედეგი ჰქონდა.

ხუთშაბათს, როგორც მოგახსენეთ, ფოსტერმა თავისუფალი სტილით გაცურა. პირველი გაცურვის შემდეგ მისი შედეგი გახლდათ 23,27 წამი, რომლითაც შვედი დავიდ ანდრეასონისა (22.91) და რუსი დენის პიმანკოვის (23.12) შემდეგ მესამე ადგილზე გავიდა, ხოლო ფინალში, სადაც ამერიკელმა ჯეისონმა ლიზაკმა გაიმარჯვა (22.71) საერთოდ აღარ გავიდა.

„მთელი ძალ-ღონე ოთხშაბათს ჩავაქსოვე, ხუთშაბათ დილით კი დაღლილმა გავიღვიძე. იცით, წინა დღეს იმდენად მომართული ვიყავი, რომ ფინალისთვის თავი ვეღარ განვაწყე. მსოფლიო რეკორდი ხომ წყალში ხტომით არ მყარდება, აბსოლუტურად დასვენებული უნდა იყო" — განმარტა ოთხშაბათის გამარჯვებულმა.

ბერლინში კი ფოსტერს უკვე ალექსანდრ პოპოვთან მოუწევს შეჯიბრება. ოლიმპიური ჩემპიონი მსოფლიოს თასს უბრუნდება და ამერიკელი ენტონი ირვინის რეკორდს 21.21 (წმ), დამხობას უპირებს.

„მსოფლიოს საუკეთესო შედეგის გაუმჯობესებას ვაპირებ და ამ გაცურვის დროს პოპოვთან ჭიდილი გამარჯვებას მხოლოდ გაალამაზებს" — იქადნება ბრიტანელი, შემდეგ კი ისევ იმ ფინალს უბრუნდება, რომელში მონაწილეობაც არ ისურვა:

„რომ გამეცურა, შეიძლება ამერიკელს დავემარცხებინე".

და მართლაც, ამერიკელმა ანუ, როგორც უკვე მიხვდით, ჯეისონ ლიზაკმა, ჩინებულად გაცურა. მისი შედეგი 0.18 წამით ჩამორჩა თანამემამულე ირვინის რეკორდს.

„სირცხვილი ფოსტერს, ფინალში რომ არ გაცურა, თუმცა, მეორე მხრივ, ბერლინში დიდებული შეჯიბრი გველის" — განაცხადა თავის მხრივ ლიზაკმა.

ტუტა სიხარულიძე

ამერიკული კენპო კარატე

ქართული ნიჭი და პრობლემები

ქართველებს სპორტის ახალი სახეობებისადმი დიდი მიდრეკილება გვაქვს და ვცდილობთ კიდეც მათ დაენერგვას, მერე კი საკმაო წარმატებებსაც ვაღწევთ. ასე იყო მაშინ, როცა დავნერგეთ ხელბურთი, სინქრონული ცურვა, ქალთა წყალბურთი, სპიდვეი და სხვა სახეობები.

ტრადიცია კვლავაც გრძელდება და სწორედ ამის დასტურია საქმიანობა 1997 წლიდან ოფიციალურად რეგისტრირებული საქართველოს ამერიკული კენპო კარატეს ასოციაციისა, რომელსაც შავი ქამრის მეექვსე დანის მფლობელი გიორგი ჩარგეიშვილი თავკაცობს. ახლახან 144-ე სკოლის (დირექტორი მანანა კიკაჩეიშვილი) ბაზამ კვლავაც უანგაროდ უმასპინძლა ამერიკული კენპო კარატეს სემინარსა და მინიტურნირს.

უმცროსი ასაკის სპორტსმენებში თავი გამოიჩინეს ზურაბ და ერეკლე ფაჩოშვილებმა, გიორგი და შოთა პაქსაშვილებმა, გიგა და ბექა ბეკურაშვილებმა, გიორგი შარვაძემ, ირაკლი ასათიანმა და დავით გაბუნიამ, ხოლო უფროსებში — ანზორ უზოევმა, გივი და დავით მუჯირიშვილებმა, ნიკოლოზ და გიორგი შოშიაშვილებმა, დავით და ლაშა ნადირაძეებმა, არმენ სარქისიანმა, ნიკო ნათობიძემ, თემურ თაფლაძემ და მალხაზ რიჟამაძემ.

საქართველოს ამერიკულ კენპო კარატისტთა გუნდი მარტში მიწვეულია ლას ვეგასში, საერთაშორისო ტურნირზე, რომელსაც დაესწრებიან აღმოსავლური ორთაბრძოლების ელიტის წარმომადგენლები: საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი პოლ მილსი, ლეგენდარული ბრიუს ლის მოსწავლე, ჯიტკუნდოს ასოციაციის პრეზიდენტი დენი ინოსანტო, ცოცხალ ლეგენდად ქცეული ჩაკ ნორისი და სხვები. ცხადია, ჩვენს გუნდს მათ წინაშე თავის გამოჩენა სურს. მაგრამ...

მაგრამ ჩვენებურები დიდი პრობლემის წინაშე დგანან. მიზეზებოდით, პრობლემა ჩვენი ყოფისთვის ჩვეული უსახსრობაა.

ჩეხმანეკი ეშმაკებმა აჩეხეს

18 იანვარი

კაროლინა — ბოსტონი 4:2

2:0 1:1 1:1

1:0 უესლი 2'34(3); 2:0 ვასიჩეკი 6'37(7); 2:1 ტრავერსი 25'07(3); 3:1 ონილი 25'37(19); 3:2 როლსტონი 47'32(7); 4:2 ფელინა 54'119(15)

ოტავა — ვაშინგტონი 5:4

2:0 2:4 1:0

1:0 რუა 2'53(3); 2:0 ზამუნერი 14'07(13); 2:1 დალინი 25'01(10); 2:2 კონოვალჩუკი 29'04(14); 3:2 იაშინი 31'55(17); 3:3 ბულისი 35'03(41); 3:4 კოტე 85'22(4); 4:4 იაშინი 39'01(18); 5:4 ფიშერი 50'40(2)

მონრეალი — ტამპა 3:1

0:0 0:0 3:1

1:0 სავაჟი 42'56(18); 1:1 ეკმანი 46'55(1); 2:1 ლინდი 58'15(3); 3:1 დარბი 59'41(7)

რეინჯერსი — ტორონტო 2:1

0:1 0:0 1:0 1:0

0:1 ბერეზინი 9'19(14); 1:1 იორკი 44'06(11); 2:1 ლიჩი 64'33(14)

ფილადელფია — ნიუ ჯერსი 1:7

0:3 0:2 1:2

0:1 სტივენსი 1'44(5); 0:2 მოგილნი 4'15(23); 0:3 არნოტი 10'20(9); 0:4 პანდოლფო 25'44(4); 0:5 ბრილინი 36'26(11); 1:5 დეფარდენი 45'22(81); 1:6 გიმესი 54'04(7); 1:7 ბრილინი 56'13(12)

სენტ ლუისი — ედმონტონი 4:1

0:0 3:1 1:0

1:0 იანგი 23'51(21); 1:1 უეიტი 25'36(12); 2:1 კონროი 28'07(9); 3:1 ნაგი 33'19(2); 4:1 ჰეტტი 49'11(12)

კოლორადო — ვანკუვერი 7:3

1:2 3:0 3:1

0:1 ბერონი 0'38(2); 0:2 ბერტუჩი 5'35(17); 1:2 ტანგეი 18'01(17); 2:2 ფორსბერგი 34'26(15); 3:2 ჰეიდუკი 35'22(25); 4:2 ჰეიდუკი 35'32(26); 5:2 ტანგეი 42'02(18); 5:3 ნესლუნდი 42'55(28); 6:3 მილერი 58'00 (4); 7:3 დრური 59'02(13)

29 წლის რომან ჩეხმანეკს დიდი ხნის ნანატრი ოცნება აუსრულდა. ხუმრობა ხომ არ არის — ასეთ ასაკში, როცა ნჰლ-ში უკვე აღარავინ ხვდება, იგი დრაფტზე დააყენეს, მერე, მიუხედავად იმისა, რომ სულ რაღაც 171-ე ნომრით აირჩიეს, ფილადელფიის ძირითადში ადგილი დაიმკვიდრა, მალე ბრაიან ბუშეც განდევნა, კლუბის პირველი მეკარე გახდა და... გუშინ „ოლ სტარის" მატჩში მონაწილეობის საპატიო უფლებაც მოიპოვა. და აი, სწორედ ასეთ სასიხარულო მომენტში ჩეხმანეკმა თავის ნჰლ-ურ კარიერაში პირველი დიდი იმედგაცრუება იწვნია. „ყველა ვარსკვლავის" მონაწილედ გამოცხადებულ ჩეხს სულ რამდენიმე საათში შავი დღე აყარეს უმოწყალო „ეშმაკებმა". ორი პერიოდის განმავლობაში მან 5 შაიბა გაუშვა, რის შემდეგაც კარში ადგილი ბუშეს დაუთმო. თუმცა ეს ყველაფერი მხოლოდ ჩეხმანეკის ბრალი როდია. ორი სწრაფი გოლის გაშვებამ ფილადელფიელებს ხელი ჩააქნევინა და ნიუჯერსელებმაც გაილაღეს. სტუმრებმა სულაც არ შეიბრალეს მეტოქე, მით უმეტეს, რომ იგი ატლანტის დივიზიონში მათი მთავარი კონკურენტია. განსაკუთრებით „ოლ სტარის" წლევანდელმა ვარსკვლავებმა — სკოტ სტივენსმა (1+1) და ალექსანდრ მოგილნიმ (1+2) იყოჩაღეს.

ვანკუვერმა კი ორი სწრაფად გატანილი გოლით, პირიქით, გააცხარა კოლორადო. მართალია, სტუმრებმა პირველი პერიოდი თავიანთ სასარგებლოდ დაასრულეს, მაგრამ მეორეში „ეველანშმა" იძალა. გამოსარჩევია მასპინძელთა ახალგაზრდა, თუმცა უკვე მრისხანე ძალად ქცეული ფორვარდები — მილან ჰეიდუკი და ალექს ტანგეი. მათ სრულიად დაიმსახურეს ადგილი „ოლ სტარში", მაგრამ იქ დიდი კონკურენციის გამო ვერ მოხვდნენ. სამაგიეროდ, კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ასეთ ვარსკვლავრავალ კომპანიაში სულ უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. ჰეიდუკშა (2+1) მეორე პერიოდში 10 წამის განმავლობაში ორი შაიბა გაიტანა, ტანგეიმ კი 5(2+3) ქულით პერსონალური რეკორდი დაამყარა. ვანკუვერს კი მისი ლიდერის მიდწევა თუ ანუგეშებს — მარკუს ნესლუნდი 28 გოლით ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერი გახდა.

როგორც კი სენტ ლუისს ორი ლიდერისგან ერთი, პიერ ტარჯონი დაუბრუნდა, კვლავ თავის თავს დაემსგავსა. მართალია, მთავარი პლეიმეიკერის გამოჯანმრთელება კიდევ ერთი წამყვანი ფორვარდის, მიხალ ჰანდზუსის ტრავმას დაემთხვა, მაგრამ ტარჯონი გუნდისთვის მაინც უფრო ბევრს ნიშნავს, რაც დაადასტურა კიდეც. მის ორ უზუსტეს პასს სკოტ იანგისა და ლადისლავ ნაგის გოლები მოჰყვა, რამაც „ბლუზმენებს" 2001 წელს პირველად ზედიზედ ორი მოგება მოუტანა.

ოტავა კი თავისას არ იშლის. წინა შეხვედრა ლოს ანჯელესთან მისთვის ჭკუის სასწავლი უნდა ყოფილიყო, მაგრამ პირველ პერიოდში დიდებულად მოთამაშე და 2:0 დაწინაურებულმა „სენატორებმა" მეორე მესამედი სრულიად უნებისყოფოდ ჩაატარეს და მე-40 წუთისთვის უკვე 3:4აგებდნენ. მხოლოდ ბოლო წამებზე გატანილმა იაშინის გოლმა მოიყვანა ოტავა თამაშის გუნებაზე. რუსი კი, რომელიც შარშან საკონტრაქტო დავის შემდეგ ქომაგებმა აითვალწუნეს, კვლავ გუნდის ლიდერი გახდა — 6 მატჩში 12(8+4) ქულა.

როგორც იქნა, წლეულს „როლი ენტერტეინმენტი" კაროლინასთვის ნამდვილ მშობლიურ არენად იქცა. შარშანწინ ჰარტფორდიდან პატარა ქალაქ როლიში გადაბარგებული „ქარიშხლები" ტრიბუნებს სანახევროდაც ვერ ავსებდნენ, მაგრამ გულიანი თამაშით მაინც შეაყვარეს თავი ქომაგთ. სწორედ იმის წყალობით, რომ შინ საუცხოოდ ასპარეზობს (+8=1-0), გუნდმა კრიზისი დასძლია და ახლა პლეი ოფში მონაწილეობის რეალური შანსიც გაუჩნდა.

სამველ ღარიბიანი

ტორონტოელმა გერი ველუმა რეინჯერსელთა კაპიტანი მარკ მესიე მორაგბესავით შებოჭა

ძმაა და ეწყინა

REUTERS ოლანგიდან

ზედა ფოტოზე დიდი ჰერმან მაიერია აღბეჭდილი. ამ კაცისთვის ჰერმინატორი უწოდებიათ, სამთო თხილამურობაში მას ყველაფრისთვის მიუღწევია. ახლაც ავსტრიულ კიცბიუელში მსოფლიოს თასის ეტაპი მოუგია სუპერგიგანტში და კმაყოფილია. თუმცა ჰერმინატორის სიხარულს იტალიური ოლანგიდან მოსული ცნობა ჩრდილავს. იქ სნოუბორდისტთა შეჯიბრი გაიმართა, რომლის დროსაც ჰერმანის ძმა, ალექსანდერი დაშავდა, რისი დასტურიც ქვედა ფოტოა. რა ვუყოთ, რომ ორივე ძმა ერთნაირად ყოჩაღი ვერაა.

REUTERS მონტე კარლოდან

მონტე კარლო

მონტე კარლოს სამოცდამეცხრე რალის წინა დღეს ლეგენდარულ კაზინო „რეარის“ წინ დგანან მსოფლიოს ჩემპიონი, ფინელი მარკუს გრონჰოლმი (მარჯვნივ) და მისი თანაგუნდელი დიდიე ავროლი. ორივენი „პეჟო 206 ვრს“-ს მძღოლები გახლავან და სამდღიან რალიში წარმატებასაც გეგმავენ.



REUTERS რიობამბიდან

კლიჩკოს მანტია

REUTERS კიევიდან

განთქმული უკრინელი მოკრივე ვლადიმირ კლიჩკო გერმანულ ქალაქ ჰამბურგიდან, სადაც ცხოვრობს და მოღვაწეობს, კიევს ჩასულა, რათა იქაური სპორტის უნივერსიტეტის საპატიო ბაკალავრი შექნილიყო. მოყვარულთა შორის ატლანტის ოლიმპიური ჩემპიონი მძიმე წონაში, პროფესიონალთა შორის საბჭოს (ვბკ) ქამრის პირველი მოცილეა და ეგებ წლეულს ლენოქს ლუისსაც შეხვდეს.

ფეხმოტეხილი

ფეხბურთელი არასოდესაა დაზღვეული ტრავმისგან, ეკვადორელიც კი. ეკვადორი ლამის ბოლო ქვეყანაა ლათინურ ამერიკაში საფეხბურთო სიძლიერით, მაგრამ იქაურ მოთამაშეებსაც ისევე სტკივათ, როგორც დიდ ვარსკვლავებს. რიობამბას ჰოსპიტალში ფეხმოტეხილი წევს პაბლო გარინი, რომელიც პარაგვაელებთან მატჩში დაშავებულა. ფეხბურთელს კი თავს დასდგომია ნაკრების ექიმი ვისენტე ბროტა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მეკველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაძეიშვილი
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის რედაქცია** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ლია ბეს ულია, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge